ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 თებერვალი **ხუთშაბათი** 2013
№048 (13 964) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ცინცაძე

# ვეცდებით, ევრო 2013-ზე უკეთესად გამოვიდეთ

## წარმატება ბევრ შრომას მოაქვს



„ბუდიველნიკის“ ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა ვიდეო-ინტერვიუ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ცინცაძესთან. პირველი კითხვა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას ეხება.

- საერთო ჯამში ნაკრებმა კარგად იასპარეზა. ევრობასკეტზე პირველად ვიყავით და ტოპ-12-ში მოვხვდით. საწყისი ეტაპის ბოლოს ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია, ტრავმა მიიღო ჩვენმა კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, მეც მუხლი დამიზიანდა და გუნდი ორი სასტარტო კალათბურთელის გარეშე დარჩა. ამის მიუხედავად, მეორე ეტაპზე ღირსეულად იბრძოლა, ორი მატჩი ბოლო წუთებზე დათმო. მეოთხედფინალში ვერ გავედით. ეს იყო ჩვენი პირველი ევრობასკეტი, მივიღეთ გამოცდილება და მომდევნო ასეთ შეჯიბრებაში, ვეცდებით, უკეთესად გამოვიდეთ.

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# იბრა ორი მატჩით დასაჯეს



უეფამ მკაცრი განაჩენი გამოუტანა „პარი სენ-ჟერმენის“ შვედ ფორვარდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** - „ვალენსიასთან“ მატჩში გაძევებისთვის ის ჩემპიონთა ლიგის ორ მატჩს გამოტოვებს. ზლატანი არ იქნება საპასუხო მერვედფინალურ მატჩში და არც მომდევნო წრის პირველ მატჩში, თუ პსჟ ესპანურ ბარიერს დაძლევს.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის ზლატანი ვალენსიელ **ანდრეს გუარდადოს** ეუხეშა, პსჟ-მ კი მაინც გაიმარჯვა სტუმრად - 2:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჯანოს გოლი: საუკეთესო 2012 წელს



მოსკოვის "სპარტაკის" გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გუნდის მიერ 2012 წელს გატანილი საუკეთესო გოლი **ჯანო ანანიძეს** ეკუთვნის – ეს ბურთი დედაქალაქელთა ქართველმა ნახევარმცველმა სამარის "კრილია სოვეტოვს" გაუტანა. მან მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელი ჩამოიშორა და საჯარიმოს მისადგომებიდან მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

ამ გოლმა გამოკითხულთა ხმების 20 პროცენტზე მეტი მიიღო და დაახლოებით ერთი პროცენტით გაუსწრო **რომულოს** გოლს, რომელიც მან "კამპ ნოუზე" "ბარსელონას" გაუტანა. მესამე პოზიციაზე 16 პროცენტით გავიდა **დმიტრი კომბაროვის** მიერ თურქული "ფენერბახჩეს" კარში გატანილი ბურთი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფეროელებიდან მეტალურგებში

## ზურაბ მენთეშაშვილი კარიერას რუსთავში გააგრძელებს


2




# რიოს ლომებთან?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი ვარსკვლავი **რიო ფერდინანდი** შესაძლოა, სტამბოლის „გალათასარაიში“ აღმოჩნდეს. 34 წლის მცველი შეიძლება **დიდიე დროგბას** და **ვესლი სნეიდერის** თანაგუნდელი გახდეს. შეგახსენებთ, რომ ეს დუეტი იანვრის სატრანსფერო სეზონში შეემატა „ლომებს“.

„დეილი მეილის“ ცნობით, რიოს „მანჩესტერი“ ახალ კონტრაქტს აღარ სთავაზობს, ძველს კი ვადა ზაფხულში გასდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრანსფერი

# მენთეშაშვილი მეტალურგში

რუსთავის „მეტალურგმა" ახალი ფეხბურთელი დაიმატა - 33 წლის **ზურაბ მენთეშაშვილი.** ეს ნახევარმცველი რუსთაველ გუნდში მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

მენთეშაშვილი „მეტალურგამდე" „ზესტაფონის" მოთამაშე გახლდათ, თუმცა შარშან, სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს, „ზესტაფონის" ფეხბურთელები რომ გაიფიცნენ, მენთეშაშვილსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა რიგიანი ველარ იყო.

მენთეშაშვილმა პროფესიული კარიერა სწორედ რუსთაველ კლუბში დაიწყო, 90-იან წლებში ამ ქალაქის გუნდს „გორდა" ერქვა. მენთეშაშვილი ასაკობრივ ნაკრებებში 17 წლიდან თამაშობდა, ეროვნულ გუნდში კი 38 კეპი აქვს მონაგრებული.

„სკონტო", „ალანია", „შინიკი", „ვენტსპილსი" - პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემდეგ მენთეშაშვილი ებრაულ კლუბებში თამაშობდა, საქართველოში კი შარშანწინ დაბრუნდა.

გამოცდილი მენთეშაშვილი ალბათ მნიშვნელოვნად გააძლიერებს „მეტალურგს", რომელიც ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა და თასის გათამაშებიდან შეეცდება ევროსაგზურის მოპოვებას.

დავით თავართქილაძე



ზურაბ მენთეშაშვილი

U17

# ელიტრაუნდი: სამივე მატჩი ვენაში

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 25 მარტს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდს დაიწყებს. კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპი 5-დან 17 მაისამდე სლოვაკეთში გაიმართება და იქ თამაშის უფლებას მასპინძელთა გარდა, მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები მოიპოვებენ.

**გიორგი დევდარიანის** გუნდს მეტოქეებად სერბეთი, ირლანდია და ავსტრია ერგო. ჩვენი ჯგუფის მატჩებს ავსტრია უმასპინძლებს.

უკვე ცნობილია ჯგუფის სრული კალენდარი შეხვედრების მომსახურე მსაჯებითა და მატჩების გამართვის დროითა და ადგილით. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ნაკრები სამივე მატჩს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართავს და მის შეხვედრებს სამივეგან პოსტსაბჭოელი არბიტრები განსჯიან:

**25 მარტი**

**14:00* სერბეთი-საქართველო**
*ვენა, "ჰირშტეტენი"*
არბიტრი: ს. დერენოვი (მოლდოვა)

**22:00 ირლანდია-ავსტრია**
*შვეხატ-რანერსდორფი, "შპორტცენტრუმი"*
არბიტრი: მ. სანტოს ფერეირა (პორტუგალია)

**27 მარტი**

**14:00 საქართველო-ირლანდია**
*ვენა, "ჰირშტეტენი"*
არბიტრი: ს. დერენოვი (მოლდოვა)

**22:00 სერბეთი-ავსტრია**
*შვეხატ-რანერსდორფი, "შპორტცენტრუმი"*
არბიტრი: ი. კოზიკი (უკრაინა)

**30 მარტი**

**18:00 ირლანდია-სერბეთი**
*შვეხატ-რანერსდორფი, "შპორტცენტრუმი"*
არბიტრი: მ. სანტოს ფერეირა (პორტუგალია)

**18:00 ავსტრია-საქართველო**
*ვენა, "აუსტრია"*
არბიტრი: ი. კოზიკი (უკრაინა)

** დრო ყველგან თბილისისაა; ავტ.*

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

## გიორგი ჭანტურია:

# ყველაფერი გუცაევმა გამიკეთა

ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადასული **გიორგი ჭანტურია** რუსული მედიის ობიექტივში ხშირად ხვდება. გუშინ მისი მორიგი ინტერვიუ გამოქვეყნდა.

19 წლის თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ "ალანიაში" ქართველი ფეხბურთელების ჩაყრილ ტრადიციას გააგრძელებს და დროთა განმავლობაში, მათ სახელს არ შეარცხვენს.

*"კარგად ვიცი, რომ ქართველები "ალანიაში" მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ჩვენებური ფეხბურთელები გაზაევს ყოველთვის მოსწონდა. აქ თამაში და მომზადება ძალიან მომწონს. ველოდები, როდის დაიწყება რუსეთის პრემიერლიგა"* - ამბობს ჭანტურია.

გიორგიმ "ალანიაში" გადასვლასა და სხვა საინტერესო საკითხებზეც ილაპარაკა: *"ჰოლანდიაში არ მათამაშებდნენ და ამიტომ "ვიტესიდან" გადასვლაზე ვფიქრობდი. იყო შემოთავაზება "ჯენოადან", მაგრამ კლუბი ჩემს გაყიდვაზე არ თანხმდებოდა, მხოლოდ იჯარა აწყობდა. ამ დროს, "ალანიაში" გადასვლა შემომთავაზა გუნდის სპორტულმა დირექტორმა ვლადიმერ გუცაევმა.*



გიორგი ჭანტურია

*ვთხოვე, რომ ჰოლანდიურ კლუბს მოლაპარაკებოდა. გუცაევმა სამ დღეში კონტრაქტი მომცა, რომელიც მომეწონა. ქართველების მიმართ გაზაევის დამოკიდებულებაც ვიცოდი და დავთანხმდი. დეკემბერში ვისვენებდი, როდესაც კონტრაქტი საქართველოში ჩამომიტანეს და ხელი მოვაწერე.*

*რატომ ვერ გავიტანე 4-ზე მეტი გოლი ჰოლანდიის ჩემპიონატში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანია? თავიდან მათამაშებდნენ და სამი გოლი გავიტანე. მაგრამ მერე ტრავმა მივიღე, პრობლემა შემექმნა, რადგან კარგი მიწვევები მქონდა და არ მიშვებდნენ. ხასიათი მქონდა გაფუჭებული და ასეთ დროს, 4 გოლი კიდევ კარგი შედეგია – ყოველდღე "ვიტესიდან" წასვლასა და თამაშზე ვფიქრობდი.*

*რუსეთის ჩემპიონატი ბევრ ქართველს უთამაშია და ვიცი, რომ მძიმე ტურნირია, ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეები არიან, მაგრამ მე ამისთვის მზად ვარ და არ მეშინია - "ალანიაში" ამიტომაც გადმოვედი.*

*ახლა შეკრებაზე დიდი დატვირთვების ფონზე ვთამაშობთ და ამის შედეგია, კარგ ფეხბურთს რომ ვერ ვაჩვენებთ. მაგრამ დაიწყება სეზონი და იმედია, ბევრად უკეთეს გუნდს იხილავთ.*

*... მამუკა კობახიძე ჩემი ბავშვობის მეგობარია და საფეხბურთო სკოლებში, "ოლიმპსა" და "საბურთალოში" ერთად ვთამაშობდით. საერთაშორისო შეხვედრებში გამოუცდელია და ჯერ კიდევ სჭირდება გუნდთან ადაპტაცია. მაგრამ კარგი ადამიანი და ნიჭიერი მოთამაშეა და მჯერა, თავს რუსეთშიც გამოიჩენს".*

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ

## ზვიად მეტრეველი:

# მეოთხედფინალის ბედი ჩვენს ხელთაა

საქართველოს თასის მერვედფინალის ერთ-ერთ ყველაზე თანაბარ წყვილად "ვიტ ჯორჯია"-"სპარტაკი" დავასახელეთ და მცხეთაში გამართულმა მატჩმა ჩვენი მოლოდინი გაამართლა – დაძაბული დაპირისპირება ფრედ, 1:1 დასრულდა, რაც მეოთხედფინალში გასვლის შანსს ორივე გუნდს უტოვებს.

"სპარტაკი" "მცხეთა პარკზე" ზვიად მეტრეველმა დააწინაურა. მან თავი 29-ე წუთზე გამოიჩინა, 48-ეზე კი თანაფარდობა პენალტით გიორგი ჯანელიძემ აღადგინა.

დღეს "ლელოს" რესპონდენტი მეტრეველია, რომელიც განვლილ მატჩსაც იხსენებს და "სპარტაკთან" დაკავშირებულ სხვა აქტუალურ თემებზეც საუბრობს.

**- საუბარი განვლილი მატჩით დავიწყოთ. რას იტყვი მეტოქეზე და მეოთხედფინალში გასვლის შანსებზე?**

- "ვიტ ჯორჯია" სტაბილური კლუბია და იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს, ანგარიშგასაწევ ძალად მიმაჩნია. რთულ მატჩს ველოდით და ასეც მოხდა. 1:1 სტუმრად კარგი შედეგია, მაგრამ მთავარი ბრძოლა ჯერ წინ არის. მცხეთაში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. ცუდია, რომ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ, რაშიც ჩვენი ფეხბურთელის გაძევებამაც შეგვიშალა ხელი.

**- როგორც შევიტყვეთ, გოლი ახლად შეძენილ შვილს მიუძღვენი.**

- დიახ, მატჩის წინა ღამეს პირველი შვილი შემეძინა და რა თქმა უნდა, გოლი პატარა ლილეს მივუძღვენი. გოლის აღნიშვნის ცნობილი რიტუალის შესრულებაში თანაგუნდელები დამეხმარნენ.

**- შენი გოლიდან ორიოდე წუთში "სპარტაკმა" თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა...**

- ძალიან ცუდია, ასე რომ მოხდა. მეორე გოლიც რომ გაგვეტანა, თამაში სულ სხვა სცენარით წარიმართებოდა და მეოთხედფინალისკენ დიდ ნაბიჯს გადავდგამდით, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მთავარი ის არის, რომ მეოთხედფინალის ბედი ჩვენს ხელთაა და საკუთარ მოედანზე გამარჯვება შეგვიძლია. შემთხვევით ვისარგებლებ და შევაქებ "სპარტაკის" ყოფილ მეკარე ნიკა დაუშვილს, რომელმაც შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მის მიერ მოგერიებულმა პენალტმა "ვიტ ჯორჯიას" ძალიან დიდი სამსახური გაუწია.

**- გოლი კონსტანტინე ხიზანეიშვილის პასით გაიტანე, რომელსაც „სპარტაკში" დებიუტი ჰქონდა. ორი გაფრთხილების გამო, მან მატჩი ვერ ჩაამთავრა. მასზე რას იტყოდი?**

- ახალბედა ფეხბურთელია, გამოცდილება აკლია, მაგრამ, მონდომება და ბრძოლისუნარიანობის დეფიციტი ნამდვილად არ აქვს. ვფიქრობ, პირველი მატჩის კვალობაზე მას კარგი დებიუტი ჰქონდა. რაც შეეხება გაძევებას, ალბათ გამოუცდელობის ბრალია. იმედი მაქვს, იგი კვლავაც მონდომებით გააგრძელებს მუშაობას და კარგი ფეხბურთელი დადგება.

**- ხიზანეიშვილის გარდა, „სპარტაკს" კიდევ 3 ახალწვეული ჰყავს. მათზე რა წარმოდგენის ხარ?**

- ნიკა მგელაძე ლიტვიდან დაგვიბრუნდა. ჩვენ ადრეც ერთად ვთამაშობდით "სპარტაკში" და ვისაც მისი თამაში აქვს ნანახი, ყველა დამეთანხმება, რომ მგელაძე დაცვაში საკმაოდ საიმედოა და ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში. ასევე დაგვემატა ახალგაზრდა ფორვარდი ლაშა კემუხტაშვილი და მეკარე ლადო ზუხბაია. ვფიქრობ, ეს ფეხბურთელები მნიშვნელოვნად გააძლიერებენ ჩვენს გუნდს და დიდ სარგებელს მოგვიტანენ იმ მიზნისთვის ბრძოლაში, რასაც უმაღლეს ლიგაში დაბრუნება ჰქვია...

**- პირველი ლიგის B ჯგუფში სოლიდურად ლიდერობთ. „სპარტაკი" პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ ხობის „კოლხეთს" ერთბაშად 9 ქულით უსწრებს. საკმაო ფორაა უმაღლესში დასაბრუნებლად...**

- კი, ეგრეა, ფორა სოლიდურია, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ წინ 17 ტურია. ასე რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს საბრძოლო. თანაც, ზამთრის პაუზისას ტრანსფერები ყველა გუნდს შეეხო, ზოგი გაძლიერდა, ზოგი ისე ძლიერი ველარაა. ვნახოთ, 7 მარტიდან ჩემპიონატში ჩავერთვებით და უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ...

ლევან ჯანეზაშვილი



ზვიად მეტრეველი

ლეგიონი

# ბოხუმი გავარდა, ჯანო ისევ გამორჩეულია

მეორებუნდესლიგურმა "ბოხუმმა" გერმანიის თასის მეოთხედფინალამდე მიაღწია, მაგრამ ამაზე მეტი ველარ შეძლო – გუშინ სტუმრად "შტუტგარტთან" 0:2 დამარცხდა. ორივე ბოხუმელმა ქართველმა შეცვლაზე ითამაშა. 74-ე წუთზე მოედანზე **ნიკოლოზ გელაშვილი** შევიდა, ერთ წუთში კი საქმეში **ალექსანდრე იაშვილიც** ჩაერთო. ამ დროისთვის მათი გუნდი ერთი ბურთის სხვაობით მარცხდებოდა, მალე კი მეორე გოლიც მიიღო.

გაიმართა აზერბაიჯანის თასის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა არაერთმა ქართველმა ლეგიონერმა მიიღო. ბაქოურ დერბიში "ბაქიმ" "ინტერს" უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა. შეხვედრის მე-80 წუთზე "ინტერი" **ილია კანდელაკმა** დააწინაურა, თუმცა "ბაქიმ" მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

"ბაქის" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ფოფხაძემ,** ხოლო **კახა ცხადაძის** გუნდში მოედანზე 90-90 წუთი გაატარეს მეკარე **რევაზ თევდორაძემ, ვალერი აბრამიძემ** და ილია კანდელაკმა. სამივე მათგანმა გაფრთხილება მიიღო. კიდევ ერთი ინტერელი, **გიორგი ლომაია,** სათადარიგო იყო.

**გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილი "სიმურგი" შინ ბაქოს "ნეფჩის" დაუზავდა. აზერბაიჯანის თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები 7 მარტს გაიმართება.

**ჯანო ანანიძე** მოსკოვის "სპარტაკის" მორიგ საკონტროლო მატჩში საგოლე პასის ავტორი გახდა. რუსული კლუბი მარბელაზე ნორვეგიულ "რუსენბორგს" შეხვდა და 2:0 დაამარცხა. დუბლი შეასრულა "სპარტაკის" სომეხმა ახალწვეულმა **იურა მოვსისიანმა,** ჯანოს პასით კი მან თავი მატჩის 53-ე წუთზე გამოიჩინა, როცა თავისი მეორე გოლი გაიტანა. ქართველი ნახევარმცველი ამ შეხვედრაში 49-ე წუთიდან ჩაერთო.

სასიხარულოა, რომ ტრავმისა და სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ ანანიძე "სპარტაკის" შემადგენლობაში სტაბილურად და წარმატებით თამაშობს, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ მოსკოველთა სასტარტო შემადგენლობაში იგი მყარად დაიმკვიდრებს ადგილს.

ლევან ჯანეზაშვილი



ჯანო ანანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# ქართული რესპექტაბელობა



თასის მერვედფინალის პირველმა შეხვედრებმა საინტერესოდ ჩაიარა. სეზონი ამ შეხვედრებით განახლდა და მოულოდნელობის ალბათობაც დიდი იყო. ცოდვა-მადლიც აქედანვე დაეტყო იმ საქმეს, რასაც ქართული საკლუბო ფეხბურთი ჰქვია.

Respect - ეს ფიფა-უეფას ერთ-ერთი ბოლო სლოგანია, რომელსაც შეხვდებით ამ ორგანიზაციების ბიულეტენებზე, პოსტერებსა თუ სხვა საპიარო საშუალებებზე. ეს სიტყვა კი ჩვენებურად პატივისცემას ნიშნავს, უეფამ და ფიფამ ამ ერთ სიტყვაში ჩააქსოვა ის, რასაც ხანდახან ერთი წინადადება სჭირდება.

პატივისცემა უეფას ფილოსოფიაც არის და მოქმედების ფორმაც. **მიშელ პლატინის** პრეზიდენტობის შემდეგ უეფა უფრო პროგრესულად, თანამედროვედ მიუდგა არაერთ საკითხს. უეფას ფაქტობრივად არავინ ემდურის განსხვავებით ფიფასგან. პლატინის უეფა სამაგალითო ორგანიზაცია გახდა, ყველას უსმენს, ყველა პრობლემას ყურადღებით ეკიდება, შეძლებული წევრი-ასოციაციების გარდა დუხჭირ ქვეყნებსა და მათ კლუბებზეც ზრუნავს.

ცხადია, პატივისცემის ფორმები ჩვენთანაც არსებობს, ოღონდაც ცოტა სხვანაირად. განვითარებად ქვეყნებში რესპექტაბელურობა ხშირად მხოლოდ ფულთან ასოცირდება, ალბათ ასე იყო იმ ქვეყნებშიც, რომლებმაც გაიარეს ის გზა, რასაც ახლა ჩვენ გავდივართ, ადამიანი ხომ ყველგან ადამიანია.

ჩვენ შეგვიძლია საქმის გაიოლება, რადგან გვაქვს იმის მაგალითები, თუ როგორ განვითარდნენ სხვა ქვეყნები. საჭიროა სურვილი.

საქართველოში მედია განვითარების ნაცვლად სტაგნაციის პერიოდში აღმოჩნდა. მოფულიანდა ფეხბურთის ფედერაცია, გამოჩნდნენ ფულიანი კლუბები, ფულს მოაქვს წინსვლა და თუ დაფინანსება უწყვეტი იქნება, შედეგი აუცილებლად გამოჩნდება, მაგრამ ფეხბურთს ფულის გარდა სხვა ამხანაგიც სჭირდება - მედია.

პოლიტიკაც ისეთი რამეა, რომელსაც კეთება უნდა. დაიყვნენ ჟურნალისტები და მათი დამქირავებლები ამის თუ იმის მომხრეებად. სოციალურ ქსელ Facebook- შიც კი არ ერიდებიან ჩვენი მედიელები თავიანთი კატეგორიული პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირება-გამყარებას. ნამდვილი თამაშია გაჩაღებული, სადაც ფრე არ არსებობს, მხოლოდ მოგებული და წაგებულია ამ თამაშის შედეგი. პოლიტიკის კეთებისთვის მედია აუცილებელია, ოღონდაც ჩვენთან არავინ აქცევს მკაცრ მნიშვნელობას იმას, თუ როგორ იქცევიან ჟურნალისტები და მათი დამქირავებლები პოლიტიკის კეთებაში, როგორ იცავენ ისინი ჟურნალისტიკურ ეთიკას.

გასაკეთებელია საფეხბურთო სისტემაც, მაგრამ ამხანაგობა მედიასთან ჯერაც ვერ არის კარგი და მყარი. ბევრი რამ ჟურნალისტსაც მოეკითხება და ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი ჟურნალისტური გაერთიანების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება კამათი, სოლიდარობა და შეთანხმების მიღწევა რაღაც-რაღაცებზე. სოლიდარობას ძალიან დიდი ძალა აქვს, მაგრამ ბევრი ამას არ იყენებს ქართულ მედიაში, ზოგს კი ეს სულაც არ სჭირდება.

„ვიტ ჯორჯია“ - „სპარტაკის“ გუშინწინდელ სათასო მატჩზე რა პრეტენზია ჰქონდა თბილისური კლუბის ხელმძღვანელობას ჟურნალისტებთან, გაუგებარიც არის და გასაგებიც. გაუგებარია ის, რომ მსაჯის გადაწყვეტილებებთან რა საერთო უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს, ხოლო გასაგებია ის, რომ არ არსებობს Respect კლუბის მხრიდან ჟურნალისტების მისამართით.

საფეხბურთო კლუბის ყოლა დიდებული საქმეა, მაგრამ ეს ნებაყოფლობითია და ამის გამო სხვას არაფერი უნდა დააყვედრო. თუ ვინმეს რამე არ მოსწონს ქართულ ფეხბურთში, გამოვიდეს და თქვას, ღიად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე თუ ნებისმიერ სხვა საკითხზე. დღესაც ძალმომრეობა და შიშია, თუ რაშია საქმე? უმაღლესი ლიგის კლუბი ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტია და თუ როდესმე ზნეობრივ კომპრომისზე წასულა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მოჰკითხოს ის ცოდვა-მადლი, რაც ქართულ საკლუბო ფეხბურთში ტრიალებს.

საქმემ ისე მოიტანა, რომ საკლუბო ფეხბურთსა და მედიას შორის პარტნიორობის ახალი ჩარჩოებია მოსაძებნი. მედია თუ ლონიერია, ის ქმნის საფეხბურთო სახეებს, თუ საჭირო გახდა, ქვასაც გახეთქავს, მაგრამ მას ჯერ არ აქვს ყველაზე ძვირფასი პროდუქტი - ფული.

ასეთ შემთხვევაში წარმატებული პარტნიორობა რთულად მისაღწევია, ამიტომაც ამ ეტაპზე ისევ უნდა ველოდოთ ნაირგვარ „გამონათებებს“ რაგინდარა კლუბისგან.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

## ზაალ ელიავა: ზესტაფონში ველარ დავრჩებოდი

ზაალ ელიავა "ზესტაფონის" ერთ-ერთი ლიდერი და შეუცვლელი მოთამაშე გახლდათ. ამიტომაც იყო გუნდიდან მისი წასვლა მიმდინარე სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა.

27 წლის მცველმა კარიერა საფეხბურთო კლუბ "მერანი-ოლიმპში" დაიწყო, მერე იყო გიორგი დევდარიანის "თბილისი", რიგის "სკონტო", თბილისის "ლოკომოტივი", თბილისის "დინამო", 2009 წელს კი "ზესტაფონში" ჩაირიცხა და იქ ოთხი სეზონი თამაშობდა. საქართველოს ნაკრებში ელიავამ 8 მატჩი ჩაატარა.

კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო გამოცდილი ფეხბურთელის ბოლნისის "სიონში" გამოჩენა – ცხადია, ასეთ მოთამაშეს უფრო ამბიციურ კლუბში წარმოვიდგენდით და არა საუკეთესო ექვსეულის მიღმა დარჩენილ გუნდში.

ყველაფერი შარშან შემოდგომაზე დაიწყო: "ზესტაფონის" ფეხბურთელებმა გაფიცვა მოაწყვეს, რადგან წარუმატებელი შეხვედრების შემდეგ „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გადაწყვიტა, ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის ხელფასის ნახევარი ჩამოეჭრა - სანქცია „ზესტაფონის“ 19 ფეხბურთელს შეეხო. მათგან ოთხი, ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა, ზურაბ მამალაძე და თორნიკე აფციაური კოკაიამ დაიბარა. გუნდში მღელვარება სწორედ ამან გამოიწვია.

შედეგად, „ზესტაფონი“ მოითხოვდა, რომ დასახელებული ოთხეულისთვის ფეხბურთის ფედერაციას დისკვალიფიკაცია მიეცა, რაც ფიფას წესდებით, ოთხიდან ექვს თვემდე დისკვალიფიკაციას ნიშნავდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა გაფიცვის ინიციატორებად ამ ოთხ ფეხბურთელს მიიჩნევდა.

ამბავი ამით არ დამთავრებულა. მართალია, ფედერაციას შეამბოხეები არ დაუსჯია, მაგრამ ფაქტია, რომ ელიავა "სიონში" იჯარით გადავიდა.

27 წლის მარცხენა მცველი გულნატკენია. ეს ჩვენთან ინტერვიუშიც არ დაუმალავს და ამბობს, რომ "ზესტაფონიდან" წამოსვლა მისი გადაწყვეტილება იყო.



ზაალ ელიავა

**- საქართველოს ჩემპიონიდან, მით უფრო, ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელები უცხოეთში მიდიან, შენ კი "სიონში" გადახვედი. დღემდე უცნობია, ეს მოულოდნელი ნაბიჯი რატომ გადადგი?**

- გეთანხმებით, რომ მოულოდნელი იყო და გარედან ასე გამოჩნდებოდა. ნახევარი წლის წინ "სიონში" თამაშს მეც ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ იყო გარკვეული მიზეზები, რამაც ამ გადაწყვეტილებისკენ მიბიძგა. უბრალოდ, "ზესტაფონში" ველარ დავრჩებოდი.

**- ასეთი რა მოხდა?**

- აღარ დავკონკრეტდები, მაგრამ იმას ვიტყვი, რომ გუნდიდან თავად გადავწყვიტე წამოსვლა, არავის გამოვუშვივარ.

**- ცნობილია, რომ კლუბის პრეზიდენტთან, ილია კოკაიასთან "ზესტაფონის" 4 ლიდერს – შენ, აფციაურს, მამალაძესა და მენთეშაშვილს კონფლიქტი მოგივიდათ. ეს გახდა ყველაფრის თავი და თავი?**

- არა, ეს კონფლიქტი ამოიწურა, ამ ეტაპზე "ზესტაფონში" ველარ ვითამაშებდი.

**- ამ დროს თქვენ მიმართ იყო გარკვეული პრეტენზიები, რომ ორწლიანი კონტრაქტების გაფორმების შემდეგ, მოეშვით და ძველებურად გულიანად არ თამაშობდით.**

- არა მგონია, რომ "ზესტაფონი" იმ დონის კლუბი იყოს, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმო და მოეშვა?! ასეთი ლაპარაკი მეც მესმოდა, მაგრამ ვერ ვხვდები, რანაირად და როდის მოვეშვი? ზერელედ საქმეს არასოდეს მოვკიდებივარ. შეიძლება, ბევრი რამ დამაბრალონ, მაგრამ არა გულგრილი დამოკიდებულება.

**- აშკარაა, რომ გულნატკენი ხარ.**

- იმიტომ, რომ "ზესტაფონში" საუკეთესო წლები გავატარე, გუნდი და მისი გულშემატკივარი დღემდე ძალიან მიყვარს, მაგრამ რაღაც-რაღაცები ისე არ მოხდა, როგორც წარმომედგინა.

**- "ზესტაფონთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

**- მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ, 2014 წლის მაისში.**

- საკმაოდ ბევრი ტიტულის მფლობელი ხარ: საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თასის მფლობელი, სანაკრებო სტატისტიკაც ხელს გიწყობს და უცხოეთში თამაშის შანსი არ გქონდა?

- ამ ეტაპზე სერიოზული არაფერი იყო და მაისამდე "სიონს" ვეკუთვნი. იმედია, მერე რამე გამოჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

## ნავალოვსკი ხაბაროვსკში

**გიორგი ნავალოვსკი** კარიერას ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ და აღმოჩნდა, რომ 26 წლის მარცხენა მცველი უკვე კლუბის განაცხადში შეიყვანეს.

ნავალოვსკიმ სეზონი ნოვოკუზნეცკის „მეტალურგ-კუზბასში“ დაიწყო, სადაც ზაფხულში მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილმა დამრიგებელმა, **ვლადიმირ ფედოტოვმა** წაიყვანა.

26 წლის ნავალოვსკის კლუბიდან წასვლა რომ სურდა, ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ დეკემბერში შევიტყვეთ - საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრა გამოტოვა და სურვილი „ლელოსთან“ დაადასტურა. მაგრამ „მეტალურგ-კუზბასთან“ კონტრაქტი მაისში უმთავრდებოდა და გვითხრა, რომ სავარაუდოდ, მეორე წრისთვისაც „მეტალურგ-კუზბასში“ მოემზადებოდა, რადგან გუნდი არ უშვებდა.

მაგრამ, მისდა სასიხარულოდ, ვითარება შეიცვალა და რუსეთის მოქალაქეობის მქონე თბილისელი ბიჭი ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" აღმოჩნდა. გარიგება ოფიციალურად დაადასტურა კლუბის გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ფელდმანმა**.



გიორგი ნავალოვსკი

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა დროს გიორგი თამაშობდა თბილისის „დინამოში“, რუსთავის „ოლიმპში“, მახაჭყალის „ანჟიში“, ბაქოს „ინტერში“, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგასა“ და „ხიმკიში“, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმა კი 2-ჯერ მოირგო.

ხაბაროვსკის გუნდის მენეჯერი **მამუკა ჯულელია**, მთავარი მწვრთნელი - **გიორგი დარასელია**, "სკა-ენერგიაში" ჩაირიცხნენ **ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა, შოთა გრიგალაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე**, ნავალოვსკი კი მეხუთე ჩვენებურია.

სხვათა შორის, გიორგიმ რუს გულშემატკივრებს თავი ბევრი რამით დაამახსოვრა - კარგი თამაშით, რუსეთის თასზე სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" კარში გატანილი ულამაზესი გოლითა და იტალიის ნაკრების წევრის, **დომენიკო კრიშიტოს** წინააღმდეგ ეფექტური თამაშით და კიდევ - ფიცხი ხასიათითაც: 2012 წელს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია იმიტომ მიიღო, რომ ეკატერინბურგის "ურალის" სომეხი მოთამაშე **ედგარ მანუჩარიანი** შემოელახა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



უცნობი ქართველები

## საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია

# ვინ არის ნიკა ფილიევი?



ზამთრის სატრანსფერო სეზონში რუსეთის პირველი ლიგის კლუბებში რამდენიმე ქართველი მოხვდა, ბევრიც გაუშვეს. ხაბაროვსკის "სკა-ენერგიას" ამბები კარგად იცით და თავს აღარ შეგაწყენთ. ისიც გეცოდინებათ, რომ "ხიმკი" დატოვა **ლევან გვაზავამ**, "ნეფტეხიმიკი" – საქართველოს ნაკრების კანდიდატმა **გიორგი ჯანელიძემ.**

დღეს უცნობ ამბებს მოგახსენებთ: კალინინგრადის "ბალტიკიდან" "ტიუმენში" გადაბარგდა **ალექსანდრე შუბლაძე;** პრიჟედორის "რუდარში" გააგრძელებს კარიერას მოსკოვის "ტორპედოს" 21 წლის თავდამსხმელი **აპოლონ ლემონჯავა,** რომელსაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და საერთოდ, უამრავ კლუბში მოგზაურობით არის ცნობილი – სხვათა შორის, "ფეიენოორდსა" და "შალკეშიც" კი უვარჯიშია; ბელგოროდის "სალიუტიდან" რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი, 29 წლის **გიორგი მიქაძე** გაუშვეს;. ყაზანის "რუბინიდან" ნიჟნეკამსკის "ნეფტეხიმიკში" გადავიდნენ **საბა კვირკველია** და **მერაბ ურიდია.** "სიბირის" 21 წლის თავდამსხმელი **ირაკლი ლოგუა** ასტრახანის "ვოლგარში" გადავიდა. ასტრახანულ კლუბში ითამაშებს მოსკოვის "სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდის 18 წლის თავდამსხმელი **თემურ ბუკიაც;**

იქვეა ნახევარმცველი **ნიკა ფილიევი,** რომლის ისტორიამაც განსაკუთრებით დაგვაინტერესა: 21 წლის ნახევარმცველი თბილისში ყოფილა დაბადებული, მაგრამ 7 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი სოჭში დასახლდა, მერე კი მოსკოვში და "ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლაში გაზარდეს. ამ გუნდის ფორმით 2009 წელს რუსეთის პრემიერლიგაში ითამაშა კიდეც. მისი დებიუტი რუსეთის პრემიერლიგაში 2009 წელს 16 მაისს მე-9 ტურში გროზნოს „ტერეკის" წინააღმდეგ ჰქონდა. 2009 წლის 31 აგვისტოს მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა, რომლის რიგებშიც 2009 წლის 15 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგაში გერმანული "ვოლფსბურგის" წინააღმდეგ ითამაშა - სულ ლიგაზე 3 მატჩი ჩაატარა.

მალე დედაქალაქურ დერბიში მოსკოვის "დინამოს" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში დააყენეს და რუსული მედიის მტკიცებით, არმიელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. მაგრამ დაშავდა და კარიერა ამის შემდეგ აერია – ერთი სეზონი გაუცდა და პერმის "ამკარში" იჯარით გაუშვეს. სულ პრემიერლიგაში 9 მატჩი ჩაატარა. 2011 წელს ცსკა-ში დაბრუნდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აკლდა და 2012 წელს ბრატისლავის "სლოვანში" იჯარით გაუშვეს.

რუსეთში წლეულს დაბრუნდა და ასტრახანის "ვოლგარში" იჯარით ჩაირიცხა.

ნიკა ფილიევს უთამაშია რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში და 2009 წელს გრანატკინის სახელობის ტურნირზე სამი გოლით საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

და რაც მთავარია: ყველა საერთაშორისო ცნობარში მითითებულია, რომ ნიკა ფილიევი საქართველოს მოქალაქე გახლავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## მერაბ რატიანი:

# მიპასუხონ, დინამო კანონიერად ჩამომართვეს?

**წლეულს 19 იანვარს, ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს შპს "ბერმუხას" დამფუძნებელი მერაბ რატიანი - 1992 წლიდან თბილისის "დინამოს" აქციათა 80 პროცენტის მფლობელი და ვიცე-პრეზიდენტი, 2000 წლიდან კი – 100-პროცენტიანი წილის მქონე პრეზიდენტი.**

**მერაბ რატიანი ამბობს, რომ მისი დაპატიმრება სწორედ თბილისის "დინამოს" უკავშირდებოდა:**

- 2000 წელს თბილისის "დინამოში" თანხების გაფლანგვის საბაბით დამაკავეს. მაშინაც, რეალურად, გუნდის წართმევა სურდათ. მაგრამ საბუთებს ხელი არ მოვაწერე და "დინამო" არ დავთმე, თუმცა, მაშინდელმა სასამართლომაც კი დარბაზიდან გამათავისუფლა.

2007 წელს ეს ამბავი ისევ ამოქექეს, რადგან იმ პერიოდში ბადრი პატარკაციშვილი პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო და მასზე კომპრომატის მოგროვება სურდათ. იმედოვნებდნენ, რომ ბადრის წინააღმდეგ ჩვენებას მივცემდი, თითქოს, გუნდის ძალადობრივად წართმევაში აქტიურად მონაწილეობდა. არადა, რაც ბუნებაში არ მომხდარა და რაშიც დარწმუნებული არ ვიყავი, იმას ვერ დავაბრალებდი - გუნდი მან კი არა, შსს-მ წამართვა.

**- ოფიციალურად ნარკოტიკის მოხმარებაზე დაგაკავეს.**

- ნარკოტიკის ამბავი გაქრებოდა და "დინამოსაც" დამიბრუნებდნენ, ტელევიზიით ბადრის საწინააღმდეგო ჩვენებას თუ მივცემდი. ეს იყო საბაბი და მეტი არაფერი.

**- ახლა რას აპირებთ?**

- დარწმუნებული ვარ, მალე სამართლიანობა აღდგება, სარჩელს აუცილებლად შევიტან.

**- "დინამო" ხელიდან ხელში იმდენჯერ გადავიდა, ბევრი ფიქრობს, რომ ახლა დავა ძალიან გაგიჭირდებათ. მეორე მხრივ, გუნდის ამჟამინდელმა მეპატრონემ რომან ფიფიამაც გუნდისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა...**

— მესმის, რომ ბევრი რამ გააკეთა და ფიფიამ მართალი თქვა, ჩვენ ერთმანეთში გასარკვევი არაფერი გვაქვს. ან რომ შევხვდეთ, რაზე უნდა ველაპარაკო, კლუბში ვინ რამდენი ფული ჩავდეთ? ჩვენზე მეტი "დინამოში" რომ არავის დაუხარჯავს, ეს დანამდვილებით ვიცი. თუმცა, მეორე მხარეა - მაინტერესებს, 2000 წელს "დინამო" კანონიერად ჩამომართვეს? ან როგორ შევეგუო, უსამართლოდ რომ მომექცნენ.

ათას რამეს მაბრალებდნენ, მაგრამ გუნდი ჩემი იყო და რის საფუძველზე წამართვეს? ერთოთახიან ბინას რომ ყიდულობენ, მაშინ ინტერესდებიან, საბუთები წესრიგში არის თუ არა და მე ის მიკვირს, "დინამოზე" კითხვა არ დაიბადება, რატომ იყო სადავო? ვეტერანმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, იყო თუ არა ეს საკითხი იურდიულად კანონიერად გაფორმებული.

აქვე მინდა ჩვენს ხელში გაზრდილ ორ ფეხბურთელზეც გითხრათ: კახა კალაძეს ახალი საქმიანობის დაწყებას ვულოცავ. კახა განათლებული ბიჭი იყო და დარწმუნებული ვარ, ისეთივე წარმატებული მინისტრი იქნება, როგორიც ფეხბურთელი იყო. მიხარია, რომ გიორგი დემეტრაძე უკვე თავისუფალია. მადლობა მას, რომ ყველა ინტერვიუში თბილად მიხსენიებდა. ციხეში ყოფნისას ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

**- თბილისის „დინამოსთან" დაკავშირებით არაერთი კითხვა არსებობს.**

- მე მზად ვარ, ყველა ამ კითხვაზე დაწვრილებით და დასაბუთებულად გავცე პასუხი. ახლა კი ამ მოკლე ინტერვიუთი შემოვიფარგლოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# პოლანდიური პროექტის ქართული ვერსია

## 11 მარტიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე



პროექტის ჟიური. მარცხნიდან: დავით მუჯირი, დავით მინაშვილი, სოსო ლალიძე

პროექტი "კომენტატორი" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებული სატელევიზიო შოუა, რომლის ქართული ვერსია 11 მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავა. პროექტის მიზანია ნიჭიერი კომენტატორების აღმოჩენა და მათთვის გზის გახსნა.

პროექტი კასტინგით დაიწყო, რომელშიც უამრავმა მსურველმა მიიღო მონაწილეობა და მათგან 88 საუკეთესო შეირჩა. სწორედ ამ ეტაპიდან იწყება სატელევიზიო შოუ, რომელიც 12 გადაცემას მოიცავს. კონკურსანტების რაოდენობა ტურიდან ტურამდე შემცირდება, კულმინაცია კი ლაივ შოუა, რომელშიც ფინალისტები მიიღებენ მონაწილეობას.

ტურიდან ტურამდე კონკურსანტებს სპეციალური დავალებები ეძლევათ, მეტწილად კი კომპეტენტური ჟიურის წინაშე კონკრეტული მატჩების რამდენიმეწუთიანი ფრაგმენტების წაყვანა უწევთ. რაც უფრო მოახლოვდება ფინიში, მით უფრო გართულდება დავალებები. ნახევარფინალისტებს ჩემპიონთა ლიგის მატჩის თითო ტაიმის წაყვანა მოუწევთ, მხოლოდ შოუსთვის და არა პირდაპირი ეთერით, ფინალისტები კი საქართველოს თასის პაექრობაზე იმუშავებენ - ფრაგმენტებს წაიყვანენ და გუნდების მწვრთნელებთან ინტერვიუებს აიღებენ. გამარჯვებულ კონკურსანტთან საზოგადოებრივი მაუწყებელი 1-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს; დაჯილდოვდება ფინალისტი; საუკეთესო მონაწილე გოგონა და ხალხის სიმპათია, რომელიც ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაცხადდება.

აქვე ვთქვათ, რომ ჟიური სამი წევრისგან შედგება: **დავით მუჯირი** დამწყებ კომენტატორებს საფეხბურთო ნიუანსებში განსწავლულობას უმოწმებს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი **სოსო ლალიძე** კონკურსანტთა არტისტულობას აფასებს, ცნობილი კომენტატორის **დავით მინაშვილის** როლს კი ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება.

პირველ ტურზე 88 კონკურსანტის ნაცვლად 83 გამოცხადდა - როგორც ჩანს, 5 ნომინანტს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი შეეპარა. 83-მა კონკურსანტმა უკვე გაიარა პირველი გამოცდა, რომლის შედეგებსაც 11 მარტიდან გავიგებთ. საკონკურსო ტურები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იმართება, სადაც საგანგებოდ მოწყობილ დარბაზში მონაწილეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი. პროექტის პროდიუსერმა **სანდრო ცნობილაძემ** შთაბეჭდილებები გაგვიზიარა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა...

**სანდრო ცნობილაძე:** *"კომენტატორი" ჰოლანდიური პროექტია, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება საქართველოშიც. კასტინგი 1000-ზე მეტმა მსურველმა გაიარა, რომელთაგან 88 მონაწილე შევარჩიეთ. პირველი ტურის შემდეგ, 32 მონაწილე დარჩება, შემდეგ 16 და ბოლოს, მივალთ ფინალამდეც, რომელიც 27 მაისს ლაივ შოუს ფორმატით გაიმართება. საგულისხმოა, რომ არაერთი გოგონა გვყავს, რომლებმაც თავი კარგად წარმოაჩინეს. მთლიანობაში, ჩვენი მოლოდინი გამართლდა, რადგან რამდენიმე მართლაც ნიჭიერი კონკურსანტი გვყავს. პირადად მე, 10-12 მონაწილეს გამოვარჩევდი, ეს კი ცოტა ნამდვილად არაა. პირველ ტურში, მათ საქართველოს ჩემპიონატიდან 3-წუთიან მონაკვეთზე მოუხდათ მუშაობა, შემდეგ კი დავალებები უფრო გართულდება. ბოლოს, მინდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადავუხადო მადლობა, რომელიც პროექტს უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს".*

**ლაშა ნიკლაური**

®



ასოციაციის თასი. 1/8-ფინალი. საპასუხო მატჩი

# ლივერპულს აჯობეს, ევერტონს ვეღარ



კევინ მირალიაში „ევერტონს“ სეზონში სულ რალაც მეოთხე გოლით შეეწია

| ევერტონი–ოლდჰემი | 3:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 მირალიაში (15), 2:0 ბეინსი (34-პენ), 3:0 ოსმანი (62), 3:1 სმიტი (63)

**ევერტონი:** ჰოვარდი, კოულმენი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი, ნევილი, პიენაარი (88. ჰიტცლშპერგერი), ოსმანი, გიბსონი, მირალიაში (83. ნეისმიტი), იელავიჩი

**ოლდჰემი:** ბუზანისი, გრაუნდსი, მვოტო, ტარკოვსკი, ბრაუნი (75. ვესოლოვსკი), ფერმენი, ობიტა (54. სიმპსონი), ბერნარდი, კროფტი, იველუმო (54. სმიტი), ბაქსტერი

9 მარტს „გუდისონ პარკზე“ „ევერტონი“ ასოციაციის თასის 1/2-ფინალის საგზურისთვის „უიგანს“ დაუპირისპირდება. იქამდე კი მერსისაიდელებს განმეორებით შეხვედრაში ლიგა ერთის „ოლდჰემ ატლეტიკთან“ მოუხდათ ურთიერთობების გარკვევა. შეგახსენებთ, რომ 16 თებერვალს „ბანდარი პარკზე“ თამაში 2:2 დასრულდა. „ლურჯებისთვის“ „ოლდჰემთან“ გამკლავება თუნდაც იმიტომ იყო პრინციპული, რომ ქვედალიგელმა წინა ეტაპზე „ლივერპული“ გააგდო. **დევიდ მოიესის** შეგირდებმა თანაქალაქელთან საკუთარ უპირატესობას ამით კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი.

სამშაბათ სალამოს ყველაფერი ფავორიტების მიერ დაწერილი სცენარით წარიმართა. **ლეიტონ ბეინსს** ანგარიშის გახსნა მესამე წუთზევე შეეძლო, მაგრამ კაპიტანმა სახიფათო საჯარიმო ცოცხალ კედელს ვერ გადააცილა. მე-15 წუთზე კი მოსახდენი მაინც მოხდა: მარჯვენა ფლანგიდან **დარონ გიბსონის** პასს **კევინ მირალიაში** გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან გაიტანა. რამდენიმე წუთში ექსევერტონელმა **ჟოზე ბაქსტერმა** შორიდან სცადა გატანა, მაგრამ ხარიხას გაარტყა. 34-ე წუთზე არბიტრმა **მაიკლ ოლივერმა** პენალტი **კონორ ბრაუნის** მიერ ხელით თამაშისთვის დანიშნა და არა **ნიკიცა იელავიჩის** წაქცევისთვის, როგორც ეს შეიძლებოდა მაყურებელს მოსჩვენებოდა. **დინ ბუზანისმა** ბეინსს კუთხე კი გამოუცნო, მაგრამ ძლიერ დარტყმას მაინც ვერ გაუმკლავდა. მეორე ნახევარში სტუმარი ცოტა გააქტიურდა, მაგრამ მათი მონდომება **ლეონ ოსმანმა** წყალს გაატანა. მან **სტივენ პენაარის** ჩაწოდებას თავით მხოლოდ მიმართულება შეუცვალა. ბუზანისი დააბნია იელავიჩის ახლოს ყოფნამაც. საბოლოოდ ბურთი მეკარის ხელებიდან ბადეში გაეხვა. ზუსტად ერთ წუთში შეცვლაზე შესულმა **მეტ სმიტმა** კუთხურის გათამაშებისას მასპინძელთა მცველებს თავზე აჯობა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ვარსკვლავი. რაიან გიგზი




შაბათს „ქუინზ პარკთან“ რაიან გიგზმა კარიერაში 999-ე თამაში ჩაატარა

# მეორე ახალგაზრდობა

სხვადასხვა წყაროს ცნობით, შაბათს, „ქუინზ პარკთან“ შეხვედრა **რაიან გიგზისთვის** 999-ე იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით. რიცხვი სწორია, მაგრამ ფორმულირებაა მცდარი. ლეგენდარული უელსელისთვის ეს იყო 999-ე თამაში კარიერის განმავლობაში. აქედან 931 „იუნაიტედის“, 64 უელსის ეროვნული გუნდისა და 4 ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში. „დეილი მეილმა“ საინტერესო ცხრილი შემოგვთავაზა, საიდანაც ირკვევა, რომ 1991 წლის 2 მარტისთვის, მაშინ, როცა დიდ ფეხბურთში გიგზის დებიუტი შედგა, „იუნაიტედის“ ამჟამინდელი შემადგენლობიდან 2 ფეხბურთელი (**ფილ ჯონსი, ნიკ პაუელი**) ჯერ დაბადებულიც კი არ იყო; 4 (**დენი უელბეკი, დავიდ დე ხეა, რაფაელი, ბენ ეიმოსი**) ჯერ ერთი წლისაც არ გახლდათ; ყველაზე უფროსი კი (**პოლ სქოულზი**) მხოლოდ 16 წლისა იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვებგვერდთან „წითელი ეშმაკების“ ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა **დენის ირვინმა** („ოლდ ტრაფორდზე“ 1990/2002 წლებში თამაშობდა) და **ლუ მაკარიმ** (1973/84) გიგზის „მეორე ახალგაზრდობაზე“ ილაპარაკეს.

**ლუ მაკარი:** „მიმდინარე სეზონში, შარშან, შარშანწინაც ვილაცებმა გიგზი არაერთხელ „ჩამოწერეს“, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, თუ რამდენად მაღალი დონის პროფესიონალთან ჰქონდათ საქმე. ამასობაში კი ის დროს არ კარგავდა და აგრძელებდა ისე თამაშს, როგორც ეს შაბათს ვნახეთ „ქუინზ პარკთან“. ჰგავდა თუ არა ის 40 წლის ვეტერანს? მე ასე არ მომჩვენებია. რაიანი მოედანზე დაუღალავად გადაადგილდებოდა, ბურთს თავდაჯერებული ფლობდა და ბრწყინვალე პასებს არიგებდა. მისი უმაღლესი კლასის დადასტურებაა ის, რომ მწვრთნელი მას დღემდე ანდობს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. სერ ალექსი გულშემატკივარს ხანდახან აოცებს თავისი საკადრო გადაწყვეტილებებით, მაგრამ ფაქტია, რომ ბოსმა ყოველთვის ჩვენზე მეტი იცის. თუკი მას სჭირდება გიგზი და სქოულზი, ეს ნიშნავს, რომ ვეტერანებს ჯერ კიდევ შეუძლიათ გუნდს გარკვეული სარგებელი მოუტანონ. ეს ფეხბურთელები მოედანზე გამოდიან და ამტკიცებენ, რომ მწვრთნელი მათ ტყუილად არ ენდობა. გიგზისა და სქოულზის გამოცდილების გაუთვალისწინებლობა დიდი შეცდომა იქნებოდა. შესაძლოა, დროდადრო ჩავარდნა მათაც ჰქონდეთ, მაგრამ ეს ყველას მოსდის. მათგან, ვისაც 40 წელი უსრულდება, რა გასაკვირია?“

**დენის ირვინი:** „მხოლოდ თვალი უნდა შევავლოთ გიგზის ვარჯიშებს და დარწმუნდებით, რომ ის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება. არ დაგავიწყდეთ, რომ ის კარიერას როგორც გარემარბი ისე იწყებდა. შაბათს გიგზი ცენტრში თამაშობდა და ძალიან ბევრს მოძრაობდა. ის არც დაცვაში თამაშს თაკილობდა. ვეთანხმები ლუს, გიგზს ოსტატობა რომ არ ჰყოფნიდეს, მწვრთნელი მას მინდორს არ გააკარებდა. სერ ალექსს სჯერა რაიანის. 999 თამაში კარიერის განმავლობაში დაუჯერებელი ფაქტია. გიგზს ახალგაზრდობაში მუხლის მყესების პრობლემა ჰქონდა. შემდეგ მან იოგაში ვარჯიში დაიწყო, რაც ძალიან წაადგა. ბუნებრივია, მწვრთნელი უკანასკნელი 8-9 წლის განმავლობაში მას მაქსიმალურად ზოგავდა, თუმცა რაიანი მაინც ნამდვილ ათლეტად რჩება. მას ერთი გრამი ცხიმიც არ აქვს სხეულზე. ახალგაზრდა ფეხბურთელებს შეუძლიათ ძალიან ბევრი რამ ისწავლონ გიგზისა და სქოულზისგან“.

გაუგებრობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტემფორდ ბრიჯზე ლეგენდებს აღარ აფასებენ

დაგვეთანხმებით, რომ ინგლისურ ფეხბურთში ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება განსაკუთრებული ტრადიციაა. თამაშის სტილს თუ არ ჩავთვლით, კუნძულელები სხვებისგან, პირველ რიგში, სწორედ ამით გამოირჩევიან და ის, რაც ამ დღეებში გახდა ცნობილი, „ჩელსის“ ფანებს განსაკუთრებულად ატკენდა გულს. 2012 წლის მაისში **რომან აბრამოვიჩს** ყველაზე დიდი ოცნება აუხდა, როცა მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვა. ტრიუმფი ნამდვილად არ შედგებოდა, რომ არა **რობერტო დი მატეო.** 42 წლის იტალიელისა და მისი ბედნიერი შეგირდების ფოტოებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა „ჩელსის“ სტადიონსა და მუზეუმში. 26 თებერვალს კი „დეილი მეილის“ ჟურნალისტმა **ნილ ეშტონმა** აღმოაჩინა, რომ „სტემფორდ ბრიჯის“ დასავლეთ კედელზე გაკრული პლაკატი, სადაც იტალიელი იყო გამოსახული, არენას უკვე აღარ ამშვენებდა. „ჩელსის“ წარმომადგენელთა თქმით, ამის მიზეზი არის ის, რომ დი მატეო გუნდში უკვე აღარ მუშაობს. ფიცის შეიძლება იწამო კიდეც, რომ არა **დიდიე დროგბას, ჟოზე ბოსინგვას, რაულ მეირელეშისა** და სხვათა ფოტოები, რომლებიც ტრიბუნის კედლებს ჯერ კიდევ ამშვენებს. პრესსამსახურის მტკიცებით, დი მატეოს საწინააღმდეგო კლუბში რომ არაფერი აქვთ, ამაზე ისიც მოწმობს, რომ რობერტო ასოციაციის თასით ხელში სტადიონის სხვა ნაწილზეა გამოსახული.

ამბები

## არსენალი ბერგკამპის ძეგლს გახსნის

„ჩელსისგან“ აბსოლუტურად განსხვავებულად იქცევა „არსენალი“. „მეთოფეები“ „ემირეტსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე **ტიერი ანრის, ტონი ადამსისა** და **ჰერბერტ ჩეპმენის** გვერდით **დენის ბერგკამპის** ძეგლის გახსნასაც აპირებენ. ჰოლანდიელი ჩრდილოლონდონელთა რიგებში 1995/2006 წლებში თამაშობდა. ის 3-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი და 4-ჯერ მოიგო ინგლისის თასი.

## ასოციაცია გამოიძიებს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარის **დევიდ ბერნშტეინის** განცხადებით, მისი ორგანიზაცია „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ლივერპულის“ 21-წლამდელთა მატჩისას (0:1) მომხდარი ინციდენტის გამოძიებას იწყებს. პირველ ეტაპზე შეხვედრის მთავარი არბიტრის ოქმისა და შეხვედრის ვიდეოჩანაწერის შესწავლა მიდის. თამაშის ბოლო წუთებზე მოედანზე „ეშმაკების“ ფანი გადაიჭრა, ვინც მერსისაიდელთა თავდამსხმელ **ადამ მორგანს** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. „ლენგთრი პარკის“ ტრიბუნებზე ვითარება იქამდეც დაძაბული იყო. ფანებმა პიროტექნიკური საშუალებები აანთეს და ერთ-ერთი მინდორზეც გადმოაგდეს.

## იუნაიტედი როდრიგესს აკვირდება

შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენლები „დრაგაუზე“ „პორტუ“-“რიუ ავეს“ შეხვედრას (2:1) დაესწრნენ. მოედანზე ორი ფეხბურთელი იყო, ვისი თამაშიც „ეშმაკებს“ აინტერესებდათ. მასპინძელთა შორის პირველ ტაიმშივე შევიდა შეცვლაზე 21 წლის კოლუმბიელი მარცხენა გარემარბი **ხამეს როდრიგესი,** სტუმართა რიგებში კი თამაში ძირითადში დაიწყო „იუნაიტედიდან“ სამშობლოში იჯარით გაშვებულმა თავდამსხმელმა **ბებემ.** „დეილი მეილის“ ცნობით, სამხრეთამერიკელი ერთ-ერთია იმ ფეხბურთელთა შორის, ვის შეძენაზეც სერ **ალექს ფერგიუსონი** სერიოზულად ფიქრობს. როდრიგესს მიუხედავად მწირი სათამაშო პრაქტიკისა, მიმდინარე სეზონში მარტო ჩემპიონატში 13 თამაშში 7 გოლი და 6 საგოლე გადაცემა აქვს. პერსპექტიულ ფეხბურთელს „დრაკონებთან“ ხელშეკრულება 2016 წელს უმთავრდება. „პორტუს“ მოთამაშის საკომპენსაციო თანხა წინდაწინ აქვს განსაზღვრული – 40 მილიონი ევრო.

## სიტის ნასრი აღარ სჭირდება

2011 წელს „არსენალიდან“ **სამირ ნასრის** ყიდვა „მანჩესტერ სიტის“ 25 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ფრანგმა ნახევარმცველმა „ქალაქელთა“ რიგებში კარიერა შთამბეჭდავად დაიწყო. სამირი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მეპასე იყო. თუმცა მიმდინარე სეზონში მას თამაში აღარ მისდის. 25 წლის პლეიმეიკერის ანგარიშზე ჩემპიონატში სულ რალაც 1 გოლი და 3 შედეგიანი გადაცემაა. ამასთან, მას მერე, რაც **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა, ნასრის ძველებურ მონდომებას რა ხანია ვერ ვატყობო, მთავარ მწვრთნელთანაც დაეძაბა ურთიერთობა. პრემიერლიგის მოქმედ გამარჯვებულებთან ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2015 წლის ივლისამდე აქვს. კლუბი სერიოზულად ფიქრობს მასთან დამშვიდობებაზე. ვარსკვლავი 18 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. მისი შეძენა მილანის „ინტერსა“ და „პარი სენ-ჟერმენს“ სურთ.

## პსჟ რუნიში 40 მილიონს იხდის

„ტაიმსის“ ცნობით, „პარი სენ-ჟერმენი“ ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ **უეინ რუნის** შეძენას შეეცდება. „ლურჯ-წითლები“ მზად არიან, 40 მილიონი ფუნტი (46,27 მილიონი ევრო) გადაიხადონ. 27 წლის თავდამსხმელს „იუნაიტედთან“ კონტრაქტი 2015 წლის ივლისამდე აკავშირებს, რომლის თანახმადაც ის პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. პსჟ მზადაა, ინგლისელს უკეთესი პირობები შესთავაზოს - კვირაში 250 ათას ფუნტი (290 ათასი ევრო). ცხადია, „ტაიმსის“ ავტორიტეტს ეჭვქვეშ არ ვაყენებთ, მაგრამ რუნის „პარკ დე პრენსზე“ გადაბარგების პერსპექტივას ეჭვით ვუყურებთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი.

# ველეს სარსფილდის რევანში

## ბერნარდმა „არსენალი“ გაანადგურა

**III ჯგუფი. II ტური.**

**არსენალი–ატლ. მინეირო 2:5**

**გოლები:** 1:0 ფურჩი (2), 1:1 ბერნარდი (8), 1:2 დიეგო ტარდელი (29), 1:3 ჟო (36), 2:3 ნ. აგირე (41), 2:4 ბერნარდი (54), 2:5 ბერნარდი (59).

**გამოუყენებელი პენალტი:** რონალდინიო (88. ატლეტიკო მინეირო).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 2. სტრონგესტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 6 |
| 3. სან პაულო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. არსენალი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

**IV ჯგუფი. III ტური.**

**პენიაროლი–ველესი 0:1**

**გოლი:** 0:1 პრატო (87).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 2. პენიაროლი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. ემელეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. დეპ. იკიკე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**V ჯგუფი. II ტური.**

**ტიხუანა–სან ხოსე 4:0**

**გოლები:** 1:0 ე. კასტილიო (4), 2:0 პ. აგილარო (47), 3:0 ხ. კორონა (49), 4:0 ფ. მარტინესი (74).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტიხუანა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. კორინთიანსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. სან ხოსე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 4. მილიონარიოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**VI ჯგუფი. III ტური.**

**დეპ. ტოლიმა–რეალ გარსილ. 0:1**

**გოლი:** 0:1 სალასარი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალ გარსილ. | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2. დეპ. ტოლიმა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. სანტა ფე | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. სერო პორტენიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო); 2 – ივან ალონსო (ნასიონალი), ჟო (ატლეტიკო მინეირო), ე. ბენიტესი (ტოლუკა), ხ. ოლივერა (პენიაროლი), ა. პენია (კარაკასი), ვ. სანჩესი (ნასიონალი), უბილია (უნივერსიდად დე ჩილე).



რონალდინიოს წარმოუდგენლად ეუხეშნენ

ლიბერტადორესის თასის გუშინდელი ცენტრალური მატჩი მონტევიდეოში, ლეგენდარულ „სენტენარიოზე“ გაიმართა. თასის 5-გზის მფლობელი და IV ჯგუფის ლიდერი „პენიაროლი“, 1994 წლის ჩემპიონ „ველეს სარსფილდს“ მასპინძლობდა, რომელსაც ორი ტურის შემდეგ სამი ქულა ჰქონდა. ეს გუნდები ერთმანეთს ბოლოს 2011 წლის გათამაშების 1/2-ფინალში შეხვდნენ. მაშინ, „პენიაროლმა“ შინ 1:0, **დარიო როდრიგესის** გოლის წყალობით მოიგო, სტუმრად 1:2 წააგო და ფინალში გავიდა, სადაც უკვე „სანტოსთან“ დამარცხდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელი შეხვედრა ძალიან დაძაბული და ჩაკეტილი გამოდგა. შეხვედრის ერთადერთი გოლი ცვლილებაზე გამოსული **ხონათან კოპეტეს** აქტიურობას მოჰყვა – მატჩის 87-ე წუთზე, კოლუმბიელმა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში **ლუკას პრატო** მოძებნა, რომელმაც ზუსტი დარტყმით „ველესს“ სამი ქულა მოუტანა. ურუგვაელებმა 17-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტეს, ხოლო შინ 2012 წლის 20 მაისის შემდეგ პირველად დამარცხდნენ. ამ გამარჯვების წყალობით, **რიკარდო გარეკას** გუნდი ჯგუფში გალიდერდა, „პენიაროლი“ კი მეორე ადგილზეა.

ისტორიული შედეგი დაფიქსირდა ბუენოს აირესში, სადაც **ხულიო გრონდონას** სახელობის სტადიონზე, „არსენალი“ „ატლეტიკო მინეიროს“ მასპინძლობდა. 2011 წლის კლაუსურას გამარჯვებულმა მატჩი ძალიან კარგად დაიწყო და **ხულიო ფურჩის** გოლის წყალობით უკვე მეორე წუთზე დაწინაურდა, მაგრამ ბრაზილიელებმა წინ გასვლა პირველივე ტაიმში მოახერხეს – გოლები ახალგაზრდა **ბერნარდმა**, გუნდში ყატარული „ალ გარაფადან“ დაბრუნებულმა **დიეგო ტარდელიმ** და **ჟომ** გაიტანეს. საბოლოოდ, 20 წლის ბერნარდმა მეორე ტაიმში კიდევ ორი გოლი გაიტანა და ჰეთთრიქი შეასრულა. 88-ე წუთზე **რონალდინიომ**, რომელმაც ერთი საგოლე პასი შეასრულა (მე-8 წუთზე), პენალტი ვერ გამოიყენა. 11-მეტრიანის დანიშვნა კი **დიეგო ბრაგიერის** გაუგონარ უხეშობას მოჰყვა – არგენტინელთა მცველმა რონალდინიოს წვივში ორი გაშლილი ფეხი ჩაარტყა, მაგრამ ბრაზილიელი ტრავმას სასწაულებრივად გადაურჩა. გადარჩა ბრაგიერიც, რომელმაც ამ ეპიზოდში ყვითელი ბარათიც კი არ მიიღო.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის ეს შედეგი ისტორიული: ამის შესახებ შეგიძლიათ „ლელოს“ ამავე ნომერში, რუბრიკაში „კვირა ციფრებში“ წაიკითხოთ.

დარჩენილი ორი დაპირისპირება შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევდა. მექსიკის ჩემპიონმა „ტიხუანამ“, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლივიური „სან ხოსე“ გაანადგურა, ხოლო პერუს „რეალ გარსილასომ“ სტუმრად კოლუმბიურ „დეპორტეს ტოლიმას“ მოუგო და საკუთარ ჯგუფში გალიდერდა. სტუმრებმა, გამარჯვების მომტანი გოლი მატჩის ბოლო წუთზე, ცვლილებაზე შემოსული ფეხბურთელების მეშვეობით გაიტანეს – არგენტინელმა **ალფრედო რამუამ** საგოლე ბურთი **იოშირო სალასარს** გადააწოდა და ამ უკანასკნელმა საკუთარ გუნდს მოულოდნელი 3 ქულა მოუტანა.

კვირა ციფრებში

# ბრწყინვალე ბეილი, პარიზელთა მიღწევები და დიდი იმედგაცრუება

**ორი გასაოცარი შედეგი, შეწყვეტილი დაუმარცხებელი სერია და რამდენიმე საინტერესო რიცხვი „პარკ დე პრენსიდან“ – ყველაფერი ეს დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში, რომელშიც გარეთ ბეილი, დევიდ ბექჰემი, ბერნარდი, სანტი კასორლა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მაიკლ მაკგლინჩი და რონალდინიო მოხვდნენ...**

**400** ეს რიცხვი კვირას პარიზში აქტუალური იყო. „მარსელთან“ გამართული შეხვედრა, **სილვენ არმანისთვის** ლიგა 1-ში მე-400 აღმოჩნდა, ხოლო **დევიდ ბექჰემი**, რომელიც იმ შეხვედრაში ცვლილებაზე გამოვიდა, „პარი სენ ჟერმენის“ ისტორიაში მე-400 ფეხბურთელი გახდა.

არმანი მოქმედ მოთამაშეებს შორის მესამე ადგილზეა. მასზე მეტი მატჩი, ყოფილ თანაგუნდელ და ამჟამად „ბასტიას“ მეკარე **მიკელ ლანდროს** (575) და **ანტონი რეველეს** (471) აქვთ ჩატარებული. დევიდ ბექჰემი კი 37 წლის და 9 თვის ასაკში, **კლოდ მაკელელეს** შემდეგ (38 წლის და 3 თვის), ლიგა 1-ის ყველაზე ასაკოვანი მინდვრის მოთამაშე გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში ბურთს უმეტესად „მარსელი“ ფლობდა და პარიზელებმა კარში პირველად 63-ე წუთზე დაარტყეს, შეხვედრა მაინც პსჟ-მ მოიგო (2:0). „მარსელმა“ ბოლო 14 ურთიერთშეხვედრაში მეტოქის კარში გოლის გატანა პირველად ვერ შეძლო და „პარკ დე პრენსზე“ ზედიზედ მეოთხე მარცხი განიცადა.

**10** – მოგება ზედიზედ. ასეთი სერია შეუწყდა არაბეთის გაერთიანებული საამირო ჩემპიონატის ლიდერ „ალ აინს“, რომელმაც შინ ბოლო ადგილზე მყოფ „დიბასთან“ წააგო, არადა, ამ გუნდთან აქამდე ყველა მატჩი მოგებული ჰქონდა, თანაც მინიმუმ 5-ბურთიანი (!) სხვაობით, სატურნირო ცხრილში კი 33 ქულით უსწრებდა. სტუმრები **ლუის ფერნანდომ** დააწინაურა, რითაც „ალ აინის“ 317-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა. მეორე ტაიმში შესანიშნავად თამაშობდა „დიბას“ მეკარე **მოჰამად სალემი**, რამაც საბოლოოდ ეს დიდი სენსაცია გამოიწვია. „ალ აინმა“, ყველა ტურნირზე ერთად, 24-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა, კონკურენტებმა „ალ ჯაზირამ“ და „ბანი იასმა“ ლიდერთან ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირეს, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 10 ტური დარჩა.



გარეთ ბეილი

**7** – მოგება ზედიზედ. „ვესტერნ სიდნეი უონდერერსმა“ ავსტრალიის ჩემპიონატის ისტორიაში მეორე ყველაზე გრძელი მოგებათა სერია „გამოაცხო“ და მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა. მეორე პოზიცია გუნდს პლეი ოფში პირდაპირ ნახევარფინალის საგზურს მისცემს, სადაც მოედნის უპირატესობა ექნება და გარდა ამისა, კლუბი 2014 წლის აზიის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება.

„ვესტერნ სიდნეიმ“ სადებიუტო სეზონი (გუნდი 2012 წელს არის დაარსებული) ცუდად დაიწყო და პირველ სამ ტურში მხოლოდ ერთი ქულა აიღო, გოლის გატანა კი ვერ მოახერხა. **შინჯი ონოს, იუსუფ ჰერსის, ნიკოლას ტოპორ-სტენლის** და **მარკ ბრიჯის** კარგი თამაშის წყალობით, სიდნეელებმა მოუმატეს და უკანასკნელ ტურში „პერთ გლორის“ **მარკ მოის** ერთადერთი გოლის წყალობით სძლიეს. ამ მოგების წყალობით, გუნდი დროებით პირველ ადგილზეც აღმოჩნდა, მაგრამ თავისი მატჩი მოიგო „სენტრალ კოუსტ მარინერსმაც“, რომელმაც **მაიკლ მაკგლინჩის** ჰეთთრიქის წყალობით „მელბურნ ვიქტორი“ გაანადგურა და ლიდერობა დაიბრუნა.

მომდევნო ტურში, „ვესტერნ სიდნეი“ სწორედ „სენტრალ კოუსტს“ ეთამაშება (სტუმრად). ამ მატჩის მოგებით, **ტონი პოპოვიჩის** შეგირდები არა მარტო პირველ ადგილზე გადავლენ, არამედ „მელბურნ ვიქტორის“ მიერ 2006 წელს დამყარებულ რეკორდსაც (ზედიზედ რვა მოგება) გაიმეორებენ.

**6** – გოლი საჯარიმოს გარედან. **გარეთ ბეილი**, ევროპის ხუთი წამყვანი ჩემპიონატის მასშტაბით, **ლიონელ მესის** შემდეგ მეორე ფეხბურთელი გახდა, ვინც ამდენი გოლის გატანა შეძლო. უელსელმა ორშაბათს „ვესტ ჰემთან“ დუბლი შეასრულა, მეორე გოლი კი 90-ე წუთზე გაიტანა და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. ახლა ბეილს ბოლო 6 შეხვედრაში (ყველა ტურნირზე) 8 გოლი დაუგროვდა. 2013 წელს პრემიერლიგაში მასზე მეტი გოლი (6) არავის გაუტანია, ასევე ბეილს სტუმრად ჩატარებულ მატჩებში აქვს ყველაზე მეტი გოლი გატანილი (11). შესანიშნავი შედეგია ფეხბურთელისთის, რომელიც ფორვარდი არ გახლავთ.

„მიმდინარე სეზონში უელსელის ანგარიშზე 15 ბურთია. მასზე მეტი მხოლოდ **რობინ ვან პერსის** (19 გოლი) და **ლუის სუარესს** (18 გოლი) აქვთ გატანილი. არაფორვარდებს შორის მეორე ადგილს **ფრენკ ლამპარდი** და **სანტი კასორლა** იყოფენ (11-11 გოლი). კასორლამ ბოლო ტურში (ასტონ ვილასთან) ასევე დუბლი შეასრულა. ესპანელი გახდა პირველი ფეხბურთელი **ტიერი ანრის** შემდეგ (1999/2000 სეზონი), რომელმაც სადებიუტო ჩემპიონატში 10-ზე მეტი გოლი გაიტანა. ასევე, ის არის მეხუთე ესპანელი, ვინც პრემიერლიგის ერთ სეზონში 10 ან მეტი ბურთი შეაგდო. სხვები არიან: **ფერნანდო ტორესი, სესკ ფაბრეგასი, მიჩუ** და **ხუან მატა**.

**5** – გაშვებული გოლი საკუთარ მოედანზე. გუშინდელ დღემდე, კოპა ლიბერტადორესის ისტორიაში ასეთი რამ არგენტინულ გუნდს არ დამართვნია. „ატლეტიკო მინეიროს“, რომელიც სარანდის „არსენალს“ სტუმრობდა, ლიბერტადორესის თასზე ბოლო ხუთი გასვლითი მატჩი წაგებული ჰქონდა. ანგარიში არგენტინელებმა უკვე მეორე წუთზე (**ფურჩი**) გახსნეს, მაგრამ პირველი ტაიმი ბრაზილიელებმა 3:2 მოიგეს და „ატლეტიკო“ გახდა ტურნირის ისტორიაში პირველი გუნდი, რომელმაც არგენტინულ კლუბს სტუმრად პირველ ტაიმში სამი გოლი გაუტანა. საბოლოოდ, **ბერნარდის** შესანიშნავი თამაშის წყალობით, სტუმრებმა 5:2 მოიგეს, **რონალდინიომ** კი ბოლო წუთებზე პენალტი ვერ გამოიყენა, თორემ ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის თასი. 1/4-ფინალი. სამშაბათის მატჩები



ივიცა ოლიჩის გოლი ოფენბახის კარში

# მგლები და ფრაი ნახევარფინალში

## მაინცელები ყველაფერს მსაჯს აბრალებენ

**სამშაბათს** გერმანიის თასის მეოთხედფინალის ორი მატჩი გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, „მაინცისა“ და „ფრაიბურგის“ დაპირისპირება გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე მეოთხედფინალში სენსაციურად გასული „ოფენბახისა“ და „ვოლფსბურგის“ ჯახი.

| მაინცი–ფრაიბურგი | 2:2 (2:3 დ.დ.) |
|---|---|

**გოლები:** 1:0 შ. პარკერი (2), 2:0 ზიმლინგი (4), 2:1 სანტინი (86), 2:2 დ. კალიჯური (93-პენ), 2:3 დ. კალიჯური (108)

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, ზაბავნიკი – ბაუმგარტლინგერი – ნ. მიულერი, ზიმლინგი (62. მ. კალიჯური) – ედე (72. ივანშიტცი) – სალაი, შ. პარკერი (70. ჟუნიორ დიასი).

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი – ჰედენსტადი (13. შმიდი), გინტერი, კრმასი, ზორგი – შუსტერი, მაკიადი – მ. კრუსე, დ. კალიჯური – როზენტალი (84. სანტინი), ფლუმი (62. გუედე).

**გაფრთხილება:** ჰ. მიულერი, ბაუმგარტლინგერი – როზენტალი, კრმასი, მაკიადი

**გაძევება:** პოსპეხი (65. მაინცი)

**მაყურებელი:** 23 517

| ოფენბახი–ვოლფსბურგი | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (49), 0:2 დოსტი (71), 1:2 შტადელი (81)

**ოფენბახი (4-2-2-1-1):** ვულნიკოვსკი – ალშვედე, კლაინეჰაისმანი, შტადელი, შტაინი – მეჰიჩი (64. ბეკერი), ფელდჰანი – მ. შვარცი (79. ავდიჩი), რაინჰარდტი – ფეტში – რათგებერი (64. ფოგლერი).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო – ჰასებე, ნალდო, მადლუნგი, მ. შეფერი – ჟოსუე (87. კიაერი), პოლაკი – ვიეირინია (91. ტრეში), დიეგო, ოლიჩი (76. როდრიგესი) – დოსტი.

**მაყურებელი:** 18 700

„მაინცისა“ და „ფრაიბურგის“ დუელები ბუნდესლიგაში უინტერესო გამოვიდა (1:1, 0:0), გერმანიის თასზე კი **თომას ტუხელისა და კრისტიან შტრაიხის** გუნდებმა დაძაბული და საფეხბურთო მატჩისთვის ყოვლისმომცველი თამაში შემოგვთავაზეს. ვნახეთ ხუთი გოლი, ერთი გაძევება, დამატებითი ტაიმები და ბურთი ოთხჯერ მოხვდა ძელს!

მაინცელები ორი სწრაფი გოლით დაწინაურდნენ და ბრაისგაუელებმა მატჩის მიწურულს მოახერხეს ორი ბურთის გატანა, რითაც თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს, იქ კი, **დომინიკ კალიჯურის** გოლით „ფრაიმ“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და თასის ნახევარფინალში გააღწია. საფინალო სასტვენის შემდეგ მაინცელები მსაჯობით უკმაყოფილოები იყვნენ, არადა, წარუმატებლობა პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან ტუხელის გუნდი 202 წამის (!) შემდეგ, **პარკერისა და ზიმლინგის** გოლებით უკვე 2:0-ს იგებდა და ასეთი უპირატესობა გაანიავა.

### რა მიჰქარა აითექინმა?

რაც შეეხება მსაჯობით უკმაყოფილებას: საქმე ისაა, რომ 65-ე წუთზე მთავარმა არბიტრმა **აითექინმა** მაინცელ **პოსპეხს** მეორე ყვითელი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა, რის შემდეგაც უკვე „ფრაიბურგი“ გახდა დომინანტი. შტრაიხის შეგირდებმა ოთხჯერ მოიკითხეს „მაინცის“ კარის ძელი, პირველი გოლის გატანა კი მხოლოდ 86-ე წუთზეღა მოახერხეს – სხვაობა **სანტინიმ** შეამცირა. მესამე დამატებულ წუთზე კი აითექინმა მაინცელთათვის კიდევ ერთი საზარელი გადაწყვეტილება მიიღო – **ზაბავნიკისა** და სანტინის ორთაბრძოლა მაინცელთა საჯარიმოში წესების დარღვევად შეაფასა და ტუხელის გუნდის კარში პენალტი დანიშნა, რომელიც დომინიკ კალიჯურიმ გამოიყენა. მანვე გაიტანა გამარჯვების გოლიც, რომლითაც „ფრაი“ ნახევარფინალში გავიდა, მანამდე კი მოედანზე არაერთი შეხლა-შემოხლა მოხდა.

*„დაუჯერებელია! ასეთი ტენდენციური მსაჯობა ბუნდესლიგაში არასდროს მინახავს და ვერ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ვნახავდი. სასტიკი უსამართლობაა ის, რომ აითექინი ახლა სადმე კომფორტულად ივახშმებს, ჩვენ კი თასიდან გამოვვარდით,“* - თქვა მატჩის შემდეგ **სვენსონმა.**

*„მსაჯმა უდიდესი როლი ითამაშა, სწორედ მისი დამსახურებით დავმარცხდით,“* - ეს კი **ნიკოლჩე ნოვესკის** სიტყვებია.

ასეა თუ ისე, „ფრაიბურგი“ თასის ნახევარფინალშია და თუ შტრაიხის გუნდი ბუნდესლიგაში პოზიციებს დაკარგავს, ევროპალიგის საგზურის მოპოვების შანსი თასიდანაც ექნება...

### ჰეკინგი: ვოლფსბურგის მიზანი თასის მოგებაა

ნახევარფინალის სამშაბათს გასათამაშებელი მეორე საგზური კი „ვოლფსბურგმა“ მოიპოვა და თანაც, „ფრაიბურგზე“ მარტივად, რაც მოსალოდნელიც იყო – „მგლები“ ხომ მესამე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ოფენბახს“ ეთამაშებოდნენ. მატჩის წინ „ვოლფების“ თავკაცმა **დიტერ ჰეკინგმა** თქვა, გერმანიის თასის მოგება გვინდა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთო – პრინციპში, „ვოლფსბურგს“ სხვა გზა არც აქვს, რადგან „მგლები“ ევროპალიგაში მხოლოდ თასიდან თუ მოხვდებიან.

„ოფენბახი“ უსაქმოდ არ ყოფილა – „კიკერსს“ დაწინაურება მე-9 წამზე (!) შეეძლო და პირველი ტაიმის მიწურულს **ფელდჰანმა და შვარცმაც** კარგი მომენტები გააფუჭეს. ვოლფსბურგელები მეორე ტაიმში მოედანზე გაცილებით მობილიზებულები გამოვიდნენ და შედეგიც მიაღწიეს – **ჰასებეს** ჩაწოდებით **ოლიჩმა** ისარგებლა და ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. მოგვიანებით, ხორვატმა აღიარა, იმ მომენტში საკმაოდ გამიმართლაო. მეორე გოლიც ფლანგიდან ჩაწოდებას მოჰყვა – ამჯერად **შეფერი** „მოემსახურა“ **დოსტს,** რომელმაც სხვაობა ორამდე გაზარდა და ოფენბახელებს ბოლო იმედიც გადაუწურა. მართალია, **შტადელმა** 81-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ „ოფენბახმა“ მეტი ველარაფერი მოახერხა. თუმცა „კიკერსი“ მიღწეულითაც კმაყოფილია – „ოფენბახისთვის“ თასის მეოთხედფინალში გასვლაც უდიდესი წარმატებაა.



მაინცელი ადამ სალაი საფინალო სასტვენის შემდეგ

● ბაიერნი

# საიდუმლო თათბირი პეპთან

## რუმენიგე და ზამერი გვარდიოლას ციურიხში შეხვდნენ

**ხოსეპ გვარდიოლამ** მიუნხენის „ბაიერნთან“ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ თქვა, სანამ ეს სეზონი არ დამთავრდება, ბავარიულ კლუბთან არანაირი შეხება არ მექნება და არც მიუნხენში ჩავალ, რადგან არ მინდა, რომ **იუპ ჰაინკესის** მუშაობას თუნდაც უმნიშვნელოდ შევუშალო ხელიო. პეპი 67 წლის ჰაინკესს უდიდეს პატივს სცემს და ხვდება, რომ მისი ყოველი გამოჩენა „დონ იუპისთვის“ შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს, რადგან მას მერე, რაც გვარდიოლას რეკორდმაისტერში დანიშვნა გადაწყდა, გერმანიაში ყველა „ბარსას“ ექსთავკაცზე ლაპარაკობს.

ალბათ გაასაიდუმლოა „ბაიერნმა“ შეხვედრა, რომელიც გაზეთმა „ბილდმა“ გამოარკვია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, სამშაბათს „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** გვარდიოლას შვეიცარიაში, კერძოდ, ციურიხის სასტუმრო „ვიდერში“ შეხვდნენ. ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ დატოვეს კალემ და ზამერმა ნაშუადღევს ხსენებული სასტუმრო, „ბილდი“ კი სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ იქ სწორედ გვარდიოლას შეხვდნენ და მეტიც – ჩვენი გერმანელი კოლეგები შეხვედრის მიზეზზეც წერენ.

„ბილდის“ ცნობით, გასაიდუმლოებული თათბირის მთავარი თემა ახალი სეზონისთვის გარკვეული გეგმების შემუშავება და იმ გადაწყვეტილებების მიღება იყო, რაც ამ ეტაპზე უკვე საჩქაროა. კერძოდ, შეხვედრის მთავარი თემა გვარდიოლას მომავალი ასისტენტი გახლდათ – როგორც იცით, ჯერაც არაა ცნობილი, თუ ვინ იქნება პეპის პირველი თანაშემწე „ბაიერნში“. საუბრის დეტალები უცნობია. „ბილდი“ მხოლოდ იმას წერს, რომ რუმენიგეს, ზამერს და გვარდიოლას „ბაიერნის“ პოტენციურ ახალწვეულებზე ჯერ არ უსაუბრიათ. თათბირი არ უნდა შეხებოდა „დორტმუნდის“ გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკისაც,** რომლის რეკორდმაისტერში გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. რამდენიმე დღის წინ 24 წლის პოლონელი თავდამსხმელის მრჩეველმა **ჩეზარი კუხარსკიმ** განაცხადა, რობერტმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო და მხოლოდ მან იცის, როდის გაახმაურებსო.



„ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე (შუაში) და სპორტული დირექტორი მათიას ზამერი ციურიხის ქუჩებში – „ბილდი“ ირწმუნება, კალე და ზამერი შვეიცარიაში ხოსეპ გვარდიოლას (მარცხნივ) შეხვდნენო

● ბუცები ლურსმანზე




ტორსტენ ფრინგსმა კარიერა დაასრულა

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა **ტორსტენ ფრინგსმა** კარიერა დაასრულა და შესაძლოა, ბრემენის „ვერდერში“ დაბრუნდეს. 36 წლის ფრინგსი ბოლოს კანადაში, კერძოდ, „ტორონტოში“ თამაშობდა და ხშირი ტრავმიანობის გამო ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა, ახლა კი ბრემენული კლუბიდან შეთავაზებას ელის.

*„ტორონტოსთან“ კონტრაქტი 2013 წლის ბოლომდე მქონდა გაფორმებული, მაგრამ ხელშეკრულება ვადამდე ადრე გავწყვიტე. ახლახან მორიგი ტრავმა მივიღე, რომლის მოშუშებას ორი თვე მაინც უნდა, მე კი ამდენი მკურნალობა უკვე ყელში ამომივიდა და კლუბის პრეზიდენტს კონტრაქტის შეწყვეტა ვთხოვე, რაზეც დამთანხმდა. აშკარად მოვიდა დრო, რომ კარიერა დავასრულო,“* - უთხრა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ფრინგსმა, რომელსაც 2012 წლის სექტემბრის შემდეგ არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

ამრიგად, ტორსტენ ფრინგსის კარიერა 18-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში მან გერმანიის ნაკრებში 79 მატჩი ჩაატარა, 2002 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, „ბაიერნთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოიგო (2005), „ვერდერში“ კი ორჯერ დაეუფლა გერმანიის თასს (1999 და 2009 წლებში).

რაც შეეხება ტორსტენის „ვერდერში“ დაბრუნების პერსპექტივას. ცნობილია, რომ, როცა ბრემენული კლუბიდან მიდიოდა, ფრინგსი „მუსიკოსების“ მაშინდელ სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** შეუთანხმდა იმაზე, რომ კარიერის დასრულების შემდეგ „ვერდერში“ დაასაქმებდნენ. ახლა ალოფსი „ვოლფსბურგში“ მუშაობს, „ვერდერის“ ახალი მენეჯერი **თომას აიხინი** კი აცხადებს, ამ შეთანხმების შესახებ არაფერი ვიცოდი და თუ ის მართლაც არსებობს, რალაცას მოვიფიქრებთ და ტორსტენს დაველაპარაკებითო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

იტალია. სერია A. XXVI ტურის შეჯამება

# მალდინინა უკან დარჩა

## წინ ლიდერთა ჯახია



„ბოლონიამ“ „ფიორენტინას“ ლაზაროს კრისტოდოლოპულოსის გოლით სძლია

**ტური სამშაბათამდე გაგრძელდა და შესაბამისად, შაბათ-კვირის მოვლენებზე აქამდეც გვიწევდა წერა, მათ შორის მილანურ დერბიზე. შესაბამისად, ტურის შეჯამებაში ზოგად ტენდენციებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას, საინტერესო ციფრებს და ტურის სიმბოლურ ნაკრებს გაგაცნობთ; იქამდე კი „ბოლონია—“ფიორენტინას“ მატჩზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა....**

| ბოლონია–ფიორენტინა | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ლიაიჩი (27), 1:1 მოტა (58), 2:1 კრისტოდოლოპულოსი (84).

„სტადიო რენატო დალ არაზე“ „ბოლონიას“ და „ფიორენტინას“ კვირას უნდა ეთამაშათ, მაგრამ დიდთოვლობის გამო, შეხვედრა სამშაბათისთვის გადაიდო. შედეგად, ტური ოთხ დღეზე გაიწერა და სწორედ ბოლონიური მატჩით დასრულდა.

მიმდინარე სეზონში, „ფიორენტინა“ სახლში და „ფიორენტინა“ გასვლაზე, სხვადასხვა გუნდია და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. XXV ტურში, ფლორენციელებმა საკუთარ „არტემიო ფრანკიზე“ საოცარი ფეხბურთი გვაჩვენეს და „ინტერი“ მიწასთან გაასწორეს, აი, ბოლონიაში კი სრულიად საპირისპირო სურათი ვიხილეთ. მართალია, შეხვედრის სტარტი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და ეს გოლშიც აისახა, მაგრამ მთლიანობაში, „ვიოლამ“ შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ აჩვენა. მეორე ტაიმი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა, 2:1 „ბოლონიას“ სასარგებლოდ.

მომენტების და გოლების აღწერას აღარ მოვყვებით, ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მასპინძლებს უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ. მოკლედ, **ვინჩენცო მონტელა** სწორი გამოდგა, როცა ამბობდა: გრანდთა ძლევით ტკბობის უფლება იქამდე არ გვაქვს, სანამ შედარებით სუსტ გუნდებთან გასვლაზე ვერ ვისწავლით მოგებასო.

„ფიორენტინამ“ უმნიშვნელოვანესი მატჩი წააგო და „ინტერის“ გადასწრების ბრწყინვალე შანსი გაუშვა ხელიდან. მოგების შემთხვევაში, ფლორენციელთათვის ჩემპიონთა ლიგის ზონა ერთი ხელის გაწვდენაზე იქნებოდა, მარცხმა კი მათი პოზიციები მკვეთრად შეარყია.



ვალტერ მაცარი უკვე ანტონიო კონტესთან დაპირისპირებაზე ფიქრობს

**ვინჩენცო მონტელა (ფიორენტინას მთავარი მწვრთნელი):** *„შეცდომები დავუშვით, რაც ორ გოლად დაგვიჯდა და შედეგად, წავაგეთ. ძალიან დასანანი მარცხია, რადგან მოგების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ვიუმჯობესებდით სატურნირო მდგომარეობას. გასვლით თამაშებში ბევრ შეცდომას ვუშვებთ, რაც მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდისთვის დაუშვებელია“.*

### მალდინინა შავ-ლურჯი ფერებით

ახლო წარსულში, „მილანი“ აშკარად ჯაბნიდა „ინტერს“ და იყო პერიოდი, როდესაც პრაქტიკულად არ აგებდა ისტორიულ მეტოქესთან. ეს **კარლო ანჩელოტის** ეპოქაა, როდესაც „როსონერის“ თავდასხმაში **ფილიპო ინძაგი** და **ანდრეი შევჩენკო** მოქმედებენ, მათ უკან კი **მანუელ რუი კოშტა, კლარენს ზეედორფი, ჯენარო გატუზო** და **ანდრეა პირლო** ირჯებიან. შემდეგ უკვე **რიკარდო კაკაც** და ჩვენი **კახა კალაძეც** დაცვაში **პაოლო მალდინისთან** ერთად. მოკლედ, იმ წლებში „მილანი“ აშკარად ჩაგრავდა „ინტერს“ და 6 წელი თანაქალაქელთან დაუმარცხებელი იყო. ერთ-ერთი დერბის შემდეგ, კიდევ ერთხელ დამარცხებულმა **მარკო მატერაციმ** ისიც კი განაცხადა, მე უბრალოდ არ ვიცი, როგორ უნდა მოვუგო „მილანსო“...

თუმცა, დრონი მეფობენო, ნათქვამია და დღეს ვითარება შეცვლილია. „ინტერს“ ბოლო ოთხი დერბიდან სამი აქვს მოგებული, უკანასკნელი კი ფრედ დასრულდა. არადა, ფავორიტად სწორედ „როსონერი“ იყო შერაცხილი და თუ სადმე ლოგიკაა, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდს ვენდეტას შესანიშნავი შანსი ჰქონდა. „მილანმა“ უპირატესობით წარმართა დერბი, მაგრამ ვერც ამჯერად გაიმარჯვა. ბოლოს, „შავ-წითლებმა“ „შავ-ლურჯები“ 2011 წელს დაამარცხეს, მას შემდეგ კი „ინტერი“ აშკარად დომინირებს.

### ტურის მოვლენები

XXVI ტურში ორი საფეხბურთო თრილერი ვიხილეთ და ამ მატჩებზე იტალიაში დღემდე ლაპარაკობენ. „რომამ“ **ზდენეკ ზემანის** სტილში 3:2 სძლია „ატალანტას“ და თანაც ბერგამოში - „კალიარიმ“ კი საკუთარ მოედანზე „ტორინო“ დაამარცხა, 4:3. სარდინიელებს 9-კაციანმა ტურინელებმა 90-ე წუთზე ანგარიში გაუთანაბრეს, თუმცა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში „კალიარიმ“ გამარჯვების გოლი გაიტანა.

„ნაპოლიმ“ ვერც უდინეში გაიმარჯვა და კიდევ უფრო დაშორდა ლიდერ „იუვენტუსს“. სხვაობა უკვე 6 ქულაა და ბევრი მიიჩნევს, რომ სამხრეთელებს აღარ შესწევთ სკუდეტოსთვის ბრძოლის უნარი. ეს მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ტურში „ნაპოლი“ სწორედ „იუვეს“ მიიღებს და ქულათა სხვაობის 3-მდე შემცირების საშუალება ექნება. **ვალტერ მაცარიმ** „უდინეზესთან“ მატჩის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ უკვე ტურინელებთან ჯახზე ფიქრობს. ვნახოთ, წინ მართლაც საინტერესო პაექრობა გველის...

და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც „პალერმოს“ სამწვრთნელო კარუსელს უკავშირდება... **მაურიციო ძამპარინიმ ალბერტო მალეზანის** მხოლოდ 3 მატჩი აცალა და კარისკენ მიუთითა, მის



რამდენი დღით ჩავიდა ჯამპიერო გასპერინი პალერმოში?

ნაცვლად კი გუნდი **ჯანპიერო გასპერინის** ჩააბარა, რომელიც სწორედ მალეზანიმდე წვრთნიდა „პალერმოს“. სიცილიაში დაბრუნებულ გასპერინის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ასეთი კითხვა დაუსვა: *„რამდენი დღით ჩამოხვედით“?* – მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო: *„ეგ მხოლოდ ძამპარინიმ“ იცის“.*

### ციფრები და ფაქტები

- 2004 წლის შემდეგ, მილანური დერბი პირველად დასრულდა ფრედ;

- „მილანს“ „ინტერისთვის“ 2011 წლის აპრილის შემდეგ არ მოუგია;

- „ნაპოლიმ“ „სტადიო ფრიულიზე“ ბოლო 13 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო;

- „სიენას“ არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ჰყავს დამარცხებული „იუვენტუსი“;

- სტეფან რადუმ „ლაციოდან“, ვასილის ტოროსიდისმა „რომადან“, მარკო ლივაიამ „ატალანტადან“, ლაზაროს კრისტოდოლოპოლოსმა „ბოლონიადან“ პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;

- „ლაციომ“ პირველი მატჩი მოიგო მიმდინარე სეზონში მიროსლავ კლოზეს გარეშე;

- „კატანიამ“ პირველად მოუგო „პარმას“ გასვლითი მატჩი;

- „პარმას“ 6 ტურია არ მოუგია;

- „ფიორენტინამ“ ბოლონიაში ბოლო 11 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო;

- „ფიორენტინამ“ მიჯრით მე-4 გასვლითი მატჩი წააგო;

- „პალერმოს“ 12 მატჩია არ მოუგია;

- „ჯენოას“ 3 მატჩია გოლი არ გაუშვია, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2010 წლის იანვარში ჰქონდა;

- „კალიარის“ 7 ტურია არ წაუგია;

**ლაშა ნიკლაური**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ტრანსფერული ბიბლიოთეკა



დორტმუნდის ბრაზილიელი მცველი ფელიპე სანტანა

### დორტმუნდიდან შალკეში?

დორტმუნდის „ბორუსიას“ ბრაზილიელი მცველი **ფელიპე სანტანა** შესაძლოა გერმანიის მოქმედი ჩემპიონის მოსისხლე მტრის, „შალკეს“ ბანაკში აღმოჩნდეს. გელზენკირხენულ კლუბს 26 წლის ბრაზილიელი მცველის გადაბირება ძალიან უნდა და თუ „შალკეში“ გადასვლა ფეხბურთელმაც მოისურვა, დორტმუნდელებს მისი შენარჩუნება გაუჭირდებათ, რადგან **იურგენ კლოპი** სანტანას ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ მაშინ ათამაშებს ხოლმე, როცა **ნევენ სუბოტიჩი** და **მატს ჰუმელსი** ტრავმის ან დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობენ. სანტანას „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მომავალ ზაფხულს „ბორუსიადან“ წასვლა 2 მილიონ ევროდ შეუძლია, რაც „შალკესთვის“ მისაღები თანხა ჩანს.

ფელიპე სანტანას არაერთხელ უთქვამს, რომ „დორტმუნდში“ ძალიან ბედნიერია, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რადგან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე თამაშზე ოცნებობს. შეგახსენებთ, რომ ეს მუნდიალი სწორედ ბრაზილიაში ჩატარდება. ცნობილია, რომ სანტანას გადაბირებაზე „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებიც სერიოზულად ფიქრობენ.

### როდეს არსენალიც გამოუჩნდა

ფრანკფურტის „აინტრახტის“ 22 წლის საყრდენ ნახევარმცველ **სებასტიან როდეს** მსურველთა რიცხვს ლონდონის „არსენალიც“ შეემატა – ამის შესახებ ჩვენი გერმანელი და ინგლისელი კოლეგები გუშინ იუწყებოდნენ. ახალგაზრდა ნახევარმცველი შესანიშნავ სეზონს ატარებს, რაც შეუმჩნეველი არც „მეთოფეების“ თავკაც **არსენ ვენგერს** დარჩა. „არსენალის“ დამრიგებელი როდეს ევროპის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად მოიხსენიებს და მის გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობს. „სანის“ ინფორმაციით, ლონდონელები მზად არიან, როდეს სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადაიხადონ.

„არსენალთან“ ერთად, როდეზე „ბაიერნის“, „დორტმუნდის“, „შტუტგარტის“, „ლევერკუზენისა“ და „გლადბახის“ შეფებიც ფიქრობენ.

**გოტფრიდ ლენცი**



სებასტიან როდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა

## სანდრო როსელი:
# ჩვენ ძალიან გვაკლია ტიტო ვილანოვა



ესპანეთის თასის ნახევარფინალიდან გამოვარდნის შემდეგ, „ბარსელონას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** აღიარა, რომ გუნდს ძალიან აკლია მთავარი მწვრთნელი.

*„ტიტო ვილანოვას ასისტენტების საქმეს კარგად ვხედავ და მათ დამცრობას არ ვაპირებ, მაგრამ ფაქტია, ჩვენს გუნდს ძალიან აკლია მთავარი მწვრთნელის ხელი. ტიტო ვილანოვა ჩვენი მთავარი მწვრთნელია და მის გარეშე გვიჭირს. ამ კვირაში აუცილებლად ჩავაკითხავ და გავიგებ, როგორ გრძნობს თავს. უპირველესად, გვსურს, რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეს, რადგან ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ფეხბურთი“*, - განაცხადა როსელმა.

რაც შეეხება „რეალთან“ 1:3 მარცხს და სათასო ბატალიიდან გავარდნას, კლუბის პრეზიდენტმა შემდეგი თქვა: *„რეალთან“ მატჩის შედეგი და სათასო ტიტულისთვის ბრძოლიდან გამოვარდნა არაფერს ცვლის“*.

შეგახსენებთ, რომ 26 თებერვალს „ბარსელონამ“ სათასო კლასიკო 1:3 წააგო „რეალთან“ (ორი მატჩის ჯამში 2:4) და „სამეფო თასის“ გათამაშებას დაემშვიდობა.

### მესიმ ვარჯიში გააცდინა

„ბარსელონას“ არგენტინელმა ვარსკვლავმა **ლიონელ მესიმ** გუნდის ვარჯიში გააცდინა. მადრიდის „რეალთან“ 1:3 მარცხის შემდეგ, რომელშიც მესიმ ძალიან ცუდად ითამაშა, არგენტინელმა ფორვარდმა „ბარსას“ ვარჯიში გააცდინა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კლუბს ამის თაობაზე განმარტების გაკეთებაც დასჭირდა.

25 წლის მესის ვარჯიშზე არ მისვლის მიზეზი გრიპია და მეტი არაფერი, ის არც ტრავმირებულია და არც რაიმე სახის უთანხმოებაა. *„ლეო მესი არ იყო „სიუტატ ესპორტივაზე“ გუნდის დილის ვარჯიშზე. ფეხბურთელი გაცივდა და თავს შეუძლოდ გრძნობს“*, - ვკითხულობთ „ბარსელონას“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ ლა ლიგაში მესი 25 მატჩში 38 გოლით ერთპიროვნული ბომბარდირია, მან ბოლო 15 ტურში გაიტანა.

● კოპა დელ რეი

# სამეფო თასის ფინალს ხელს... ევროვიზია უშლის

ესპანეთის თასის ფინალს ბოლო დროს დაებედა გაურკვევლობა, თუ როდის გაიმართება ტურნირის მთავარი თამაში. ფინალის გამართვას ამჯერად ხელს... ევროვიზია უშლის.

თავდაპირველად თასის ფინალი 18 მაისს, შაბათ დღეს დაიგეგმა, მაგრამ TVE, რომელიც ფინალის ჩვენების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს, თარილის შეცვლას ითხოვდა, ან 17 მაისით (პარასკევი) ან 19 მაისით (კვირა). საქმე ისაა, რომ შაბათს ევროვიზიაა, რომლის ჩვენების უფლებაც ასევე ამ ტელეკომპანიას აქვს ესპანეთში.

ახლა მომავალი ფინალისტები მომავალ კვირაში შეთანხმდებიან, როდის სურთ გადამწყვეტი მატჩის გამართვა, როდის და სად. ეს კიდევ ერთი საკამათო საკითხი იქნება.

ყველაზე ლოგიკურ გამოსავლად 17 მაისი ითვლება, თუმცა არც ზემოთ ჩამოთვლილი ორი თარიღია გამორიცხული (ევროვიზიის და ტელეკომპანიის მოთხოვნის მიუხედავად).

სად ჩატარდება თასის ფინალი? მადრიდელთა ფინალში გასვლის შემდეგ ესპანეთის დედაქალაქის კანდიდატურა თავისთავად ამოვარდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი.



„სენტ ეტიენი“ თასზეც წარმატებით თამაშობს

# გოლეადა ჟოფრუა გიშარზე

**სოშო-ტრუა 1:2**

**გოლები:** 0:1 ბაებეკი (10), 0:2 ფოსურიე (89), 1:2 ბუდებუზი (90-პენ).

**ევიანი-ლე ავრი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბერიგოდი (25), 2:0 ბერიგოდი (49), 2:1 ი. რივიერი (81), 3:1 ხელიფა (90).

**სტ. ეტიენი-ლილი 3:2**

**გოლები:** 0:1 ბაშა (33), 1:1 შეჯუ (44-საკ. კარში), 2:1 ობამეიანი (50), 3:1 ბრანდაო (75), 3:2 კალუ (82).

„სენტ ეტიენი“ და „ლილი“ ამ სეზონში ერთმანეთს უკვე მესამედ შეხვდნენ და სამივე მატჩი „ჟოფრუა გიშარზე“ გაიმართა. ჩემპიონატში გამარჯვება „ლილს“ დარჩა (2:1), ლიგის თასის 1/2-ფინალში კი შეხვედრა 0:0 დასრულდა და ფინალის საგზური „სენტ ეტიენმა“ პენალტების სერიაში მოიპოვა.

ერთი წაგება და ერთი ფრე – ლოგიკურად მესამე შეხვედრაში „სენტ ეტიენს“ უნდა მოეგო და ყველაფერი ასეც მოხდა. თავიდან სტუმრები **მარკო ბაშას** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე, დაცვის ცენტრში ბაშას პარტნიორმა **ორელიენ შეჯუმ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მეორე ტაიმის დებიუტში კი „მწვანეები“ **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** დააწინაურა, ვინც გოლი ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში გაიტანა. მოგვიანებით (75-ე წუთზე) მასპინძლების უპირატესობა **ბრანდაომ** გაამყარა. მატჩს ინტრიგა **სალომონ კალუმ** დაუბრუნა, მაგრამ სტუმრებმა მეტი ვერაფერი შეძლეს და თასის 1/4-ფინალში „სენტ ეტიენი“ გავიდა, რომელიც ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაშია (ყველა ტურნირზე 11-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია აქვს) და ყველაფერთან ერთად (ლიგის თასის ფინალი, თასის 1/4-ფინალი) ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძვის.

„სოშომ“, რომლის კარსაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი **დიდიე ოვონო** იცავდა, შინ „ტრუასთან“ წააგო და ტურნირს გამოეთიშა. სტუმრებმა თამაში რამდენიმე ლიდერის (**ნივე, კამიუ, იოან ტურამი**) გარეშე დაიწყეს, მაგრამ გამარჯვება მაინც მოიპოვეს. „ტრუამ“ საფრანგეთის თასის 1/4-ფინალის საგზური, 2001 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა.

მესამე წყვილში ფავორიტი გამოკვეთილი იყო და სენსაცია არ დაფიქსირებულა. ლიგა 1-ის „ევიანმა“ ლიგა 2-ის ბინადარ „ლე ავრს“ უმასპინძლა და 3:1 მოუგო. მასპინძელთა მხრიდან გაიბრწყინა **კევინ ბერიგოდმა**, რომელმაც დუბლი შეასრულა, კიდევ ერთი გოლი კი **საბერ ხელიფამ** გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**



სამბო. ქვეყნის პირველობა

# საქართველო - ევროპისთვის

## სამბისტებმა გუნდის ბირთვი გაარკვიეს



სამბისტებმა არც ამჯერად უღალატეს ბოლო წლებში დამკვიდრებულ ტრადიციას და საქართველოს ჩემპიონატი კვლავაც ერთ დღეში ჩაატიეს - ამ შეჯიბრებას გუშინ შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიამ უმასპინძლა.

ეს ტურნირი 17-21 მაისს იტალიურ კრემაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იყო. ამიტომ გუნდში მოხვედრის შანსი ყველა მსურველმა გამოიყენა, თუმცა რამდენიმეს ხელი ტრავმამ შეუშალა. მაგალითად, ამ მიზეზით არ ჭიდაობდა ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (57). შეჯიბრებაში დაახლოებით 150-მდე ფალავანი გამოდიოდა და საკმაოდ დიდი იყო ძიუდოისტთა წილი. მათ შორის რამდენიმე ისეთმა იასპარეზა, 2-3 მარტს ვარშავაში ძიუდოისტთა ევროპის ღია თასზე რომ უნდა იჭიდაოს - პაატა მერებაშვილი (62), **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **პაატა ღვინიაშვილი** (90) და **დავით ლორიაშვილი** 100).

ჩემპიონატმა ახალი სახეები არც ისე ბლომად გამოავლინა, რითაც ნაკრების ხელმძღვანელობა კმაყოფილი არ უნდა იყოს. მედალოსანთა შორის აქამდე უცნობი და მოულოდნელი ფალავანი მხოლოდ სამაჩაბლოელი **კობა კასოევია** (82), რომელიც პირველად გამოჩნდა ფართო ასპარეზზე. ის ფინალშიც გავიდა, თუმცა გამოცდილმა ფოთელმა **ნიკოლოზ კუციამ** ოქრომდე არ მიუშვა. ბრძოლა ფრიად დაძაბული გამოდგა და სასწორი ორივე მხარეს შეიძლებოდა გადახრილიყო, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და კუციამ 2-ქულიანი სხვაობით იმარჯვა.

დაძაბული და საინტერესო შეხვედრები სხვა წონებშიც გაიმართა, თუმცა ფალავნებს მაინც ეტყობოდათ, რომ ჯერ არ არიან ოპტიმალურ ფორმაში. იმედია, საევროპოდ კიდევ უფრო მოუმატებენ. საინტერესო გამოდგა მძიმე წონის ფინალი, სადაც ერთმანეთის პირისპირ ახალგაზრდა სამბისტთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **სლავა რეზესიძე** და ძიუდოში საქართველოს პრიზიორი **ონისე ბულაძე** დადგნენ. თავიდან რეზესიძე ეფექტურად შესრულებული კისრულით 2:0 დაწინაურდა, მაგრამ მერე ბულაძის შეჩერება შეუძლებელი გახდა - 12-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა. გამორჩეული ბრძოლები გაიმართა 100-შიც, სადაც ნახევარფინალში ერთმანეთს ძიუდოში საქართველოს მესამე პრიზიორები - ლორიაშვილი და **ლაშა გურული** შეხვდნენ. ამ პაექრობაში გურულმა იმარჯვა, რომელმაც მერე ფინალში კიდევ ერთი ძიუდოისტი, ამ სახეობაში ქვეყნის ვიცეჩემპიონი **გიორგი ქავთარაძე** მტკივნეული ილეთით დაამარცხა. თავის წონაში გაიმარჯვა **პაატა ღვინიაშვილმაც** - ფინალში გიორგი იაძე დაამარცხა. მასვე გადაეცა ნაადრევად დაღუპული ევროპის ჩემპიონის - ვანო გამხიტაშვილის პრიზი, ხოლო ტრაგიკულად დაღუპულ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ არჩილ ჩოხელის სახელობის თასი **ლევან ნახუცრიშვილს** (68) გადაეცა, რომელმაც ფინალი უბრძოლველად მოიგო.

ამ შეჯიბრებით ნაკრების ძირითადი ბირთვი გამოიკვეთა, თუმცა, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჯონდო მუზაშვილმა** გვითხრა, საქართველოს ჩემპიონობა ევროპაზე წასვლის გარანტია სულაც არაა. მათ წინ კიდევ ერთი სტარტი ელოდებათ, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესი იქნება ნაკრების დასაკომპლექტებლად. *„ტურნირის საერთო დონით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ. უფრო ზედა წონებში გვაქვს სირთულეები, კონკურენცია არაა იმდენად დიდი, მჩატეებში კი ამ მხრივ შედარებით უკეთესი ვითარებაა. 23-25 მარტს მოსკოვში ვიასპარეზებთ ხარლამპიევის მემორიალზე და ევროპაზე წამსვლელი გუნდიც ამის მერე დაკომპლექტდება. სამწუხაროდ, მეტი შეჯიბრება არ გვაქვს კანდიდატთა გამოსაცდელად. მოსკოვში ფინალისტები წავლენ, თუმცა ზოგიერთ წონაში ხალხს დავამატებთ კიდეც. ამ ჩემპიონატში რამდენიმე ლიდერი არ ჭიდაობდა ტრავმების გამო - უშანგი კუზანაშვილი 57-ში და ლევან ქოჩიევი 62-ში. მათ შანსს აუცილებლად მივცემთ. ახალი სახეებიდან მხოლოდ კასოევი გამოჩნდა, რომელმაც მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო“* - გვითხრა მუზაშვილმა.

### ჟღარცხლებეი

**52 კგ.** 1. გივი ნადარეიშვილი; 2. ვაჟა ლატარია; 3. ნუკრი ბერაია (სამივე - სამეგრელო-ზემო სვანეთი), დიმიტრი მულაძე (შიდა ქართლი).

**57 კგ.** 1. ვახტანგ ჩიდრაშვილი (კახეთი); 2. გენადი ჩირგაძე; 3. ილია ტყეშელაშვილი (ორივე - იმერეთი), იოსებ ცერცვაძე (თბილისი).

**62 კგ.** 1. პაატა მერებაშვილი (შიდა ქართლი); 2. შმაგი ლაგაზაური (კახეთი); 3. ზურაბ შველიძე, ლუკა ჯაში (ორივე - თბილისი).

**68 კგ.** 1. ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა-მთიანეთი); 2. ბექა ტულუში (სამეგრელო-ზემო სვანეთი); 3. ლევან დადვანი (ქვემო ქართლი), ბექა ბერუაშვილი (თბილისი).

**74 კგ.** 1. კახა მამულაშვილი (შიდა ქართლი); 2. ბექა ბერულავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი); 3. გიორგი პაპუნაშვილი (შიდა ქართლი), მიხეილ ჩოხელი (კახეთი).

**82 კგ.** 1. ნიკოლოზ კუცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი); 2. კობა კასოევი; 3. გიორგი დილებაშვილი (სამაჩაბლო), ხვიჩა ხუციშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. პაატა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი); 2. გიორგი იაძე (აფხაზეთი); 3. ნოდარ კუდუხაშვილი (შიდა ქართლი), ფრიდონ ზურაბიანი (მცხეთა-მთიანეთი).

**100 კგ.** 1. ლაშა გურული (იმერეთი); 2. გიორგი ქავთარაძე; 3, დავით ლორიაშვილი (ორივე - ქვემო ქართლი), ბექა ბერძენიშვილი (სამცხე-ჯავახეთი).

**+100 კგ.** 1. ონისე ბულაძე (იმერეთი); 2. სლავა რეზესიძე (ქვემო ქართლი); 3. გიორგი ლაზუაშვილი, დავით ბოჭორიშვილი (ორივე - იმერეთი).

**ირაკლი თავაძე**



ჭადრაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიკო გურამიშვილი

## გურამიშვილი ქალებში პირველია

თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილი** გუშინ რეიკიავიკის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო ტურში თურქ ბარის ესენს დაუზავდა, მოაგროვა 6,5 ქულა და საერთო ჩათვლაში 26-ე ადგილი დაიკავა, ქალებში კი პირველი ადგილი ერგო. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარა თავი უკრაინელმა სვეტლანა ჩერედნიჩენკომ (გუშინ ამერიკელ ირინა კრუშს მოუგო), მაგრამ ჩვენებურმა მას უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით გაუსწრო. 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ ჩინელები - თან ჟონი, ჰუან ძიანი და გუო ძი, რომლებიც 2 მარტიდან ასტანაში მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში მსგავსი შეჯიბრებების სამგზის გამარჯვებული ჩინეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ. ასევე, 6 ქულით მე-6 ადგილი ხვდა 16 წლის ყაზახ დიდოსტატს - დინარა სადუაკასოვას, რომელიც, ასევე, ითამაშებს გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში თავისი ქვეყნის სახელით.

რეიკიავიკში ათი შესაძლებლიდან 8-8 ქულა მოაროვეს უკრაინელმა პაველ ელიანოვმა, 20 წლის ფილიპინელმა სოუ ვესლიმ (ისინი გუშინ ერთმანეთს დაუზავდნენ) და ეგვიპტელმა ბასემ ამინმა (ბოლო ტურში პოლონელი გჟეგორჟ გაიევსკი დაამარცხა). დამატებითი მაჩვენებლებით მათ პირველი-მესამე ადგილები სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს. 7,5-7,5 ქულა შვიდმა მოჭადრაკემ მოაგროვა. მათ შორისაა 13 წლის ჩინელი იი ვეი, რომელმაც საერთაშორისო დიდოსტატის მესამე ბალი ჯერ კიდევ მე-7 ტურში შეასრულა და მსოფლიოში სერგეი კარიაკინის (რუსეთი), პარიმარჯან ნეგისა (ინდოეთი) და მაგნუს კარლსენის (ნორვეგია) შემდეგ მეოთხეა, ვინაც ასეთი მაღალი საჭადრაკო წოდება 14 წლამდე დაიმსახურა.

**ვაჟა დანელია**

## ლიდერებს ჩამორჩებიან

კაპელ-ლა-გრანდეში (საფრანგეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ხუთი ტური გათამაშდა. ერთბაშად 26-მა მონაწილემ 4-4 ქულა მოაგროვა. მეწინავეთა შორის არ არიან საქართველოს წარმომადგენლები: **დავით არუთინიანმა** 3,5 ქულას მოუყარა თავი, ხოლო რომფორის ტურნირის გამარჯვებულ **დავით ჯოჯუას** მხოლოდ 2,5 ქულა აქვს. შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა და სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლება.

მე-6 ტურში არუთინიანი შავი ფიგურებით კენი სოლომონს შეხვდება, ჯოჯუა კი ალან თეითს გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

### მილოცვა

ბარსელონის 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორს, ევროპის ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებულს ძიუდოში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს სამბოში, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერს **დავით ხახალეიშვილს** დაბადებიდან 42 წელი შეუსრულდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ულოცავს დავით ხახალეიშვილს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობას და წარმატებებს ცხოვრებაში.

მშვილდოსნობა. ევროპის ზამთრის პირველობა

# მძიმე სტარტი პოლონეთში

პოლონურ პრზესცოვში დაიწყო კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში - გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა და გაირკვნენ პლეი ოფის მონაწილენი როგორც პირად, ასევე გუნდურ პირველობაში.

ქალთა შორის ჩვენგან ყველაზე უკეთ **ხათუნა ნარიმანიძე** გამოვიდა, რომელმაც სლოვენიელ **ბრინა ბოზიცის** მსგავსად 564 ქულა დააგროვა, თუმცა დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა მას და მე-19 ადგილზე გავიდა. **ასმათ დიასამიძე** 545 ქულით 30-ეა, **ლანა ვერულიძემ** კი 535 ქულა დააგროვა, რამაც პლეი ოფში გამსვლელ ბოლო - 32-ე ადგილზე გაიყვანა.

ვაჟთა შორის სიურპრიზი შემოგვთავაზა ბათუმელმა **არჩილ ფარსენაძემ**, რომელიც პირველად გამოდის ასეთი დონის ტურნირზე. ამის მიუხედავად, ჩვენს გუნდში საუკეთესო შედეგი აჩვენა - 571 ქულა და 24-ე ადგილი. ავსტრიელ **ჰარიბერტ დორნოფერსა** და უკრაინელ **ალექსანდრ სერდიუკსას** ასეთივე მონაგარი აღმოაჩნდათ, დამატებითი მაჩვენებლებით კი ჩვენებურმა მხოლოდ უკრაინელს აჯობა. ფარსენაძესავით დებიუტანტი, თბილისელი **ლევან ჩიტიშვილი** 566 ქულით 28-ეა, ოღონდ ამ ადგილის მოსაპოვებლად დამატებითი სროლა დასჭირდა ლატვიელ **იანის აპსიტისთან.** თუმცა ჩვენთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა გუნდის ლიდერის, თბილისელ **ლაშა ფხაკაძის** ცუდი გამოსვლაა - ის თავიდანვე ცხრილის ბოლოში იყო და ვერაფრით გამოასწორა მდგომარეობა. შედეგად მხოლოდ 561 ქულა დააგროვა და ჩვენი სამეულიდან ერთადერთია, რომელიც საპლეიოფო 32-ში ვერ შევიდა - 37 მონაწილეს შორის 36-ზე გავიდა. არ ვიცით, რა გახდა მისი ასეთი წარუმატებლობის მიზეზი. შეიძლება, ეს იარაღის ბრალიც იყოს, თორემ ფხაკაძე ბევრად მაღალი დონის მსროლელია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენს ფედერაციას ვაჟთა ნაკრების გამოყვანა ახალგაზრდებში სურდა, რადგან სამივე მათგანის ასაკი იძლეოდა ამის საშუალებას. უბრალოდ, რაკილა რეგისტრაციის ვადა იწურებოდა, განაცხადი უფროსებში გააგზავნეს ჯერ კიდევ საქართველოს ჩემპიონატამდე, იქ კი ისე მოხდა, რომ საპრიზო ადგილებზე მხოლოდ ახალგაზრდები გავიდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა ევროპულმა ფედერაციამ არ დააკმაყოფილა, თორემ თავის ასაკში მათ იქნებ მედალიც მოეპოვებინათ. ყოველ შემთხვევაში, წარმატებით გამოსვლის შანსი იქ ბევრად მეტი ექნებოდათ.

■ ■ ■

საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ გაირკვნენ გუნდური თუ პირადი პირველობის პლეი ოფების მონაწილენი. გუნდურში ჩვენი ქალები მერვეზე გავიდნენ, მხოლოდ რუმინელებს გაუსწრეს და ხვალ მერვედფინალში სწორედ მათთან გამართავენ პირველ ბრძოლას. დანარჩენი შვიდი გუნდი უკვე მეოთხედფინალშია, ხოლო ჩვენები კარპატელებთან წარმატების შემთხვევაში იქ შესარჩევის მომგებ უკრაინელებს გაეჯიბრებიან. ვაჟები ბოლო - IX ადგილზე გავიდნენ და ასევე ხვალ მეოთხედფინალის საგზურისთვის ავსტრიელებს გაეჯიბრებიან, შემდეგ წრეში კი ამათ შორის გამარჯვებულსაც საკვალიფიკაციოს მომგები ელოდება, ოღონდ ამჯერად - ჰოლანდია.

პირადი პირველობის პლეი ოფები დღეს გაიმართება. ნარიმანიძე ჰოლანდიელ **ანემარიე დერ კინდერენს** შეხვდება, დიასამიძე - ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუს.** ფრანგთან გამარჯვება ცოტა უტოპია გვგონია, მაგრამ თუ სასწაული მოხდა და დასაწყისში ორივე ქართველმა იმარჯვა, მეორე წრეში ერთმანეთს შეხვდებიან. ვერულიძე პირველ ორთაბრძოლას რუს **ნატალია ერდენიევასთან** გამართავს. ფარსენაძის მეტოქეც რუსია - **ბაირ ციბეკდორზიევი,** ჩიტიშვილი კი უკრაინელ **ჰევორჰი ივანიცკის** გაეჯიბრება.

დღესაც და ხვალაც პირადშიც და გუნდურშიც მედლებისთვის მებრძოლი წყვილები გამოვლინდებიან, ფინალური პაექრობები კი ზეგ, ჩემპიონატის დასკვნით დღეს - 2 მარტს ჩატარდება.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

## მაიოროვმა ვერ იმაიორა

დანიურ ოდენსეში სტარტი აიღო ევროპის პირველობამ პნევმატური პისტოლეტით სროლაში. ჩვენი ოთხეულიდან ჯერ მასში მხოლოდ **ვლადისლავ მაიოროვი** ჩაება, რომელმაც გუშინ ახალგაზრდულ ტურნირში მოსინჯა ძალა. სამწუხაროდ, არცთუ წარმატებით - 556 ქულა დააგროვა და 38-ე ადგილზე გავიდა. მან ყველაზე ცუდად პირველ სერიაში ისროლა - მხოლოდ 88 ქულა დააგროვა. საუკეთესო მაჩვენებელი მეორეში და მეოთხეში ჰქონდა - 95 ქულა, ამ მაჩვენებელს კი ვერც ერთხელ ვერ გადააბიჯა. ალბათ, არცაა გასამტყუნი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაიოროვი უცხოეთში პირველად იანვარში გავიდა, როცა გერმანიაში იასპარეზა საერთაშორისო ტურნირში. იქ 551 ქულა დააგროვა ანუ ახლა მაჩვენებელი ცოტათი გააუმჯობესა, რაც მაინც ჩაეთვლება აქტივში.

დღეს ოდენსეში ისევ დებიუტანტი და ისევ ახალგაზრდებში გვეყოლება მონაწილე - **ლიზი კილაძე**. ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა უფრო წარმატებით გამოსვლას ქუთაისელი მსროლელი, რომელიც ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და თავისზე ბევრად უფროსებთან მოუწევს პაექრობა. ხვალ ჩემპიონატში ჩვენი გუნდის ლიდერი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ჩაებმება და გასაგებია, რომ მთელ იმედებს გაზაფხულის პირველ დღეზე ვამყარებთ, **ლევან ქადაგიძე** კი ვაჟთა შორის ტურნირის ბოლო დღეს - 2 მარტს ჩაებმება.

**ირაკლი თავაძე**

● სპორტი ყველასათვის




# ახალი პროექტი

## ლევან ყიფიანმა და სოზარ სუბარმა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

27 თებერვალს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, სოზარ სუბარმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებას, მსჯავრდებულთა მონაწილეობით, მათი ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მასშტაბით, განახორციელონ სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და ახალგაზრდული პროექტები.

ასევე, მემორანდუმში გათვალისწინებულია, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში დასაქმებულ გამოჩენილ პირებთან შეხვედრა. მემორანდუმის ფარგლებში სამინისტროებს შორის შემდგომი ერთობლივი საქმიანობის კონკრეტული გეგმა განისაზღვრა.

**სამინისტროს პრესცენტრი**

● წყალბურთი

# სადებიუტო ლიგა ბოლო ადგილით

ჩემპიონთა ლიგა. თბილისი. 27 თებერვალი.
საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“

**ლიგამუსი–ეგერი 4:12**

**2:4, 0:3, 1:1, 1:4**

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, ქენქაძე (1), ჩიქვინიძე, ყაზახიშვილი, ლაითაძე (კ), ურუშაძე, ხვედელიანი, ბალათურია (2), გეგელაშვილი (1), გიორგაძე, ქავთარაძე, კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე. მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

**ეგერი:** ბიშსტრიცანი, გერიცე (1), ლორინსი (1), ზალანკი (2), ჰალმოსი, გ. კოვაჩი (3), მეზეი (3), ნორნიაკი, ა. კოვაჩი, კოსტელნიკი, ჩილკო (2), ჯოზშა, შანდორი. მწვრთნელები გეორგ გერენდასი, ატილა ვარანი.

**მსაჯები:** მეთე კოკარაგასი (თურქეთი), ტომაშ შლუნზი (გერმანია). **დელეგატი** იან-კლაუდ დემი (საფრანგეთი).

გუშინ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. საქართველოს სამგზის ჩემპიონმა „ლიგამუსი-თბილისმა“ უნგრეთის „ეგერს“ უმასპინძლა. პირველი წრის მატჩი მადიარებმა შინ დიდი ანგარიშით მოიგეს (27:5). ჩვენი გუნდის კლასი ბევრად ჩამორჩება უნგრელებისას, ამიტომ გუშინდელ პაექრობაშიც ფავორიტებად სტუმრებს მიიჩნევდნენ. პირველი რვაწუთიანი მონაკვეთიც მათი იერიშებით დაიწყო და მე-2 წუთზე გაბორ კოვაჩმა ანგარიში გახსნა. წუთიც არ გასულა, რომ ლიგამუსელებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს და **გეგელაშვილმა** წონასწორობა აღადგინა. *ჩილკომ* მალევე დააწინაურა თავისიანები. მე-5 წუთზე მას **ბალათურიას** გოლი მოჰყვა - 2:2. ბოლო ორ წუთში უპირატესობა მთლიანად მადიარებმა ჩაიგდეს ხელთ, განსაკუთრებით მას მერე, რაც აუზიდან **გიორგი ხვედელიანი** გააძევეს. ამას ისიც დაემატა, რომ წინა მატჩში გაძევებულ **ზურაბ რურუას** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და ორი გამოცდილი წყალბურთელის მოსაკლისებამ ჩვენი გუნდი საგრძნობლად დაასუსტა. ამიტომაც იყო, რომ პირველი მეოთხედის ბოლო ორ წუთში „ეგერმა“ 2, მეორე რვაწუთიან მონაკვეთში კი სამი უპასუხო ბურთი გაუტანა „ლიგამუსს“ და 7:2 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ მასპინძლები ოდნავ გამოცოცხლდნენ. ხშირადაც უტევდნენ, მაგრამ სტუმრების მეკარე ბიშსტრიცანმა ითამაშა კარგად - მესამე მეოთხედის ბოლო წამებზე ბალათურიას დარტყმული პენალტიც მოიგერია. ბოლო რვაწუთიან მონაკვეთში კვლავ სტუმრებმა იძალეს და მატჩი 12:4 მოიგეს.

გუშინვე ვოლგოგრადის „სპარტაკმა“ ერთპიროვნულ ლიდერს - საბერძნეთის „ვულიაგმენს“ სძლია 9:7 (1:1, 2:2, 4:3, 2:1). წაგების მიუხედავად, ელინელებმა გათამაშების ცხრილში 24 ქულით (128:55) პირველი ადგილი შეინარჩუნეს, „სპარტაკი“ მეორეა - 24 (108:65). „ეგერმაც“ 24 ქულას (131:64) მოუყარა თავი, მაგრამ ურთიერთშეხვედრებითა და ბურთების სხვაობის გათვალისწინებით მესამე ადგილს ვერ ასცდა.

მერვედფინალის მე-4 საგზური ჰოლანდიის „შუურმანს“ ერგო, რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად გერმანიის „ვასპო-98“-ს სძლია 7:3 (3:0, 2:1, 0:0, 2:2) და 12 ქულა (65:108) მოაგროვა. 4 ქულით მე-5 ადგილი „ვასპო-98“-ს (44:109) ერგო. „ლიგამუსი-თბილისმა“ სადებიუტო ჩემპიონთა ლიგა ერთი ქულითა (58:133) და ბოლო ადგილით დაასრულა. ახლა ქართველი წყალბურთელები 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოემზადებიან: 4-7 აპრილს საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ ისინი პირველი ტურის შეხვედრებს სლოვაკებთან, ბრიტანელებთან, პოლონელებთან და ჩეხებთან გამართავენ. ჩვენებს ამათგან ბრიტანელებთან ოთხჯერ უთამაშიათ (სამი მოგება, ერთი მარცხი), პოლონელებიც არაერთხელ დაუმარცხებიათ. აი, სლოვაკებსა და ჩეხებს არასდროს დაპირისპირებიან. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში 17 ნაკრები იბრძოლებს პლეი ოფის ექვსი საგზურისთვის.

საქართველოს ნაკრები შესარჩევ ტურნირამდე ორ საწვრთნელ შეკრებას სერბეთში გაივლის, სადაც ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს ადგილობრივი უმაღლესი ლიგის გუნდებთან - „პარტიზანთან“, „ცრვენა ზვეზდასთან“, „ვოივოდინასთან“, „უაკსა“ და „რადნიჩკისთან“.

**ვაჟა დანელია**

### განცხადება

2013 წლის 28 მარტს 13 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ჩატარდება „სპორტი ყველასათვის“ ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებმა ფედერაციაში განაცხადი უნდა წარადგინონ მ.წ. 22 მარტის 15 საათამდე.

საკონტაქტო ტელეფონი: 577 742 247

**ფედერაციის გამგეობა**

**საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 72 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მოჭიდავე და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ღვაწლმოსილი მუშაკი, მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეული ბრწყინვალე პიროვნება**

**რევაზ მაჭავარიანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

● რეგიონი. თაობათა ესტაფეტა

# ბორჯომში ყველას ლაშხობა უნდა

**ბორჯომის რაიონში ზამთრის და ზაფხულის 14 სპორტის სახეობაში მიმდინარეობს მუშაობა. ამჟამად აქ ვითარდება კალათბურთი, ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, მძლეოსნობა, კრივი, კარატე, კიკბოქსინგი, ჭადრაკი; ბაკურიანში - სათხილამურო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომა, ბიატლონი, საციგაო სპორტი და ჰოკეი. შარშანდელ მიღწევებზე და ახალ პერსპექტივებზე ადგილობრივი სასპორტო სკოლის ხელმძღვანელი გიორგი რაზმაძე გვესაუბრება.**

- ცხადია, 2012 წლის შედეგებით უკმაყოფილო ვერ ვიქნებით თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი აღზრდილი რევაზ ლაშხი ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალს დაეუფლა. ასეთი შედეგი არასოდეს გვქონია ბორჯომში. ბავშვების ნაკადმა ჭიდაობის ჯგუფებში აქ ჯერ კიდევ შარშანწინ რევაზ ლაშხის ევროპის ჩემპიონობის მერე იმატა, ოლიმპიადაზე მისი წარმატების შემდეგ კი პატარა სპორტსმენები სულაც ასე ამბობენ: „რეზო ლაშხი უნდა გავხდეო“. აქაურებმა დაინახეს, რომ ჩვეულებრივმა ბორჯომელმა ახალგაზრდა კაცმა დიდი მონდომებით სახელოვანი გზა გაიარა და თურმე წარმატებაზე ოცნება რეალურად შეიძლება. ახლა სულ უფრო მეტი მშობელი უშუალოდაც ესწრება შვილების ვარჯიშებს, გვეკითხება მათი პოტენციალის შესახებ. ამიტომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ნამდვილად პროგრესირებს. წარმატებები ხშირია უახლოეს მომავალში ფეხბურთის ჯგუფებს გავხსნით ბაკურიანში, წაღვერსა და ყვიბისში. ხოლო დვირში ან საკირეში აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ რაგბის სექციას.

**- რაგბის სექციები სოფლებში არაერთ რაიონში გაიხსნა, მაგრამ ხშირად გუნდების დაკომპლექტებაც ვერ ხერხდება მოთამაშეთა სიმცირის გამო.**

- სოფლები, სადაც რაგბის სექცია უნდა ავამოქმედოთ, მრავალრიცხოვანია და ვფიქრობთ, გაამართლებს ჩანაფიქრს, ანუ მოგროვდება გუნდისთვის საჭირო კონტინგენტი. ამასთან, ჩვენთვის მთავარია მასობრიობა. გვინდა, რაც შეიძლება ბევრი ბავშვი ჩაებას სპორტში. ბორჯომის სასპორტო სკოლაში მწვრთნელები ამჟამად საშუალოდ 400 შეგირდს ავარჯიშებენ.

**- მძლეოსნობა რაიონში ყოველთვის იყო ერთ-ერთი წარმატებული სახეობა. ახლა რა ვითარებაა...**

- წარმატებით მუშაობს ადგილობრივი სპეციალისტი ვალერი ჟადანი, რომელიც ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ საუკეთესოთა შორისაა. ახლა გადავწყვიტეთ მისი შესაძლებლობები უფრო ფართოდ გამოვიყენოთ - კვირის გარკვეულ დღეებში სპორტის სხვა სახეობის ჯგუფებთანაც იმუშავებს, მოგეხსენებათ, რომ მძლეოსნობა სხვებისთვისაც მეტად საჭიროა.

**- ბორჯომელ სპორტსმენთა პირველი მწვრთნელებისგან ხშირად მსმენია იმ უყურადღებობის შესახებ, რასაც მათ მიმართ იჩენენ...**

- დაახლოებით ექვსი წელიწადია ბავშვის სპორტულ სექციაში მოსვლისთანავე ვაფიქსირებთ მის პირველ დამრიგებელს და ოფიციალურ საბუთებში ვინახავთ ამ მონაცემებს. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირია, როცა რაიონებში აღზრდილ და შემდეგ დედაქალაქში გადასულ სპორტსმენებს, როგორც კი ხელშესახებ წარმატებებს მიაღწევენ, პირველი



მძლეოსნობაში, კარატეში, კიკბოქსინგში. შედეგები ცვალებადია, მაგრამ ჩავარდნა არც ერთ სახეობაში არ გვაქვს.

**- შარშან ჭადრაკის სექციის ამოქმედებას გეგმავდით...**

- ბორჯომში ჭადრაკს კარგი ტრადიცია ჰქონდა, აქ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩიც კი გაიმართა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ჭადრაკი დავიწყებას მიეცა. შარშან წყვეტილი პერიოდი დასრულდა. აღდგენისთანავე სექციას გადავეცით ინვენტარი, ჩავატარეთ ადგილობრივი ტურნირები, პატარებმა დედაქალაქშიც მიიღეს მონაწილეობა შეჯიბრებებზე. შედეგებზე სამდურავი არ გვეთქმის. პროგრესი გრძელდება.

**- ადრე ფეხბურთის გუნდის აღდგენაზეც საუბრობდით...**

- ამ საკითხის მოგვარება წლეულს იგეგმება. რაც მთავარია, რაიონის ახალი გამგებელი დავით კამკამიძე, სპორტის სამსახურის ახალი უფროსი ირაკლი კვირკველია დაინტერესებულნი არიან ბორჯომის საფეხბურთო კლუბის აღდგენით. მაისში, საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე შევუდგებით ადგილობრივი მოთამაშეებით დაკომპლექტებული ახალი გუნდის ჩამოყალიბებას. ამჟამად სასპორტო სკოლაში ფეხბურთის სექცია წარმატებით მუშაობს. აფხაზეთის პირველობაზე ორი ასაკობრივი გუნდით ვმონაწილეობთ. ერთი მათგანი ერთპიროვნული ლიდერიცაა. გაისად ისინი სასკოლო ასაკს სცილდებიან და თუ გუნდი მშობლიურ ქალაქშივე არ იარსებებს, ბუნებრივია, სხვაგან წავლენ, რაც ბოლო წლებში ტენდენციად იქცა. მაისიდან ეს პრობლემა მოიხსნება.

**- სოფლებში როგორაა საქმე?**

- ამჟამად სამ სოფელში მოქმედებს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და ფეხბურთის ჯგუფები. მწვრთნელის გვარები „ავიწყდებათ“. ეს საერთო პრობლემაა. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ რეგიონების გარკვეული ნაწილი ჩრდილში ვართ. მეტი ყურადღებაა საჭირო ცენტრიდან, რათა სპორტის სახეობების განვითარებაში რეგიონებში მოღვაწე სპეციალისტებიც უფრო აქტიურად ჩაერთონ. მერწმუნეთ, მათ არანაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ საამისოდ. ამასთან, აუცილებელია რეგიონებში მიმდინარე სპორტული ცხოვრებისა და ხარვეზების შესახებ გულშემატკივარი გაცილებით ინფორმირებული იყოს.

**- სტადიონის მშენებლობის დასრულებას თუ დაადგება საშველი?**

- სტადიონი სასპორტო სკოლის ბალანსზე არაა, მაგრამ გეტყვით, რომ რაიონის ხელმძღვანელობასთან სპორტის სფეროს მუშაკთა შეხვედრაზე იყო მსჯელობა ამ საკითხზე. სტადიონი, რომლის აშენებაშიც მილიონებია ჩადებული, წყალში გადაყრილად არ უნდა დარჩეს. აუცილებელია მისი ერთხელ და სამუდამოდ დასრულება, რასაც, ცხადია, შესაბამისი თანხის მოძიება სჭირდება. საიდან მოხერხდება, მე ვერაფერს გეტყვით.

**- ბორჯომში წლეულს რაიმე შეჯიბრებების ჩატარება თუ ივარაუდება?**

- ტრადიციად დამკვიდრდა რევაზ ლაშხის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ – რომაულ ჭიდობაში. შედარებით მცირე მასშტაბის, მაგრამ ასევე ტრადიციულ შეჯიბრებებს ჩავატარებთ კარატესა და კიკბოქსინგში, მათ დაემატება ჭადრაკი. ფეხბურთში კი ისევ მივიღებთ მონაწილეობას ასაკობრივ შეჯიბრებებში.

**ვასილ ბალახაძე**
ბორჯომიდან

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**სუპერლიგა 2012-13. საუკეთესონი**

# 23-23

სუპერლიგის მე-15 ტურში ორი ოვერტაიმი ვიხილეთ. ორივე მატჩი საინტერესოდ წარიმართა და, ალბათ, ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ტურის სიმბოლური ნაკრები სწორედ ამ ორი შეხვედრის („რუსთავი“-“შსს აკადემია“, „დინამო“-“ქუთაისი“) მონაწილე ხუთმა კალათბურთელმა შეავსო. საუკეთესო მწვრთნელებად ამ შეხვედრებში გამარჯვებულები, **მიხეილ ბერუაშვილი** და **ირაკლი ხოშტარია** დავასახელეთ.

ზემოთ ნახსენები თამაშების გამორჩეულ კალათბურთელებზე ორშაბათის ნომერში მოგითხრეთ, აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ტურში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი რუსთავში გამარჯვებულთა მეფარე **კირკ არჩიბექს** ჰქონდა - 35. კირკი ტურის საუკეთესოდ დავასახელეთ. მან მიმდინარე სუპერლიგაში ორი რეკორდი დაამყარა - ყველაზე მეტჯერ მოხსნა მეტოქის ფარიდან (12), ხოლო ჯამში 23 მოხსნაც წლევანდელი გათამაშების რეკორდია. მანამდე ყველაზე მეტი 21 მოხსნა თსუ-ს კოტდივუარელ ლეგიონერ **სერჟ ასელაინს** ჰქონდა.






## XV ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ქუთაისი | 87:85 |
| თსუ-ოლიმპი | 72:91 |
| სტუ-არმია | 73:131 |
| ბათუმი-სოხუმი | 77:81 |
| რუსთავი-შსს აკადემია | 92:96 |

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლაშა კეშელავა (ბათუმი)
2-ქულ 5/11: 3-ქულ 10/15; საჯ 1/1
19.12.12 არმია-ბათუმი

**მოხსნა**

23 - კირკ არჩიბეკი (შსს)
(მეტოქ: 12; საკუთ: 11)
22.02.13 რუსთავი-შსს

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი
12 - გივი ბაქრაძე (თსუ)
23.02.13 თსუ-ოლიმპი
12 - ლაშა გამყრელიძე (არმია)
23.02.13 სტუ-არმია

**ჩაჭრა**

7 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
17.11.12 სტუ-შსს აკადემია

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 13 | 280 | 21.54 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 289 | 20.64 |
| 3 | ნეით ბოუი | რუსთავი | 14 | 276 | 19.71 |
| 4 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 13 | 254 | 19.54 |
| 5 | ლამარ კარიმი | დინამო | 13 | 217 | 16.69 |
| 6 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 14 | 226 | 16.14 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 14 | 223 | 15.93 |
| 8 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 14 | 221 | 15.79 |
| 9 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 13 | 202 | 15.54 |
| 10 | ფლინ კლიმენი | დინამო | 14 | 211 | 15.07 |
| 11 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 13 | 184 | 14.15 |
| 12 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 155 | 14.09 |
| 13 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 13 | 182 | 14 |
| 14 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 153 | 13.91 |
| 15 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 13 | 176 | 13.54 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 13 | 60 | 111 | 171 | 13.15 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 37 | 134 | 171 | 12.21 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 48 | 83 | 131 | 11.91 |
| 4 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 13 | 48 | 104 | 152 | 11.69 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 13 | 35 | 98 | 133 | 10.23 |
| 6 | მილან ოლუიჩი | დინამო | 8 | 21 | 54 | 75 | 9.38 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 14 | 32 | 93 | 125 | 8.93 |
| 8 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 14 | 40 | 77 | 117 | 8.36 |
| 9 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 10 | 18 | 61 | 79 | 7.9 |
| 10 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 33 | 53 | 86 | 7.82 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 13 | 90 | 6.92 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 12 | 83 | 6.92 |
| 3 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 14 | 83 | 5.93 |
| 4 | სტენ სოკი | ოლიმპი | 13 | 77 | 5.92 |
| 5 | გივი ბაქრაძე | თსუ | 14 | 79 | 5.64 |
| 6 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 12 | 65 | 5.42 |
| 7 | ლამარ კარიმი | დინამო | 13 | 65 | 5 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 14 | 69 | 4.93 |
| 9 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 36 | 4 |
| 10 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 13 | 51 | 3.92 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 14 | 35 | 2.5 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 13 | 32 | 2.46 |
| 3 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 21 | 2.33 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 13 | 27 | 2.08 |
| 5 | მიხეილ ჭოჭუა | რუსთავი | 10 | 20 | 2 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 11 | 20 | 1.82 |
| 7 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 14 | 24 | 1.71 |
| 8 | ირაკლი გაბისონია | თსსუ | 13 | 22 | 1.69 |
| 9 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 14 | 23 | 1.64 |
| 10 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 13 | 21 | 1.62 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 8 | 19 | 2.38 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 21 | 1.5 |
| 3 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 13 | 19 | 1.46 |
| 4 | იოაკიმ შელბოში | არმია | 10 | 13 | 1.3 |
| 5 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 11 | 13 | 1.18 |
| 6 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 13 | 13 | 1 |
| 7 | სერჟი ასელაინი | თსუ | 13 | 13 | 1 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 12 | 49 | 4.08 |
| 2 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 13 | 42 | 3.23 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 14 | 45 | 3.21 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 13 | 41 | 3.15 |
| 5 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 13 | 41 | 3.15 |
| 6 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 14 | 43 | 3.07 |
| 7 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 11 | 33 | 3 |
| 8 | გივი ბაქრაძე | თსუ | 14 | 42 | 3 |
| 9 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 14 | 42 | 3 |
| 10 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 13 | 38 | 2.92 |

**ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან**

# წარმატება ბევრ შრომას მოაქვს

## ვეცდებით, ევრო-2013-ზე უკეთესად გამოვიდეთ

<< *პირველი ბვერდიდან*

**- რის ხარჯზე შეიძლება კალათბურთში მაღალი შედეგების მიღწევა?**

- ზოგადად, ცხოვრებაშიც ასეა - რამის მიღწევა თუ გინდა, იოლი გზით შედეგამდე ვერ მიხვალ. წარმატება ბევრ შრომას მოაქვს.

**- კიევში ყველაზე მეტად რა მოგწონს?**

- თუ ამინდი ხელს მიწყობს, ოჯახთან ერთად ქალაქის ქუჩებში ვსეირნობ. ვათვალიერებთ ღირსშესანიშნაობებს. როცა გარეთ ცივა, სეირნობის სურვილი არ მიჩნდება.

**- რას ნიშნავს შენთვის „ბუდიველნიკი“?**

- ამ გუნდმა სერიოზული ტრავმის შემდეგ მომცა შანსი ევროპაში დაბრუნების და საკუთარი შესაძლებლობების ჩვენებისა. საბედნიეროდ, დღემდე ყველაფერი კარგად მიდის, როგორც ჩემთვის, ასევე „ბუდიველნიკისთვის“. მადლობელი ვარ გუნდის ხელმძღვანელობის და მწვრთნელების, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს.

**- ქართული სამზარეულოს რომელ კერძს ანიჭებ უპირატესობას?**

- ძალიან მენატრება ხინკალი, ხაჭაპური...




**- რომელ თანაგუნდელს გამოარჩევ?**

- ყველაზე გამოცდილი არტურ დროზდოვია, რომელსაც უკრაინაში ჩამოსვლამდეც ვიცნობდი. იგი დიდი ხანია, ევროპაში მაღალ დონეზე თამაშობს. დანარჩენებს კარგად არ ვიცნობდი, თუმცა ჩამოსვლის შემდეგ გავიცანი, გავუგე და უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო გუნდი გვყავს. ყველას აქვს დადებითი მხარეები და სწორი მიდგომის შემთხვევაში (ასეც ხდება) კარგი შედეგის მიღებაც შეიძლება.

**- კალათბურთის გარდა, რომელი სპორტით ერთობი?**

- მართალია, ფეხბურთში პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ის კალათბურთზე არანაკლებად მიყვარს. „ბარსელონას“ ქომაგი ვარ, მისი მონაწილეობით თამაშს არ ვტოვებ. „ბარსას“ შეხვედრები ჩემთვის ყველთვის დიდი მოვლენაა. თუ რომელიმე თამაშს ვერ ვუსწრებ, ინტერნეტში ვიწერ და შემდეგ ვუყურებ. როცა „ბარსელონა“ იგებს, ისე მიხარია, თითქოს ჩემი გუნდი იმარჯვებს.

**- „ბუდიველნიკში“ კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდი?**

- აქ თავს კარგად ვგრძნობ და სიამოვნებით დავრჩებოდი, თუმცა ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**- გული დაკავებულია?**

- მყავს მეუღლე და პატარა შვილი. ასე რომ, ჩემი გული დაკავებულია.

**- საქართველოში ჩასვლას რამდენად ხშირად ახერხებ?**

- საახალწლოდ მწვრთნელმა ოთხდღიანი დასვენება მოგვცა, რამაც ძალიან გამახარა. შესაძლოა 4 დღე ვინმეს ეცოტაოს, მაგრამ პროფესიონალი კალათბურთელისთვის ნამდვილად ბევრია. ჩემთვის საქართველო საუკეთესო ქვეყანაა ყველა კრიტერიუმით. შესაძლოა, იქ ცუდიცაა და კარგიც, მაგრამ ჩემთვის საქართველოში ყველაფერი კარგია. განსაკუთრებულია ბუნება, უამრავი ღირსშესანიშნაობაა, რომელთაგან ერთის გამორჩევაც მიჭირს. ასე რომ, ყველას ვურჩევ ჩამოვიდეს და საკუთარი თვალით ნახოს საქართველო.



**- ამერიკაში არ ყოფილხარ?**

- ძალიან საინტერესოა, მაგრამ არ ვყოფილვარ. კარიერის განმავლობაში არაერთხელ მქონდა შტატებში გამგზავრების შანსი, მაგრამ არ მოვინდომე, რადგან გზაში 10 საათია საჭირო, რაც მეტად დამღლელია.

**- თანაგუნდელებზე კიდევ რისი თქმა შეგიძლია?**

- მეგობრული კოლექტივი გვყავს. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთად დავდივართ გასართობად, დასასვენებლად. სწორედ ერთობაა „ბუდიველნიკის“ მთავარი პლუსი.

**- მანუჩარ მარკოიშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- ჩემი ახლო მეგობარია. ნაკრებებში 16 წლის ასაკიდან ვთამაშობთ. წლეულს მისი და ჩემი გუნდები თურქეთიდან ერთად გამოვფრინდით და მანუჩართან შეხვედრის საშუალება მომეცა. ძლიერი კალათბურთელია. მიხარია, რომ კარიერაში დიდი წარმატებები აქვს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მოსკოვში შვიდკაცას დაალაგებენ

**დღეს მოსკოვში, თბილისის დროით 15 საათზე შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა გაიმართება. პლანეტის საუკეთესო მეშვიდკაცეები რუსეთის დედაქალაქში ერთმანეთს 28-30 ივნისს შეეჯიბრებიან.**




ტურნირი ერთდროულად კაცთა და ქალთა შორის გაიმართება. საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მხოლოდ კაცთა შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. **კახა ალანიას** სამწყსომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება შარშან გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა.

მოსკოვში კაცთა 24 გუნდი ექვს ჯგუფში განაწილდება. წილისყრის წინ ისინი ოთხ კალათაში განათავსეს. „შვიდკაცა ბორჯღალოსნები" მე-4 კალათაში მოხვდნენ, იაპონიის, ჰონგ კონგის, ტუნისის, ურუგვაისა და ფილიპინების ნაკრებებთან ერთად.

ჩვენი გუნდისთვის იდეალური ვარიანტი იქნება თუ პირველი კალათიდან ინგლისი, მეორედან აშშ და მესამედან ზიმბაბვეს ნაკრებები შეგვხვდებიან. ყველაზე ცუდი ვარიანტი კი ფიჯის, უელსისა და პორტუგალიის ნაკრებებთან ჯგუფში ერთად მოხვედრაა.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ეგიდით საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები სამ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის ერთ-ერთი ეტაპი, „ჰონგ კონგის შვიდკაცა" იქნება, რომელიც 22-24 მარტს გაიმართება.

**კაცები**

**I კალათა:** ახალი ზელანდია, ფიჯი, სამხრეთ აფრიკა, სამოა, ინგლისი, ავსტრალია.

**II კალათა:** უელსი, არგენტინა, საფრანგეთი, კენია, შოტლანდია, აშშ.

**III კალათა:** კანადა, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, ტონგა, ზიმბაბვე.

**IV კალათა:** იაპონია, ჰონგ კონგი, საქართველო, ტუნისი, ფილიპინები, ურუგვაი.

**ქალები**

**I კალათა:** ინგლისი, ავსტრალია, კანადა, აშშ.

**II კალათა:** ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, რუსეთი.

**III კალათა:** ჰოლანდია, ჩინეთი, საფრანგეთი, ბრაზილია.

**IV კალათა:** იაპონია, ტუნისი, ირლანდია, ფიჯი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# თიბისი, ბაგრატი, რაინდები და...

**საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, დასავლეთ ზონაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მომდევნო ეტაპზე გასული ორი გუნდის ვინაობა გაირკვა. ქუთაისის „ბაგრატი" და ფოთის „რაინდები" აღმოსავლეთი ზონის გამარჯვებულთან, თბილისის „თიბისისთან" ერთად უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის ბრძოლას განაგრძობენ. დასადგენია კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ამ ტრიოს შეუერთდება.**

აღმოსავლეთ ზონაში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტური დარჩა. მეორე ადგილისთვის აქ პატარძეულის „ვეფხვები" და თბილისის „ივერია" იბრძვიან. პატარძეულელებს მეორე ადგილზე დასამკვიდრებლად ერთი გამარჯვება სჭირდებათ.

მე-16 ტურში „ვეფხვებმა" სტუმრად დაამარცხეს კონკურენტი თბილისის „ხულიგანა" - 29:11 და გზიდან ჩამოიცილეს. პატარძეულის გუნდს მომდევნო ტურში მძიმე ბრძოლა ელის გათამაშების ლიდერ „თიბისისთან", რომელმაც თბილისის „ტორნადოს" - 100:3 მოუგო. „ვეფხვების" კონკურენტმა „ივერიამ" კი სამოყვარულო გუნდს, თბილისის „დევებს" სძლია - 31:0.

**I ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა**

**XVI ტური**

**თიბისი-ტორნადო 100:3, დინამო-მგლები 54:10, ხულიგანა-ვეფხვები 11:29, დევები-ივერია 0:31.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. თიბისი - 64 ქულა, 2. ვეფხვები - 49, 3. ივერია - 43, 4. ხულიგანა - 42, 5. დინამო - 39, 6. მგლები - 23, 7. დევები - 20, 8. ტორნადო - 14, 9. უნივერსიტეტი - 11.**

**XVII ტური**

**ივერია-დინამო, ტორნადო-დევები, უნივერსიტეტი-ხულიგანა, ვეფხვები-თიბისი.**

დასავლეთ ზონაში, როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერი დასრულდა. ბოლოსწინა ტურში პირველადგილოსანმა ქუთაისის „ბაგრატმა" შინ დაამარცხა საჩხერის „ჯრუჭი" - 57:17. ფოთის რაინდებმა კი ასევე შინ სძლიეს ოზურგეთის „არწივებს" - 29:14. ამდენად, ბოლო ტური ამ ზონაში უბრალო ფორმალობაა.

**დასავლეთი ზონა**

**IX რაუნდი**

**ბაგრატი-ჯრუჭი 57:17, რაინდები-არწივები 29:14, დელფინები-მარტვილი 72:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბაგრატი - 44 ქულა, 2. რაინდები - 35, 3. დელფინები - 22, 4. არწივები - 18, 5. ჯრუჭი - 8, 6. მარტვილი - 1.**

**X ტური**

**მარტვილი-ჯრუჭი, არწივები-დელფინები, ბაგრატი-რაინდები**

**ბესიკ ჯანგავაძე**

მეტოქეები

# ესპანელებმა სამი ახალი მორაგბე დაიმატეს

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქის, ესპანეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ბრაის ბევინმა** იმ 23 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც 9 მარტს თბილისში „ბორჯღალოსნებს დაუპირისპირდებიან.

„ესპანელმა ლომებმა", რომლებსაც გათამაშების დაწყების წინ დიდი ამბიციები ჰქონდათ, საწყის სამ მატჩში ორი წააგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე არიან. თბილისში წაგების შემთხვევაში ესპანეთის ნაკრები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვებას ვილა დარდობს, „ლომებს" დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ბრაის ბევინმა ნაკრებში ორი ახალი მოთამაშე გამოიძახა **ნიკოლა მარშალი** (ოდისია) და **უნაი ლასა** (გერნიკა). ტრავმის გამო გუნდს დააკლდება **ანიბალ ბონანი** (ბაგნერე), რომელსაც **ტომ პარკერი** (ვანი) შეცვლის.



**ესპანეთი**

გაბრიელ ორტისი (ინდეპენდიენტე), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუისი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხუან ანაია (ატლეტიკო მადრიდი), მეთიუ კუკი (ლა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), უნაი ლასა, ხუან მაგუნასელაია (ორივე-გერნიკა), ნიკოლას მარშალი, კორი სიმპსონი, ხუან ტუდელა (სამივე-ორდისია), ხუან გარსია (არასი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ხუან გოია (ბიარიცი), ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), ხესუს რეკუერდა (ლილი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ტომ პარკერი (ვანი), დავით გურგენიძე (არმია).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

**III ტური**

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ ალექსანდრე ნაჭყებიასთან



ალექსანდრე ნაჭყებია

# ხელბურთიდან დიდ რაგბიმდე

**ქუთაისის „აიას" ვეტერან მორაგბეს საშა ნაჭყებიას 27 თებერვალს 60 წელი შეუსრულდა. დღევანდელი იუბილარი იმ ოქროს გუნდის წამყვანი მოთამაშე იყო, რომელმაც სამჯერ მოიპოვა სსრკ-ს ჩემპიონობა და ორჯერ თასს დაეუფლა. ამას გარდა, „აიასთან" ერთად ის შვიდჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. თამაშობდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებში. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.**

**- თავდაპირველად გვიამბეთ, რაგბით როდის დაინტერესდით?**

- სპორტით ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული, მაგრამ რაგბის კი არა, ხელბურთს ვთამაშობდი, თბილისში, ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და „გეპეის" ხელბურთის გუნდის წევრი ვიყავი. მეგობრებმა შემომთავაზეს. რაგბიში მეცადა ძალები, იმ დროს ხელბურთის მწვრთნელზე ვიყავი გაბრაზებული და მორაგბეების შემოთავაზებას დავთანხმდი. მოედანზე გავედი და რაგბი ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე, სპორტის ამ სახეობაში დავრჩენილიყავი. ხელბურთის მსგავსად რაგბიშიც სისხარტე და ბევრი მოძრაობაა საჭირო, ეს უნარჩვევები უკვე გამაჩნდა და ახალ თამაშს ალღო მალევე ავუღე.

**- ქუთაისურ გუნდში როგორ აღმოჩნდით?**

- თავიდან თბილისის „ივერიაში" ვთამაშობდი. ჩემი მეგობრები ოლეგ ლიპარტელიანი და ავთანდილ გიორგაძე, რომლებთან ერთადაც თბილისში ვცხოვრობდი, „ლოკომოტივიდან" ქუთაისში გადაიყვანეს, მალე მათთან ერთად „აიაში" მეც მიმიწვიეს. იმ პერიოდში ქუთაისურ გუნდს შაკო ქურციკიძე და დუგლას კავთელაშვილი წვრთნიდნენ. „აია" სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში ახალი გადასული იყო. გუნდს მალე გავუშინაურდი. ჩემთვის პირველივე სეზონი წარმატებული გამოდგა, 1981 წელს კი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიმიწვიეს და სსრკ-ს სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს. „აია" თანდათან ვითარდებოდა და მალე დიდ წარმატებებსაც მივაღწიეთ. 1984 წელს სსრკ-ს ვიცე ჩემპიონები გავხდით, მომდევნო წელს კი, ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ...

**- სსრკ-ს დაშლამდე ქუთაისური გუნდი ზედიზედ სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ორჯერ თასი აიღო, რაში მდგომარეობდა „აიას" წარმატების საიდუმლო?**

- ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავდა, თან თბილისის „ლოკომოტივიდან" რამდენიმე მორაგბე დავიმატეთ და კიდევ უფრო გავძლიერდით. ფიზიკურად ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული, შერკინებაც კარგი გვაყვდა და ხაზის მოთამაშეებიც, უმეტესობა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვთამაშობდით. ისეთი ბეკები, როგორებიც ბართლომე ხამაშურიძე, ოლეგ ლიპარტელიანი, ნუგზარ ძაგნიძე და ბესარიონ ლილუაშვილი იყვნენ, დღესაც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ... ამასთან ერთად გუნდში მკაცრი დისციპლინა იყო, ყოველივე ამან დიდი გამარჯვებები მოგვიტანა. თავიდან ყველა სენსაციად მიიჩნევდა ჩვენს წარმატებებს, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მართლაც ძლიერი გუნდი გვყავდა.

**- კარიერის მანძილზე არაერთი მატჩი ჩაგიტარებიათ, რომელი შეხვედრას გამოარჩევდით?**

- 1987 წელს კრასნოიარსკში გვქონდა მნიშვნელოვანი თამაში, უამინდობის გამო ჩვენი თვითმფრინავი ციმბირის ქალაქ აბაკანში დაჯდა, თამაშის გადადება ვითხოვეთ, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ, იმ დღეს სტადიონზე ავტომობილი უნდა გათამაშებულიყო და უამრავი გულშემატკივარი ელოდებოდა ამ თამაშს. ჩვენც სხვა გზა არ გვქონდა, კრასნოიარსკში გვიან გადავფრინდით, თამაშზე გვაგვიანდებოდა და დრო რომ არ დაგვეკარგა, ეკიპირება გზაში, ავტობუსშივე ჩავიცვით.

მოკლედ, ადგილზე რომ მივედით, დასვენებაც ვერ მოვასწარით პირდაპირ მოედანზე აღმოვჩნდით. რუსები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მგზავრობით დაღლილებს იოლად დაგვამარცხებდნენ, მაგრამ ვიბრძოლეთ და 6:4 მოვიგეთ (იმ დროს ლელო 4 ქულად ფასობდა), ავტომობილი კი ქართველმა სტუდენტმა მოიგო... ეს შეხვედრა კარიერაში ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. იმ სეზონზე პირველი დუბლიც გავაკეთეთ, ჩემპიონებიც გავხდით და თასიც ავიღეთ.

**- საქართველოს ნაკრებში თამაშიც მოასწარით...**

- 1989 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას, ამხანაგურ შეხვედრაში ზიმბამბვეს ნაკრებს ვუმასპინძლეთ. ეროვნულ გუნდში „აიადან" 12 მორაგბე ვთამაშობდით. ზიმბამბველები 16:3 დავამარცხეთ. ეს ძალიან დიდი სიხარული იყო, ეროვნულმა გუნდმა საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა მოგებით დაიწყო და სასიხარულოა, რომ დღევანდელი თაობაც განაგრძობს ქართული რაგბის ქომაგის გახარებას.

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- მართალია მწვრთნელად არ ვმუშაობ, მაგრამ ახლაც მორაგბეების გვერდით ვარ. ვცდილობ, რომ ახალგაზრდებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო და მათ მცირეოდენი სამსახური მაინც გავუწიო. გული ერთ რამეზე მწყდება. სამწუხაროდ, რაგბის ოჯახიდან არაერთი შესანიშნავი ადამიანი გამოგვაკლდა, რომლებმაც ქართულ რაგბის სახელი გაუთქვეს და დიდი წარმატებები მოუტანეს. მომავალმა თაობებმა ამ ადამიანების სახელი და ღვაწლი არ უნდა დაივიწყონ. კარგი იქნება, თუ მათ უკვდავსაყოფად ყოველწლიურად საერთაშორისო ტურნირი გაიმართება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

უცხოური სპორტი

ზე რაგბი



# დებიუტანტი ლიდერობს

**ზე რაგბის წლევანდელი გათამაშება უცნაურად დაიწყო. პირველ ტურში მხოლოდ ორი მატჩი შედგა. მეორე ტური სრულყოფილი კი გამოვიდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ზე რაგბის მრავალგზის გამარჯვებული ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“თავის პირველ შეხვედრას მხოლოდ მესამე ტურში გამართავს.**

## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში უკვე ორი მატჩის გამართვა მოასწრო და ორივე მოიგო კანბერის „ბრამბიზმა“. მეორე ტურში ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა წლეულს საგრძნობლად მოლონიერებული „მელბურნ რებლზი“ - 30:13. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასაწყისში კანბერელები დანინაურდნენ, პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით მაინც მასპინძლებმა მოიგეს - 13:12. თუმცა შესვენების შემდეგ მონაგარს ველარაფერი შემატეს და სტუმრებმა დაამტკიცეს, რომ წლეულს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის უნარი შესწევთ.

ამავე კონფერენციაში მეორე მატჩები გამართეს ბრისბენის „რედსმა“ და სიდნეის „ვორათაზმა“. „წითლებმა“ საკუთარ მოედანზე შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს 25:17 სძლიეს. მასპინძლები განსაკუთრებით საწყის 15 წუთში აქტიურობდნენ, რომლის განმავლობაშიც მეტოქეს 14 ქულით გაუსწრეს - 17:3. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩის ეს მონაკვეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. სიდნეის გუნდს ორი ლელო გაუტანა „რედსის“ შუამარბმა **ბენ ტაპუაიმ.**

მელბურნ რებლზი-ბრამბიზი 13:30, რედსი-ვორათაზი 25:17

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბრამბიზი - 9 ქულა, 2. მელბურნ რებლზი - 4, 3. რედსი - 4, 4. ფორსი - 1, 5. ვორათაზი - 0.

## ახალი ზელანდია

ზელანდიის კონფერენციის გუნდები გათამაშებაში მეორე ტურიდან ჩაერთნენ. ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ჰემილთონის „ჩიფსმა“ სტუმრად უხვლელოიან მატჩში დაამარცხა დანიდინის „ჰაილენდერზი“ - 41:27. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მასპინძლები მე-60 წუთისთვის მინიმალური სხვაობით 27:26 იგებდნენ. სტუმრებმა მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა სწორედ შეხვედრის ბოლო მეოთხედში შეძლეს.

ჰემილთონელთაგან ორი ლელო მიითვალა შუამარბმა **ტიმ ნანაი-ვილიამსმა,** ყველაზე მეტი, 21 ქულა გუნდს ფულბეკმა **გარეთ ანსკომბმა** მოუტანა (ხუთი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

ასევე სტუმრად გაიმარჯვა ლეგენდარული ახალზელანდიელი გარემარბის **ჯონ ქირვანის** ახალმა გუნდმა ოქლენდის „ბლუზმა“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ველინგტონის „ჰარიკენზსს“ მოუგო. დანიდინური მატჩის მსგავსად, მასპინძლები მე-60 წუთისთვის აქაც მინიმალური სხვაობით იგებდნენ - 20:19. თუმცა დასკვნით ოც წუთში სტუმრებმა იმძლავრეს და სტარტზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. ორი ლელო ოქლენდელების გარემარბის **ფრენკ ჰალაის** ანგარიშზეა.

ჰაილენდერზი-ჩიფსი - 27:41, ჰარიკენზი-ბლუზი - 20:34

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ჩიფსი - 5 ქულა, 2. ბლუზი - 5, 3. კრუსეიდერზი - 0, 4. ჰარიკენზი - 0, 5. ჰაილენდერზი - 0.

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. პრეტორიის „ბლუ ბულზმა“, რომელიც გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, შინ დაამარცხა კეიპთაუნის „სტორმერზი“ - 25:17. „ლურჯმა ხარებმა“ წარმატებას მნიშვნელოვანწილად მგეზავის **მორნი სტეინის** სიზუსტის წყალობით მიაღწიეს. მან ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა.

კონფერენციას ლიდერად დებიუტანტი „საუთერნ კინგზი“ მოევლინა, რომელმაც ზეპური რაგბის პირველ მატჩში შინ დაამარცხა პერთის „ფორსი“ - 22:10. „სამხრეთელი მეფეების“ პირველი გმირი გარემარბი **სერგელ პეტერსენი** გახდა, რომელმაც ორი ლელო გაიტანა. მგეზავმა **დემეტრი კატრაკილისმა** ვერც ერთი გარდასახვა ვერ გაიტანა, თუმცა ოთხი საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

ამ კონფერენციის კიდევ ერთ მატჩში დურბანის „ნატალ შარქსმა“ სტუმრად მოუგო ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“ - 29:22. „ზვიგენების“ მგეზავმა **პატრიკ ლამბიემ** გუნდს 19 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

ბლუ ბულზი-სტორმერზი 25:17, ჩიტაზი-ნატალ შარქსი 22:29, საუთერნ კინგზი-ფორსი 22:10.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. საუთერნ კინგზი - 4 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 4, 3. ნატალ შარქსი - 4, 4. ჩიტაზი - 1, 5. სტორმერზი - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თებერვალი ლებრონისა და მაიამისაა

თებერვალში ორი სათამაშო დღეა დარჩენილი, მაგრამ უკვე შეიძლება გასული თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის მინიჭება **ლებრონ ჯეიმსისთვის.** „მაიამიმ“ თებერვალში ერთადერთი მარცხი განიცადა - თვის პირველ დღეს და მას შემდეგ ზედიზედ 12 მოგება დაუგროვდა. გუნდის ლიდერს ლებრონ ჯეიმსს სარეკორდო სერია ჰქონდა (ზედიზედ ექვს შეხვედრაში აგროვებდა მინიმუმ 30 ქულას და აფიქსირებდა 60-პროცენტიან სიზუსტეს), მაგრამ ამაზე არ გაჩერდა და კიდევ რამდენიმე სუპერ-მატჩი ჩაატარა.

ასე იყო გუშინაც: „საკრამენტოსთან“ ორი ოვერტაიმისგან შემდგარ შეხვედრაში ლებრონმა 40 ქულა (სეზონის პირადი რეკორდი), 16 შედეგიანი პასი (კარიერის პირადი რეკორდი) და 8 მოხსნა დააგროვა. ბოლოს, ერთ მატჩში ამდენი ქულა და პასი 19 წლის წინ მოიხვეჭა „ფინიქსის“ მცველმა **კევინ ჯონსონმა,** რომელიც ახლა საკრამენტოს მერი გახლავთ და ამ დღეებში მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ საკალათბურთო გუნდი შეუნარჩუნოს ქალაქს.

ჯონსონს ნამდვილად ულირს „კინგზის“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა, მაგრამ მისი ქალაქის გუნდი არ შეუშინდა NBA-ის მოქმედ ჩემპიონს. ასე არ მოხდა მაშინაც კი, როცა „საკრამენტო“ ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთითა და 20 წამით ადრე ცხრა ქულას აგებდა. და სტუმრებმა მოახერხეს ამ რთული სიტუაციიდან გამოძრომა. „კინგზის“ გადამრჩენელი გახდა **მარკუს ტორნტონი,** რომელმაც ზედიზედ სამი სამქულიანი გამოიყენა (სულ მატჩში - 12-დან რვა). სტუმრებმა მოახერხეს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა.

პირველ დამატებით დროში ტორნტონმა კიდევ ერთი სამქულიანი მოათავსა კალათაში, მალე მისი გმირობა **აიზია ტომასმა** გაიმეორა - 124:123 „საკრამენტოს“ სასარგებლოდ. მაგრამ, ბოლო შეტევაში ტომასმა შეცდომა დაუშვა, თუმცა, ლებრონმა ორიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და დაინიშნა მეორე ოვერტაიმი. მეორე დამატებით დროში კი სწორედ ჯეიმსმა პირადად მოულო ბოლო მეტოქეს. ხუთ წუთში „მაიამის“ ლიდერმა 11 ქულა დააგროვა. 17:5 - მეორე ოვერტაიმის ანგარიში თავად მეტყველებს ყველაფერზე.

**ინდიანა-გ. სტეიტი 108:97**

31:25, 23:28, 31:20, 23:24

**ი:** უესტი (28+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰილი (23+7 პასი+3 ჩაჭრა), ჯორჯი (21+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (13+9 მოხსნა+5 დაფარება).

**გ-ს:** კარი (38+3 ჩაჭრა), ტომპსონი (13), ლი (12+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლენდრი (11+9 მოხსნა), ჯეკი (11).

**მაიამი-საკრამენტო 141:129 (2ო)**

27:22, 24:31, 33:32, 28:27, 12:12, 17:5

**მ:** ჯეიმსი (40+8 მოხსნა+16 პასი), უეიდი (39+8 მოხსნა+7 პასი), ალენი (21), ბოში (15+8 მოხსნა+4 დაფარება), კ. ანდერსენი (10).

**ს:** ტორნტონი (36), ტ. ევანსი (26+5 ჩაჭრა), კაზინსი (24+15 მოხსნა+5 პასი), სალმონსი (15+5 მოხსნა+7 პასი), ტომასი (14+9 პასი).

**ჩიკაგო-კლივლენდი 98:101**

22:19, 26:29, 23:27, 27:26

**ჩ:** ბუზერი (27+5 მოხსნა), დენგი (26+7 მოხსნა+5 პასი), ჰაინრიხი (11+6 მოხსნა+11 პასი).

**კ:** უეიტერსი (25), ლივინგსტონი (15), ელინგტონი (13+6 მოხსნა), გი (11), ტომპსონი (10+8 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ბრუკლინი 97:101**

20:31, 21:26, 24:16, 32:28

**ნ-ო:** ვასკესი (20+8 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ლოპესი (14+7 მოხსნა), ანდერსონი (13+7 მოხსნა), გორდონი (10+6 პასი).

**ბ:** უილიამსი (33+8 პასი), ლოპესი (20+7 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ბოგანსი (12), უოტსონი (10).

**დალასი-მილუოკი 90:95**

21:17, 28:27, 21:22, 20:29

**დ:** ნოვიცკი (21+20 მოხსნა), მაიო (18), ბრენდი (12+14 მოხსნა+3 დაფარება), კოლისონი (12+7 მოხსნა+8 პასი), მერიონი (10), რაიტი (10).

**მ:** ელისი (22+9 პასი+6 ჩაჭრა), რედიკი (14), სანდერსი (13+13 მოხსნა), დანლივი (13), ილიასოვა (10+7 მოხსნა).

**ფინიქსი-მინესოტა 84:83 (ო)**

16:15, 31:18, 11:18, 19:26, 7:6

**ფ:** ჯონსონი (14+9 მოხსნა), გორტატი (14+7 მოხსნა+3 დაფარება), მარკიფ მორისი (14+6 მოხსნა+3 დაფარება), ო'ნილი (10+13 მოხსნა+4 დაფარება), დრაგიჩი (10+7 პასი), სკოლა (10).

**მ:** უილიამსი (21+12 მოხსნა), პეკოვიჩი (18+12 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბარეა (16), რიდნური (10), რუბიო (5+5 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა).

**კლიპერსი-შარლოტი 106:84**

24:30, 30:15, 28:18, 24:21

**კ:** გრიფინი (24+7 მოხსნა+6 პასი), ბარნსი (17+7 პასი+4 ჩაჭრა), ბატლერი (16+7 მოხსნა), ჯორდანი (13+4 დაფარება), პოლი (7+13 პასი).

**შ:** ჰენდერსონი (24+3 ჩაჭრა), უოკერი (15+5 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), მალენსი (13+8 მოხსნა), სეშენსი (11), მაკრობერტსი (10).

**ფილადელფია-ორლანდო 84:98**

20:18, 22:29, 19:21, 23:30

**ფ:** პარგო (14), უილკინსი (14), რაიტი (11+7 მოხსნა), ტერნერი (10+8 მოხსნა), ჰოლიდეი (9+10 პასი), ტ. იანგი (8+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ო:** აფლალო (16+6 მოხსნა+7 პასი), ჰიბერტი (16+7 მოხსნა), ნიკოლსონი (13), ვუჩევიჩი (12+19 მოხსნა), მური (12+10 პასი), ჰარკლესი (10).

**გია თვალაბეიშვილი**



სალმონსი, ლებრონი, ტომპსონი

## NBA მარტის კალენდარი

**1 მარტი**

ტორონტო-ინდიანა
ვაშინგტონი-ნიუ იორკი
ორლანდო-ჰიუსტონი
ბოსტონი-გ. სტეიტი
მაიამი-მემფისი
კლივლენდი-კლიპერსი
ბრუკლინი-დალასი
ნიუ ორლეანი-დეტროიტი
სან ანტონიო-საკრამენტო
იუტა-შარლოტი
ფინიქსი-ატლანტა
დენვერი-ოკლაჰომა

**2 მარტი**

ფილადელფია-გ. სტეიტი
ჩიკაგო-ბრუკლინი
მილუოკი-ტორონტო
პორტლენდი-მინესოტა

**3 მარტი**

ნიუ იორკი-მაიამი
კლიპერსი-ოკლაჰომა
ვაშინგტონი-ფილადელფია
ორლანდო-მემფისი
საკრამენტო-შარლოტი
ჰიუსტონი-დალასი
სან ანტონიო-დეტროიტი
ინდიანა-ჩიკაგო
ლეიკერსი-ატლანტა

**4 მარტი**

კლივლენდი-ნიუ იორკი
მილუოკი-იუტა
ნიუ ორლეანი-ორლანდო
მინესოტა-მაიამი
დენვერი-ატლანტა
პორტლენდი-შარლოტი
გ. სტეიტი-ტორონტო

**5 მარტი**

ფილადელფია-ბოსტონი
ოკლაჰომა-ლეიკერსი
საკრამენტო-დენვერი

**6 მარტი**

დალასი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-ჩიკაგო
ფინიქსი-ტორონტო
კლიპერსი-მილუოკი
გ. სტეიტი-საკრამენტო
შარლოტი-ბრუკლინი
კლივლენდი-იუტა
ინდიანა-ბოსტონი
ატლანტა-ფილადელფია
მაიამი-ორლანდო
დეტროიტი-ნიუ იორკი
მემფისი-პორტლენდი
ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
მინესოტა-ვაშინგტონი

**7 მარტი**

ნიუ იორკი-ოკლაჰომა
დენვერი-კლიპერსი

**8 მარტი**

შარლოტი-ოკლაჰომა
ორლანდო-ინდიანა
ბოსტონი-ატლანტა
ბრუკლინი-ვაშინგტონი
დეტროიტი-დალასი
კლივლენდი-მემფისი
მაიამი-ფილადელფია
ჩიკაგო-იუტა
სან ანტონიო-პორტლენდი
საკრამენტო-ფინიქსი
ლეიკერსი-ტორონტო
გ. სტეიტი-ჰიუსტონი

**9 მარტი**

ატლანტა-ბრუკლინი
ნიუ იორკი-იუტა
ვაშინგტონი-შარლოტი
მემფისი-ნიუ ორლეანი
დენვერი-მინესოტა
ფინიქსი-ჰიუსტონი
გ. სტეიტი-მილუოკი

**10 მარტი**

ოკლაჰომა-ბოსტონი
ლეიკერსი-ჩიკაგო
ტორონტო-კლივლენდი
ორლანდო-ფილადელფია
მაიამი-ინდიანა
ნიუ ორლეანი-პორტლენდი
მინესოტა-დალასი
საკრამენტო-მილუოკი
კლიპერსი-დეტროიტი

**11 მარტი**

ფილადელფია-ბრუკლინი
სან ანტონიო-ოკლაჰომა
იუტა-დეტროიტი
ფინიქსი-დენვერი
გ. სტეიტი-ნიუ იორკი

**12 მარტი**

შარლოტი-ბოსტონი
ორლანდო-ლეიკერსი
კლივლენდი-ვაშინგტონი
ბრუკლინი-ნიუ ორლეანი
მაიამი-ატლანტა
მილუოკი-დალასი
მინესოტა-სან ანტონიო
პორტლენდი-მემფისი

**13 მარტი**

ფილადელფია-მაიამი
ვაშინგტონი-მილუოკი
ინდიანა-მინესოტა
ბოსტონი-ტორონტო
ატლანტა-ლეიკერსი
ჰიუსტონი-ფინიქსი
ოკლაჰომა-იუტა
საკრამენტო-ჩიკაგო
დენვერი-ნიუ იორკი
კლიპერსი-მემფისი
გ. სტეიტი-დეტროიტი

**14 მარტი**

სან ანტონიო-დალასი
პორტლენდი-ნიუ იორკი

**15 მარტი**

ატლანტა-ფინიქსი
ჰიუსტონი-მინესოტა
ოკლაჰომა-ორლანდო
მილუოკი-მაიამი
დალასი-კლივლენდი
დენვერი-მემფისი
გ. სტეიტი-ჩიკაგო
ტორონტო-შარლოტი
ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი
ინდიანა-ლეიკერსი

**16 მარტი**

ვაშინგტონი-ფინიქსი
ბოსტონი-შარლოტი
ფილადელფია-ინდიანა
სან ანტონიო-კლივლენდი
იუტა-მემფისი
პორტლენდი-დეტროიტი

**17 მარტი**

ტორონტო-მაიამი
მილუოკი-ორლანდო
კლიპერსი-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-გ. სტეიტი
მინესოტა-ნიუ ორლეანი
დალასი-ოკლაჰომა
ბრუკლინი-ატლანტა
ლეიკერსი-საკრამენტო

**18 მარტი**

ფილადელფია-პორტლენდი
შარლოტი-ვაშინგტონი
კლივლენდი-ინდიანა
ატლანტა-დალასი
დეტროიტი-ბრუკლინი
ბოსტონი-მაიამი
ჩიკაგო-დენვერი
მემფისი-მინესოტა
ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი
ფინიქსი-ლეიკერსი
იუტა-ნიუ იორკი

**19 მარტი**

ინდიანა-ორლანდო
მილუოკი-პორტლენდი
ოკლაჰომა-დენვერი
საკრამენტო-კლიპერსი

**20 მარტი**

ნიუ ორლეანი-ბოსტონი
შარლოტი-ტორონტო
ჰიუსტონი-იუტა
კლივლენდი-მაიამი
დალასი-ბრუკლინი
ნიუ იორკი-ორლანდო
სან ანტონიო-გ. სტეიტი
ატლანტა-მილუოკი
ფინიქსი-ვაშინგტონი
მემფისი-ოკლაჰომა
კლიპერსი-ფილადელფია

**21 მარტი**

ჩიკაგო-პორტლენდი
დენვერი-ფილადელფია
საკრამენტო-მინესოტა

**22 მარტი**

ტორონტო-ნიუ იორკი
ორლანდო-ოკლაჰომა
ინდიანა-მილუოკი
ატლანტა-პორტლენდი
მაიამი-დეტროიტი
ნიუ ორლეანი-მემფისი
ჰიუსტონი-კლივლენდი
დალასი-ბოსტონი
სან ანტონიო-იუტა
ფინიქსი-მინესოტა
ლეიკერსი-ვაშინგტონი

**23 მარტი**

შარლოტი-დეტროიტი
ნიუ იორკი-ტორონტო
ჩიკაგო-ინდიანა
მემფისი-ბოსტონი
დენვერი-საკრამენტო
კლიპერსი-ბრუკლინი
გ. სტეიტი-ვაშინგტონი

**24 მარტი**

მილუოკი-ატლანტა
მაიამი-შარლოტი
ჰიუსტონი-სან ანტონიო
ოკლაჰომა-პორტლენდი
მინესოტა-ჩიკაგო
დალასი-იუტა
ფინიქსი-ბრუკლინი
საკრამენტო-ფილადელფია

**25 მარტი**

ვაშინგტონი-მემფისი
ორლანდო-მაიამი
ინდიანა-ატლანტა
ნიუ ორლეანი-დენვერი
იუტა-ფილადელფია
გ. სტეიტი-ლეიკერსი

**26 მარტი**

ბოსტონი-ნიუ იორკი
დეტროიტი-მინესოტა
დალასი-კლიპერსი

**27 მარტი**

ტორონტო-ატლანტა
ფილადელფია-მილუოკი
შარლოტი-ორლანდო
კლივლენდი-ბოსტონი
ნიუ იორკი-მემფისი
ჩიკაგო-მაიამი
ნიუ ორლეანი-კლიპერსი
ჰიუსტონი-ინდიანა
ოკლაჰომა-ვაშინგტონი
მინესოტა-ლეიკერსი
სან ანტონიო-დენვერი
იუტა-ფინიქსი
გ. სტეიტი-საკრამენტო
პორტლენდი-ბრუკლინი

**28 მარტი**

მილუოკი-ლეიკერსი
დალასი-ინდიანა
ფინიქსი-საკრამენტო

**29 მარტი**

ორლანდო-ვაშინგტონი
ბოსტონი-ატლანტა
ნიუ იორკი-შარლოტი
დეტროიტი-ტორონტო
კლივლენდი-ფილადელფია
მემფისი-ჰიუსტონი
ნიუ ორლეანი-მაიამი
მინესოტა-ოკლაჰომა
სან ანტონიო-კლიპერსი
დენვერი-ბრუკლინი
პორტლენდი-იუტა

**30 მარტი**

დალასი-ჩიკაგო
ატლანტა-ორლანდო
ფილადელფია-შარლოტი
ჰიუსტონი-კლიპერსი
მინესოტა-მემფისი
მილუოკი-ოკლაჰომა
იუტა-ბრუკლინი
ფინიქსი-ინდიანა
საკრამენტო-ლეიკერსი
გ. სტეიტი-პორტლენდი

**31 მარტი**

ვაშინგტონი-ტორონტო
ნიუ ორლეანი-კლივლენდი
ჩიკაგო-დეტროიტი
სან ანტონიო-მაიამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



# ლიგა სახეს იცვლის

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა რეგულარული ჩემპიონატის რეორგანიზაციის გეგმა. როგორც ESPN წერს, ჩემპიონატის ახალი სტრუქტურის დეტალური გეგმა გაეგზავნა ლიგის ყველა კლუბის ხელმძღვანელობას. ამ გეგმის მიხედვით, დივიზიონების რიცხვი შემცირდება ექვსიდან ოთხამდე, დასავლეთ კონფერენციაში კი დღევანდელი 15 გუნდის ნაცვლად, 14 დარჩება.

ახლა დივიზიონები შემდეგ სახელებს მიიღებენ.

**დასავლეთი**

**წყნარი ოკეანე:** ანაჰაიმი, კალგარი, ედმონტონი, ლოს ანჯელესი, ფინიქსი, სან ხოსე, ვანკუვერი;

**შუა დასავლეთი:** ჩიკაგო, კოლორადო, დალასი, მინესოტა, ნეშვილი, სენტ ლუისი, ვინიპეგი.

**აღმოსავლეთი**

**ცენტრალური:** ბოსტონი, ბაფალო, დეტროიტი, ფლორიდა, მონრეალი, ოტავა, ტამპა ბეი, ტორონტო;

**ატლანტიკი:** კაროლინა, კოლამბუსი, ნიუ ჯერსი, აილენდერსი, რეინჯერსი, ფილადელფია, პიტსბურგი, ვაშინგტონი.

რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, თითო დივიზიონიდან სამ-სამი გუნდი ავტომატურად მოხვდება პლეი ოფში. დანარჩენ ოთხ საგზურს მიიღებს ორ-ორი გუნდი, რომლებსაც საუკეთესო შედეგები ექნებათ თავიანთ კონფერენციებში (პლეი ოფში პირდაპირ გასული გუნდების შემდეგ).

თუ გეგმას მოიწონებს მოთამაშეთა პროფკავშირი და NHL-ის დირექტორთა საბჭო, ჩემპიონატის ახალი ფორმატი ძალაში 2013-14 წლების სეზონიდან შევა.

■ ■ ■

ამასობაში, ლიგაში ორი ტრეიდი განხორციელდა. "ლოს ანჯელეს კინგზმა" "ფილადელფიაში" გაუშვა ვეტერანი ფორვარდი **საიმონ განიე**, რის ნაცვლად მიიღო მომავალი დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის უფლება.

მეორე ტრეიდი განხორციელდა "დალასსა" და "მონრეალს" შორის. „სტარზმა" დათმო ფორვარდი **ერიკ კოული** და სანაცვლოდ მიიღო თავდამსხმელი **მაიკლ რაიდერი**. გარდა ამისა, კანადურ კლუბს ერგო 2013 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის უფლება.

**რეინჯერსი-ვინიპეგი 3:4**

0:0, 1:3, 2:1

**გოლები:** 0:1 ო. იოკინენი-4 (ე. კეინი-9, ჰეინსი-5), 0:2 ე. კეინი-8 (პელუზო-1, ანტროპოვი-6), 1:2 კელეჰანი-5 (ემინგერი-1, ჟირარდი-6), 1:3 ო. იოკინენი-5 (პელუზო-2, კლიტსომი-3), 2:3 პიატი-4 (სტრალმანი-1, მ. სტაალი-9), 2:4 ე. კეინი-9 (ბურმისტროვი-4, ჰეინსი-6), 3:4 სტრალმანი-3 (გაბორიკი-5, ბ. რიჩარდსი-10).

**აილენდერსი-ბოსტონი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 მაკუეიდი-1 (სეგუინი-8, პ. ბერჟერონი-9), 1:1 ჩიზიკასი-2 (ბეილი-3, ენდრიუ მაკდონალდი-2), 1:2 მარჩანდი-10 (ფერენსი-4, პ. ბერჟერონი-10), 1:3 კრეიჩი-5 (ლუჩიჩი-6, ჰორტონი-4), 1:4 გ. კემპბელი-2 (სეგუინი-9, საიდენბერგი-5).

**ტამპა ბეი-ბაფალო 1:2**

1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-14 (პურსელი-15, კონაჩერი-11), 1:1 ჰოჯსონი-8 (სეკერა-3, ვანეკი-14), 1:2 მიერსი-3 (ვანეკი-15, ჰოჯსონი-9).

**ფლორიდა-პიტსბურგი 6:4**

1:0, 3:4, 2:0

**გოლები:** 1:0 კოპეცკი-6 (ბ. კემპბელი-6, კულიკოვი-5), 1:1 ჯ. ნილი-13 (კროსბი-20, კუნიტცი-15), 2:1 კოპეცკი-7 (ფლიშმანი-8, ბ. კემპბელი-7), 3:1 ბ. კემპბელი-5 (კულიკოვი-6, შორი-8), 4:1 გოკი-1 (კოპეცკი-5, ფლიშმანი-9), 4:2 ჯეფრი-2 (ორპიკი-4, ბენეტი-1), 4:3 მარტინი-4 (ჯ. ნილი-7), 4:4 კუნიტცი-8 (კროსბი-21), 5:4 ფლიშმანი-5 (სმიტსონი-2), 6:4 კოპეცკი-8 (გოკი-3, გუდბრასონი-3).

**ვაშინგტონი-კაროლინა 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-2 (რიბეირო-16, ოვეჩკინი-7), 2:0 ერსკინი-2 (ბექსტრიომი-13, ჯ. კარლსონი-5), 3:0 ჯ. კარლსონი-3 (პერო-5, ჯ. უორდი-7).

**კოლამბუსი-დალასი 4:5 (ო)**

0:1, 2:2, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 მოროუ-5 (იკინი-9, გოლიგოსკი-9), 1:1 ნიკიტინი-2 (ტიუტინი-10, ლეტესტუ-4), 1:2 როი-2 (ჯორდი ბენი-3, რუსელი-2), 2:2 დორსეტი-3 (ლეტესტუ-5, პროსპალი-4), 2:3 რუსელი-4 (დილონი-2, რობიდასი-8), 3:3 ატკინსონი-2 (ა. ოკუანი-2, ფოლინო-5), 3:4 იკინი-3 (რ. სმიტი-1, რობიდასი-9), 4:4 უმბერგერი-3 (ფოლინო-6), 4:5 ლ. ერიქსონი-6 (როი-9, დილონი-3).

**მინესოტა-კალგარი 2:1 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ტანგეი-6 (კამალერი-8, ბოუმისტერი-7), 1:1 ცუკერი-2 (სეტოგუჩი-4, რ. სატერი-10), 2:1 პარიზე-8 (მ. კოივუ-10, რ. სატერი-11).

**სან ხოსე-კოლორადო 3:2 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუტური-7 (ჯ. ტორნტონი-15, ჰავლატი-3), 1:1 კობესიუ-2 (ჰეიდა-4, ბორდელო-1), 2:1 გალიარდი-1 (შეპარდი-2, ბარიში-1), 2:2 ოლვერი-2 (მაკლეოდი-2, ჰეიდა-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰანძუში (სან ხოსე), პარენტო (კოლორადო), მარლო (სან ხოსე).

**ვანკუვერი-ფინიქსი 2:4**

0:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ჩიპჩურა-3 (ბისონეტი-3, სტოუნი-1), 0:2 ბოდკერი-4 (რუნდბლადი-1, ვერმეტი-5), 1:2 გარისონი-3 (კესლერი-4, ჰიგინსი-4), 1:3 ვერმეტი-5 (ბოდკერი-9, კორპიკოსკი-5), 2:3 ჰ. სედინი-3 (დ. სედინი-13, ტანევი-3), 2:4 ჩიპჩურა-4.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სპარტაკი (მ) | 0:2 |

**ინგლისის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| მიდლსბრო-ჩელსი | 0:2 |

**ინგლისი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრედფორდი-დაგენჰემი | 1:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ვარეზე-ჩეზენა | 3:2 |
| ბარი-ვერონა | 0:2 |

**ესპანეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| სევილია-ატლეტიკო | 2:2 (1:2) |

**გერმანიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-ბოხუმი | 2:0 |
| ბაიერნი-დორტმუნდი | 1:0 |

**საფრანგეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლორიანი-ბრესტი | 3:0 |
| რაონი-ბორდო | 2:2 პენ. 3:5 |
| ვენისიო-ნანსი | 0:0 დ.დ. 0:2 |
| პსჟ-მარსელი | 2:0 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ცვოლე-ეინდჰოვენი | 0:3 |
| აიაქსი-ალკმაარი | 0:3 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ვარეგემი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვოლუვე-ანტვერპენი | 1:1 |
| მუსკრონი-ტუბიკე | 1:0 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ბენფიკა | 0:0 პენ. 3:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| დანდი-სტ. ჯონსტონი | 2:2 |
| ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 2:2 |
| ინვერნესი-დანდი იუნ | 0:0 |
| მოზერველი-სელტიკი | 2:1 |
| სტ. მირენი-ჰართსი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არბროა-ალოა | 1:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ტიროლი-ვინერი | 1:0 |
| რაპიდი-შტურმი | 1:1 |
| რიდი-ავსტრია | 1:3 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-მარიეჰამნი | 6:0 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კიასო-ბელინცონა | 1:1 |
| ვინტერტური-ვოლენი | 1:0 |

**შვეიცარიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვილი-ციურიხი | 1:1 დ.დ. 2:4 |
| თუნი-ბაზელი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| არაუ-გრასჰოპერსი | 1:4 |
| ლოზანა-სიონი | 0:2 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-პანახაიკი | 2:0 |

**საბერძნეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| პლატანიასი-ასტერასი | 1:2 |
| ვერია-პანთრაკიკოსი | 0:1 |
| იანინა-ოლიმპიაკოსი | 0:1 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-1461 ტრაბზონი | 2:3 |
| მერსინი-ესქისეჰირი | 0:3 |
| ტრაბზონი-ანტალია | 1:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აელ-აეკ | 2:2 |
| ენოსისი-ნეა სალამისი | 0:0 |
| ანორთოსისი-აიია | 5:1 |
| აპოელ-ეთნიკოსი | 1:0 |
| დოქსა-ოლიმპიაკოსი | 1:1 |

**პოლონეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| შლიონსკი-ფლოტა | 3:2 |
| ზაგლებე-რუხი | 2:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-დინამო (ზ) | 1:2 |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| დონი შრემი-ოფკ | 0:0 |
| სპარტაკი-სლობოდა | 2:2 |
| ჰაიდუკი-იაგოდინა | 3:0 |
| რადნიჩკი 1923-რადი | 1:1 |
| რადნიჩკი-ნოვი პაზარი | 0:0 |
| სმედერევო-ვოივოდინა | 1:2 |
| ცრვენა ზვეზდა-იავორი | 2:1 |

**სლოვენიის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-მარიბორი | 1:3 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-[illegible] | 2:[illegible] |
| დიორი-ჰონვედი | 2:0 |
| ვიდეოტონი-დუნაკანიარი | გადაიდო |

**ისრაელის თასი**

| | |
|---|---|
| ბნეი ლოდი-ბნეი შახნინი | 2:3 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ჰ) | 2:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | 0:2 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| სეპაჰანი-ალ ნასრი | 3:0 |
| ალ აჰლი-ალ გაფარა | 2:0 |
| ალ აინი-ალ ჰილალი | 3:1 |
| ალ რაიიანი-ესტეგალი | 3:3 |
| ჰიროშიმა-ბუნიოდკორი | 0:2 |
| პოჰანგი-ბეიჯინგი | 0:0 |
| სენტრალ კოუსტი-სუვონი | 0:0 |
| გუიჟოუ-კაშივა | 0:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ველინგტონი-ნიუკასლი | 1:2 |

**ჰოკეი**

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ლუკო-კალპა | 0:5 |
| ტაპარა-ილვესი | 6:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| **ბრანდსი**-იუჟნი | 6:4, 6:4 |
| კამკე-**ბერდიხი** | 5:7, 1:6 |
| **დავიდენკო**-ჰანესკუ | 6:4, 7:6 |
| როსოლი-**სეპი** | 4:6, 6:7 |
| **დელ პოტრო**-დევარმანი | 6:4, 6:4 |
| ლოდრა-**ტურსუნოვი** | 6:7, 6:2, 3:6 |
| **ფედერერი**-გრანოლერსი | 6:3, 6:4 |
| **ჯოკოვიჩი**-ბაუტისტა აგუტი | 6:1, 7:6 |

**WTA. ფლორიანაპოლისი**

| | |
|---|---|
| **ბაბოში**-სხეპერსი | 6:1, 6:2 |
| **პუჩკოვა**-გარსია | 3:6, 6:3, 6:3 |
| **მლადენოვიჩი**-მალეკი | 6:2, 6:1 |
| ჰადადი-**ჩინკი** | 6:1, 2:6, 6:7 |
| **ნიკულესკუ**-მრდესა | 6:1, 6:1 |
| გ. ვიდაგანი-**რიბარიკოვა** | 4:6, 6:3, 4:6 |

**WTA. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| როგოვსკა-**კუმხუმი** | 6:3, 1:6, 2:6 |
| ბეიგელციმერი-**დანილიდუ** | 6:2, 4:6, 3:6 |
| პლიშკოვა-**დიასი** | 7:6, 1:6, 5:7 |
| სიროტკინა-**დუანი** | 3:6, 6:4, 6:7 |
| **ამანმურადოვა**-ჩანგი | 6:1, 6:3 |
| დუშევინა-**პავლიუჩენკოვა** | 6:2, 3:6, 6:7 |
| **ლუანგნამი**-ს. ჟენგი | 6:3, 6:7, 6:2 |
| **ბარტი**-სიმონდსი | 6:4, 6:2 |
| **მორიტა**-ბუიუკაკსაი | 6:1, 6:1 |
| ჩუა-**ჟანგი** | 0:6, 1:6 |
| ვოზნიაცკი-**ვანგი** | 6:2, 6:7, 1:6 |

## TV პროგრამა

**28 თებერვალი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. აიაქსი-დენ ჰააგი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ბრაგანტინო-კორინთიანსი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ფეიენოორდი-ეინდჰოვენი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ბაიერნი-ვერდერი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ბრუკლინი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ზენიტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ოსპრეი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფიურტი-ლევერკუზენი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1992-93 წლები. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ბრუკლინი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 9 | 13 | (წვიმა) |
| ფოთი | 9 | 14 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 17 | (წვიმა) |
| გორი | 1 | 10 | (წვიმა) |
| თელავი | 3 | 10 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 1 | 9 | (წვიმა) |
| გუდაური | -10 | 0 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -6 | 5 | (მზე) |
| ბორჯომი | -3 | 10 | (მზე) |
| მესტია | -7 | 3 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1659 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6537 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5020 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4007 |

## ჩოგბურთი

# პეტკოვიჩს გრაფი ავარჯიშებს

25 წლის გერმანელი ჩოგბურთელი **ანდრეა პეტკოვიჩი** მუხლის ტრავმის მკურნალობის შემდეგ აგრძელებს მზადებას პროფესიულ ტურში დასაბრუნებლად. პეტკოვიჩმა ეს დაზიანება ამა წლის დასაწყისში, ჰოპმანის თასზე მიიღო.

ჩოგბურთელის მწვრთნელმა **პეტრ პოპოვიჩმა** "ტვიტერზე" თავის მიკრობლოგში დაწერა, რომ მისმა შეგირდმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა გერმანელ ლეგენდასთან **შტეფი გრაფთან** ერთად და თან შესაბამისი ფოტოც დაურთო თან.

*"ეს არის ანდრეას ვარჯიშის ფოტო ბრწყინვალე შტეფი გრაფთან ერთად"*, - წერს პოპოვიჩი.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის პეტკოვიჩი მსოფლიოს რეიტინგში 172-ე ადგილს იკავებს.



რორი და კაროლინი

# ჯერ არ თხოვდება

დანიელმა ჩოგბურთელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ აპირებს თავის შეყვარებულთან, პროფესიული გოლფის რეიტინგის პირველ ნომერთან, ბრიტანელ **რორი მაკილროისთან** დაქორწინებას.

*"ვფიქრობ, შესაძლო ქორწინების შესახებ კითხვა, პირველ რიგში, რორის უნდა დაუსვათ. მე მაწყობს ის, თუ როგორ ვითარდება ჩვენი ურთიერთობები. ქორწინება? ჩემი აზრით, ძალიან ახალგაზრდები ვართ და წინ საკმარისად ბევრი დრო გვაქვს"*, - ამბობს 22 წლის დანიელი ჩოგბურთელი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


მარია შარაპოვა

# მარია და ოსკარი

"ოსკარების" გადაცემის ცერემონიის შემდეგ გამართულ სალამოს დაესწრო WTA-ის ტურის მესამე ნომერი, რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**. განსაკუთრებით მიიქცია ყურადღება შარაპოვას ჩაცმულობა. მარია სალამოზე ძვირფასეულობით მორთული კლასიკური კაბით მივიდა.

ცნობილია, რომ შარაპოვას მორიგ გამოჩენას კორტზე მარტის დასაწყისში ელიან – 6-17 მარტს გაიმართება უმაღლესი კატეგორიის ტურნირი ინდიან უელსში.

კრივი



# დე ნირო სტალონეს წინააღმდეგ

ეს არის ფოტო ფილმ Grudge Match-ის გადასაღები მოედნიდან. ახალ სურათში მთავარ როლებს თამაშობენ **რობერტ დე ნირო** და **სილვესტერ სტალონე**.

სტალონემ სახელი გაითქვა **როკი ბალბოას** როლის შესრულებით მრავალსერიან ეპოპეაში – "როკი". არც დე ნიროსთვის არის ეს პირველი შეთხვევა, როცა მან მოკრივის ხელთათმანი მოირგო. დე ნირომ განასახიერა **ჯეიმს ლამოტა მარტინ სკორსეზეს** ფილმში "განრისხებული ხარი".

ახალი ფილმის სიუჟეტი ვითარდება ორი ძველი მოკრივის გარშემო, რომლებიც ერთი ბრძოლისთვის ბრუნდებიან რინგზე - უნდა შედგეს რევანში მათი პირველი შეხვედრიდან 50 წლისთავზე.

ფეხბურთი

# მარადონა ფეხბურთელზეა შეყვარებული

ბოლო პერიოდში კვლავ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა ლეგენდარული არგენტინელი **დიეგო მარადონა**. ამას წინათ მან განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია ფეხბურთის გამო. გარდა ამისა, ნეაპოლში ჩავიდა, სადაც სასამართლო გარჩევა ელის გადასახადების დამალვის გამო და იქაც გამოირჩა სკანდალური განცხადებებით **ლეონელ მესისა** და **პელეს** მიმართ.

სანამ ნეაპოლში ჩავიდოდა, დიეგომ თავისი ცხოვრების პიკანტური დეტალებიც გაანდო ჟურნალისტებს. როგორც აღმოჩნდა, 52 წლის მარადონა ხვდება 22 წლის თანამემამულეს, სახელად **როსიოს**.

გოგონას ძმამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისმა დამ მართლაც გაატარა მთელი თვე დიეგოსთან ერთად დუბაის ერთ-ერთ სასტუმროში. როსიოს პირდაპირი კავშირი აქვს ფეხბურთთან, რადგან ის "რივერ პლეიტის" ქალთა გუნდში თამაშობს. თუმცა თავად მარადონას კარიერა "რივერის" ყველაზე საძულველი მეტოქის – "ბოკა ხუნიორსის" რიგებში ვითარდებოდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის წყვილს ურთიერთობაში.

ამასობაში, ინტერნეტში უკვე გაჩნდა ფოტოები, რომელზეც დიეგო და როსიო ერთად არიან აღბეჭდილნი. მაგალითად, ერთ ფოტოზე მარადონას ხელში უჭირავს შეტყობინება, რომლითაც ის სიყვარულს უხსნის ახალგაზრდა გულისწორს სიტყვებით - Rosio, te amo. სხვა ფოტოებზე დიეგო და როსიო შამპანურს სვამენ, ერთად მღერიან კარაოკეს და უბრალოდ აღნიშნავენ მორიგ თარიღს მეგობრების წრეში.

როგორც გითხარით, ამ დღეებში მარადონამ განაცხადა, რომ არაფერი აღარ აქვს საერთო გახრწნილ საფეხბურთო სამყაროსთან და უახლოეს ხანში, ერთ-ერთ მწვრთნელად იმუშავებს არგენტინელ ჩოგბურთელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან**.






# უზემოვნო ბექჰემი

ცნობილია, რომ **დევიდ ბექჰემი** ერთ-ერთი ყველაზე მოდური ფეხბურთელია საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მის დაზე – **ჯოანა ბექჰემზე**, რომელსაც ამ დღეებში 31 წელი შეუსრულდა. ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის ქალმა ზედმეტი წონა დაიგდო, რომელმაც 20 კილოგრამი შეადგინა. ამით გამხნევებულმა ჯოანმა მეტად თამამი კაბის ჩაცმა გაბედა. დეკოლტე იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ძლივს აკავებდა მის შიგნით არსებულ ავლადიდებას.

ფოტოკორესპონდენტებმა, რომლებიც ამ სალამოს აშუქებდნენ, ოპერატიულად იმუშავეს და ფოტოები ინტერნეტში განათავსეს. ლონდონის მოდის კრიტიკოსებმა ამ სურათების შესწავლის შემდეგ ერთხმად დაასკვნეს, რომ ბექჰემის დას არ აწყენდა ჩაცმის სტილის შესახებ რამდენიმე გაკვეთილის მიღება დევიდის მეუღლისგან, დიზაინერ **ვიქტორია ბექჰემისგან**.

მაგრამ ჯოანა ყურადღებას არ აქცევს ასეთ რჩევებს და აგრძელებს მოდის ჩვენებებსა თუ ლონდონის მაღალი საზოგადოების სალამოებზე დასწრებას თავისი გემოვნების მიხედვით შერჩეული სამოსით.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608